

F $\frac{4874}{2}$



პარლამ რუსადე



F $\frac{4.874}{2}$

რჩეული ლექსები

F $\frac{4.874}{2}$

ქ. თბილისი, ვ. ბერიძის ქ. 10
დირ. 1931-გოდ
ანტ. № 11-386



სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი — 1931

სახელგამის 1-ლი სტამბა
შეგვ. 136 მთავარ. 280
ტირაჟი 2000

მ ც ი რ ე ბ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ამ კრებულში მოთავსებული ზოგიერთი ლექსები, თქმა არ უნდა, პესიმისტური განწყობილებით არის დამძიმებული, რაც, შეიძლება, თანამედროვე მკითხველისათვის მიუღებელიც იყოს და გაუგებარიც; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ დროს და იმ პირობებს, როცა ეს ლექსები იწერებოდნენ, მიზეზი ყველასათვის ცხადი გახდება. ცხრაას ხუთის რევოლუციის დროებით დამარცხებას საშინელი რეაქცია მოჰყვა; ალიხანოვის დამსჯელი რაზმები კალიასავით მოედგნენ დაბა-სოფლებს და ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცეს. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

ასეთ დროს საჭირო იყო სიმტკიცე და იმედიანი სიტყვა და მეც, სხვებთან ერთად, ამ მოწოდებას პირნათლად ვასრულებდი შეძლებისდაგვარად,—ამის ნიმუშები საკმაოდ მოიპოვება ამავე კრებულში,—მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ხანდახან მეც დამეუფლებოდა ქვეყნის სულიერი განწყობილება და წუთიერად ჩემს გულშიც შემოიპარებოდა პესიმიზმის აჩრდილი და შიგ თავის კვალსაც სტოვებდა. მაშინ იწერებოდნენ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ეს ცრემლიანი ლექსები; სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან პოეტი დროს შვილი და ცხოვრების სარკეა: ამ სარკიდან უთუოდ უნდა ეჩვენებია მწარე სინამდვილეს თავისი მახინჯი სახეც—და ეს ასეც მოხდა.

მადლამ რუსაძემ

2 აპრილი 1930 წ.

ჩემი ცხოვრების ფურცლები

I

ჩემი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის ოცდაათი წლის თავზე, მინდა გადაუშალო მკითხველს ჩემი ცხოვრების ფურცლები; მგონია მეტი არ იქნება იმანაც იცოდეს ჩემი ვინაობა: საიდან მოვდივარ და რა ვარ.

მე დაებადე 1874 წ. აპრილის თვეში, სოფ. ქუტირში, ქუთაისის მაზრაში. ჩემი ცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, იგი მეტად ძუნწი და უფერული იყო, მხოლოდ ბავშობა მქონდა ლალი და მზიანი.

მამაჩემი ვაჭარი იყო, სამიკიტნო ჰქონდა ქუთაისში. მაშინ იშვიათი მოვლენა იყო „სოფლიდან გასული კაცი“, როგორც ამას სოფელში უწოდებდნენ ვაჭარს. ეს დიდ სირცხვილად მიაჩნდათ და ყველა ერიდებოდა ამ ხელობას. მხოლოდ სამი ოთხი კაცი თუ იყო ასეთი მთელ სოფელში და ისინიც მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო: მაგ. მამაჩემი უჯიათ ბატონს გაპარვია და მინდობია ვინმე მარჯანიშვილს, რომელსაც სამიკიტნო ჰქონია ქუთაისში. დიდხანს უძებნია „ურჩი ყმა“ ბატონს და, როცა მიუკვლევია, სულ რამდენიმე თუმნად დაუხსნია მარჯანიშვილს. შემდეგაც, როცა ფული შემოაკლდებოდა ბატონს, მამაჩემი მოაგონდებოდა და მიაშურებდა; მარჯანიშვილიც მისცემდა რამდენიმე თუმანს და გამოისტუმრებდა. და ასე მუდამ ვიდრე ბატონ-ყმობა არ გადავარდა.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ მამაჩემიც განთავისუფლებულა და საკუთარი სამიკიტნო გაუხსნია ქუთაისში.

ჩვენ—დედა, მე და ორი და,—სოფელში ვცხოვრობდით მამა სამ-ოთხ თვეში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა; მაგრამ, როცა ჩამოვიდოდა, ჩვენს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მამა ვის ახსოვდა? ჩვენი სანუკვარი ხურჯინი იყო, რომელსაც გატენილს მოიტანდა მამა: შემოგვხვეოდით ერთი აურ-ზაურით და კუნჭულს გადმოუბრუნებდით. დავეძებდით „საწუნკალოს“, როგორც ამას მამა ეძახდა. ეს „საწუნკალო“ კი შაქარი და კამუფტი იყო. ისე არაფერი გვიტაცებდა, როგორც ეს ტკბილი საგნები. ეს იცოდა მამამ და ხელცარიელი არასოდეს არ მოვიდოდა.

იმ ხანებში ჩვენს სოფელში სკოლა არ იყო. სოფლის „განათლებულ საზოგადოებას“ მღვდელი, დიაკვანი და მწერალი შეადგენდა. გლეხობაში იშვიათი მოვლენა იყო წერა-კითხვის მკოდნე, მაგრამ დედამ იცოდა წერა-კითხვა და ქრა-კერვა; ამის გამო მას სოფელში ყველა პატივისცემით ეპყრობოდა და ისიც ეხმარებოდა ყველას უნაგაროთ: ზოგს წერა-კითხვას ასწავლიდა და ზოგს კიდევ ქრა-კერვას.

ჩვენს ოჯახში ყველაზე უმცროსი, ყველაზე ცელქი და მოუსვენარი მე ვიყავი. ამიტომ დედა ყველას ეხვეწებოდა თვალყური ედევნებიათ ჩემთვის, მაგრამ ხიფათისაგან მაინც არ ვიყავი დაზღვეული: ხშირათ მომიტანია გასისხლიანებული ცხვირპირი შინ, მაგრამ მეორე დღეს ეს მაინც არ მახსოვდა და ტოლ ბავშვებთან ყირაზე გადავდიოდი. ეს დღისით. საღამოობით კი, როცა დავწევბოდით და დედას უბეში ჩაუძვრებოდით, ერთი-ორი ლექსი, ან ზღაპარი მაინც რომ არ ეთქვა, ისე არ დავიძინებდით. დედამ, სხვათა შორის, ბევრი ძველი ლექსი და ზღაპარი იცოდა და ჩინებული მთქმელიც იყო. ის რომ ზღაპარს დაიწყებდა, მე, სხვა დროს მოუსვენარი და დაუდგრომელი მწყერივით გავინაბებოდი და ხარბად ვუსმენდი. ამ ზღაპრებში დიდი აღმზრდელობითი გავლენა იქონიეს ჩემზე: უხილავ ქვეყანაში გადამასახლეს და ფანტაზია დამიმდიდრეს.

როცა უფრო წამოვიზარდე, სულ ტყვედ გავეარდი. გზებზე
შემიყვარდა სოფლის გაშლილი და ლალი ბუნება. დი-
ლიდან საღამომდე ან დღეებში ვთევზაობდი, ან ~~შაბაღებს~~ ^{შაბაღებს} ~~შე-
გებდი~~ ^{შეგებდი} ყანებში, ანდა — თოფით ხელში ტყეებში დავებრებოდი.
მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი და თოფს ძლივს ვზი-
დავდი, ჩინებული სროლა ვიცოდე: გაფრენილ ჩიტს ვკლავდი.

დედას არ მოსწონდა ჩემს ხელში თოფი და ყოველთვის
მარიგებდა: დაანებე შეილო ამ მარცხიან საქმეს თავი, თვარა,
ან თავს მოიკლავ, ან ვინმე შემოგაკედება და დავიღუპებითო.
მაგრამ მე მაინც ჩემს საქმეს განვაგრძობდი, ვიდრე ფაქტის
წინაშე არ დავდექი: ერთხელ ფისტონს ვადებდი თოფს, დედაც
იქვე იდგა და ჩვეულებრივ მარიგებდა, უცებ გამივარდა თოფი
და დედას კალთაში გაუარა საფანტმა; საბედნიეროდ უვნებ-
ლად გადარჩა, მაგრამ ამ შემთხვევამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ
შემდეგ თოფი ხელში არ ამიღია. აგერ ორმოცი წელიწადი გა-
დის მას შემდეგ, მაგრამ ეხლაც, როცა ეს მომაგონდება, ერუ-
ანტელი დამივლის ტანში.

II

როგორც ვსთქვი, იმ ხანებში ჩვენს სოფელში სკოლა არ
იყო. ანბანი დედამ დამაწყებინა თავის ხელთნაწერით. პირვე-
ლად მეც გულმოდგინეთ ჩაუჯექი, მაგრამ მალე მომწყინდა,
რადგან მინდვრები და ბავშვებთან თამაში უფრო მიზიდავდა,
ვიდრე ფეხ-მოკეცილი ჯდომა და ზეპირობა; ავიღე და კედელ-
ზე გავაკარი ჩემი ანბანი და ყოველ დილას, როცა წამოვდგე-
ბოდი, მივადგებოდი კედელს და ჩავებულებულვებდი: „ან, ბან,
გან... და გავუდგებოდი გზას სათამაშოთ. ბევრი მარიგა დე-
დამ და, როცა ვერაფერს გახდა, ერთხელ ჭინჭრითაც კი და-
მისუსხა წვივები, მაგრამ მაინც ვერ დამიმორჩილა. შემდეგ თა-
ვის ბიძაშვილს — ბათლომე მოსეშვილს მიმაბარა, რომელიც მა-
შინ ტფილისის სემენარიაში სწავლობდა და საზაფხულოთ იყო
სოფელში ჩამოსული. მან, სხვა ბავშვებთან ერთად, მეც გამი-

შალა გოგებაშვილის დედა-ენა და მომცა ვაკვეთილი. პირველი ხანებში მასთანაც ჯიუტობა გამოვიჩინე, მაგრამ, როცა ერთ-ორჯერ ლაზათიანათ ამიწია ყური, მეც მოვტყდი და გინეტ შეუღდექი ზეპირობას. როცა სიტყვის სიტყვანე ვადიბ-მა და წინადადების ამოკითხვა შევიძელი, გაგიყვებით შემოყვარ-და წიგნი, მაგრამ სად იყო? მაშინ სოფელში დიოგენის ფარ-ნით იყო საძებარი წიგნი.

ამის შემდეგ ქუთაისში წამიყვანა მამამ და სამიკიტნოში ჩამქედა. ქალაქმა პირველად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თავის ახმაურებულ ქუჩებით და მოუსვენარი ცხოვრე-ბით, მაგრამ თანდათან შევეჩვიე ამ ყოფას და მეც ქალაქის კაცად გაგზდი. ყველა „პაწადახლიდარს“ მეძახდა და მეც ცი-ბრუტყვით ვტრიალებდი: ზოგთან ხარხო მიმქონდა ზოგთან ღვინო და ზოგთან კიდევ წყალი.

პირველი წიგნი, რომელიც ხელში ჩამივარდა, — ეს იყო „არსენას ლექსი“, შემდეგ „ყარამანიანი“ და ბოლოს „აკაკი“. ამ სამეზამ სამუდამოთ დაიპყრო ჩემი გული. გაფაციცებით დაეე-ძებდი წიგნებს, მაგრამ წიგნების შოვნა არც ასე ადვილი საქ-მე იყო და, როცა ვიშოვიდი, მისი კითხვის საშუალებაც არ მქონდა: მამას ერთი მტარვალა დახლიდარი ჰყავდა, რომელიც, როგორც კი დამინახავდა წიგნს ხელში, მაშინვე გამომგლეჯდა და ერთ სილასაც მითავაზებდა, ამ სიტყვებით: „სწიელა თუ გინდა გიმნაზიაში მიბრძანდიო“. გიმნაზია თავის თავად ცუდი საქმე არ იყო, მაგრამ ვინ — მიგაბრძანებდა“ იქ? მამა ძველი კაცი იყო, ბატონყმობის უღელქვეშ გამოზრდილი და თავისე-ბური შეხედულება ჰქონდა ამ საგანზე; და, როცა ვინმე, ჩემი კეთილის მდომი, საუბარს ჩამოუგდებდა ჩემი სკოლაში მიცემის შესახებ, ყველას ამ პასუხით ისტუმრებდა: „მეც არ მისწიელია, მაგრამ პურსა გქამო“.

ქუთაისში ორ წელიწადს დავრჩი. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს უბანს ცეცხლი წაგვიდა და ყველაფერი გაანადგურა. ხან-ძარმა. სხვათა შორის, მამაჩემის სამიკიტნოც დაიწვა და ისევ



სოფელში დაებრუნდით განადგურებული. უკვე სიბერისაგან მოტეხილს და შრომას გადაჩვეულ მამას, რა უნდა გაეკეთებია სოფელში? მაგრამ სხვა გზა რომ არ იყო, ისიც დაემორჩილა ბედს ჩადგა ყანაში და პაპანაქება სიცხეში თავჩალუნული მუშაობდა დილიდან საღამომდე. ამან მეტად ცუდათ იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და სამუდამოთ დაბრმავდა. ოჯახი მე და დედას დაგვაწვა თავზე.

სოფელში დიდხანს არ მომიცდია, ერთი წლის შემდეგ ისევ ქალაქს შევაფარე თავი. ცხოვრობდი სხვადასხვა ქალაქებში: ფოთში, ბათუმში და სოხუმში. აქაც ჩემი სამოქმედო ასპარეზი სამიკიტნო და მისი ტიპის სავაჭროები იყო. თუ რამეს ვიშოვიდი, დედას ვუგზავნიდი სოფელში. თავისუფალ დროს თვითგანვითარებას ვანდომებდი. ეს არ მოსწონდათ ალა-ბატონებს და ხშირად მტუქსავდნენ: „რა ვაჭარი კაცის საქმეა წიგნი, შენ ვაჭრობა უნდა ისწავლო, თუ გინდა კაცად გახდეო“. „ვაჭრობის ცოდნა“ კი, მათი აზრით, გამოიხატებოდა შემდეგში: „მუშთარს ისე უნდა შეხედდე და კაუკრიქო, კიდევ რომ გეტირებოდეს, ვაცილებული ეგონო“. მაგრამ მე მაინც ჩემი გზით მივდიოდი და, დღისით რომ არ მქონდა მოცლა, მთელ ღამეებს ვათენებდი წერა-კითხვაში.

თუ რა პირობებში მიხდებოდა ცხოვრება, — ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

იმ ხანებში რამდენათაც მახსოვს, სავაჭროებში დაჭირავებულ ძალთა დაცვის შესახებ კანონი არ არსებობდა, ან, თუ არსებობდა, მხოლოდ ქალაქებში, ცხოვრებაში არ ტარდებოდა; მთელ ღამეს რო გქონებოდა დუქანი ღია, პასუხს არავინ მოგთხოვდა.

ჩვენი დუქანიც ღამის პირველ საათზე იკეტებოდა და ოთხზე იღებოდა; ასე რომ, ხეირიანად დასვენებასაც ვერ ვასწრებდით, არა თუ გამოძინებას.

ეს დუქანი სამიკიტნოსაგან იმით განირჩეოდა, რომ მართო სასმელები იყიდებოდა, როგორც ბითუმიად, ისე ცალობით და სასმისებით.

დილით ავდგებოდით თუ არა, ჯერ დუქანი უნდა დაგვესუფთავებია, არაყზე დასაყოლებელი საუზმე დაგვეზადება, და მერე კი—ბოთლები დაგვერეცხა; ჩამოგვესხა არაყი, ღებო, ლუდი მუშთრებიც მიგველო.

ამას რომ მოვრჩებოდით, ერთი ჩვენგანი ქალაქში მიდიოდა, შემოივლიდა ლუდხანებს, სამიკიტნოებს და დაკვეთებს მიიღებდა. შემდეგ ეს დაკვეთები უნდა დაგვერიგებია ყოვლად უზმში საშვალებით: ხშირად ოცი-ოცდაათი ბოთლი ღვინო თუ ლუდი მზარით მიგვექონდა ორ ვერსზე კალათით. ამის გამო მზრები დაშავებული ცხენივით გვექონდა გადატყავებული.

დღიური შრომით არაქათ გამოლევულებს, საღამოს ლული გვეკიდებოდა თვალეზე, მაგრამ ვინ მოგვასვენებდა? დუქანი ლოთებით ვაივსებოდა და შუალამემდე იღვა ერთი აურზაური და ღრიანცელი.

ყველა ამისთვის უმნიშვნელო გროშებს ვიღებდით: შვიდი რვა მანეთს თვეში. ზოგიერთებს ესეც ენატრებოდათ, რადგან შეგირდებად ითვლებოდნენ.

მაშინ ბათომში ვცხოვრობდი. ჩვენს მახლობლად ვაჭრობდა ვინმე გალუსტოვი, კაცი ფრიად ნაკითხი და განვითარებული. სწერდა ლექსებსაც. მისი მიბაძვით მეც დავიწყე ლექსების წერა. პირველად მაინც და მაინც ვერაფერი შევიღვივებდი, მაგრამ თანდათან ვავიწაფე და ლექსიც ვავმართე. სადარდოდ ის გამიხდა რომ ყველაფერი დაწერილი მეგონა. აბა რა ვიცოდე მაშინ, თუ ცხოვრება ზღვა იყო და კოვზით არ ამოიწურებოდა.

1896 წ. ისევ ქუთაისში დავბრუნდი და სიძის დახმარებით, მისივე საზიაროთ, ღვინის საწყობი ვაგბსენი ფერმის ქუჩაზე. აქედან იწყება ჩემი თვითგანვითარების საუკეთესო ხანა. დამოუკიდებელმა ცხოვრებამ, საშუალება მომცა და მეც დავეწაფე ცოდნის წყაროს: გამოვიწერე „კვალი“, „მოამბე“, „იერიია“; შევიძინე მხატვრული ლიტერატურა, როგორც ქართული, ისე რუსული, ამავე დროს დაუახლოვდი „მესამე დასს“, გავე-

ცანი ცოტათ თუ ბევრად მარქსისტულ მოძღვრებას და დანაკარგში მის მიმდევარ ახალგაზრდობას. მაშინ თანამშრომლებმა სკოლებში გამოდიოდა ხელთნაწერი ეურნალები. შიგ მათგანში მეც ვღებულობდი მონაწილეობას და ლექსებს ვათავსებდი. ამ მოძრაობაში ჩაბმამ ჩემზე დიდი გავლენა იქონია ჩემს პოეზიას თავისებური მიმართულება მისცა.

პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1899 წელს, ეურნალ „მოამბეში“. ორი თუ სამი წლის შემდეგ, კრებულიც გამოვიდა, ეგრეთწოდებული „ლექსები და მოთხრობები“ ეს წიგნაკი პეტროგრადაში იყო ნებადართული, რადგან ტფილისის საცენზურო კომიტეტმა არ გაუშვა. ამ წიგნაკის გამოსვლამ დიდი აუროზური გამოიწვია მთავრობის წრეებში და, გამოსვლის დღიდან ორი კვირის შემდეგ, მეც დამიბარა მაშინდელმა ქუთაისის პოლიცემისტერმა — ლისოვსკიმ. როცა შევედი მის კაბინეტში, ჯერ თავიდან-ფეხებამდე ამათვალ-ჩამათვალეირა, მერე აიღო წიგნაკი და მკითხა:

— ბ-ნო რუხაძე, ეს წიგნაკი თქვენ დასწერეთ?

— დიახ, უპასუხე მე.

— ჰმ... შეგიძლიათ წახვიდეთ. მეტი არაფერი.

მაშინვე გავითვალისწინე, რომ ეს ამბავი ასე იოლად არ გათავდებოდა და, როგორც კი მივედი ბინაზე, თავდარიგს შევუდექი: გადავჩხრიკე ყველაფერი და, თუ რამე იყო ისეთი, მიემალ-მოვმალე. ჩემს აგენტებსაც ვაცნობე, ვადამალათ წიგნაკები.

იმავე საღამოს მეწვია პოლიცემისტერი სტამბის ინსპექტორის, ორი ბოქაულისა და ჟანდარმების თანხლებით. ქუჩა ისე შეკრეს, რომ არავის აჭაქანებდენ.

დაიწყეს ჩხრეკა, ყველაფერი გადააქოთეს, მაგრამ საკბილო ვერაფერი ნახეს, გარდა რამდენიმე ცალი ჩემი წიგნაკისა; არ იამათ, მაგრამ რას იზამდენ?

შეუდგენ ოქმის წერას. პოლიცემისტერმა აიღო წიგნაკი ხელში, გადაშალა, მიმითითა ერთ ლექსზე და მითხრა:

— აბა ბ-ნო რუხაძე, ვადამითარგმნე ეს ლექსი.

— რუსული ენა ცუდათ ვიცი მეტყვი, ვუპასუხე.

— რუსული არ იცი და პოეტობ კი?! ირონიკულად მომკრა.

— სამაგიეროთ დედაენა კარგათ ვიცი და რას დამიშლის რუსულის უცოდინარობა, მე ხომ რუსულად არ ვწერ!

პოლიცმეისტერი, ცოტა არ იყოს, გაწითლდა, მან კარგათ გაიგო ჩემა პასუხის მნიშვნელობა, როგორც პოლონელმა, და გაჩუმდა.

შემდეგ ბოქაულს მიუბრუნდა.

— აბა, კოსტაეა, შენ მაინც გადამითარგმნე ეს ლექსი.

კოსტაეა დააჩერდა ლექსს, მაგრამ რას გადაუთარგმნიდა, როცა ქართულადაც ვერ გაიგო ზოგიერთი სიტყვების მნიშვნელობა, და მე შემეკითხა:

— რა არის ლაქვარდი?

პოლიცმეისტერს მოთმინება დაეკარგა და დაუყვირა.

— შე ოხერო, შენ ბოქაულად კი არა, ბატის მწყემსადაც არ ვარგებულხარ! რუსული ხომ არ იცი და არა, როგორც რიგია, მაგრამ დედაენაც რომ არ გცოდნია, მაშ რა იცი?! და გამოგლიჯა წიგნაკი ხელიდან.

შეადგინეს ოქმი.

ჩამომართვეს ხელწერილი, რომ მეორე დღეს ქანდარმთა სამმართველოში გამოეცხადებულეყავი და გაუდგენ გზას.

მივედი დანიშნულ დროზე. ქანდარმთა პოლკოვნიკი მაგიდას უჯდა და პაპიროზს ამოლებდა, სავარძელზე გადაწოლილი.

— თქვენ ბრძანდებით რუხამე?

— მე გახლავარ.

— ძალიან კარგი. ეს წიგნი თქვენია?

— დიახ.

— მერე რა სწერია ამ ლექსებში?

მე დუმილით უპასუხე. პოლკოვნიკი გაჯავრდა.

— რატომ პასუხს არ მაძლევთ ჩემს შეკითხვაზე?! — შემომიტია მან და განაგოძო. — რა არის ერთობა? რა არის თანას-



წორობა? სად გინახავს შენ, რომ ყველაფერი თანასწორი იყოს?!

მერე მიჩვენა ხელი:

— განა ეს თითები ყველა თანასწორია? ან ის ხეები — მიმითითა გარეთ ჩამწკრივებულ ხეივანზე, — ყველა თანასწორია? ჰოდა — რაც ბუნებას ვერ გაუთანასწორებია, შენ გინდა გაასწორო ბ-ნო რუხაძე?!

აქ ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე მკაცრად შემომძახა:

— თქვენისთანა კაცებმა დააქცია ქვეყანა! აი, ეხლა გურიაში დიდი უწესოება ხდება, — ეს სულ თქვენისთანების საქმეა და პასუხსაც თქვენ აგებთ!

შემდეგ აიღო უკვე წინ და წინვე მომზადებული ოქმი, მომაწერია ხელი და მითხრა:

— ახლა წადი, მაგრამ, გახსოვდეს, კვლავ არ გაბედო ასეთ რამეებზე ბოდვა, თორემ, თუ კიდევ ჩაგვივარდი ხელში, ციმბირი ახლო დარჩება.

ამგვარად მე გადავრჩი ციხეს, მაგრამ წიგნი კი სამუდამოდ აკრძალეს. გული მაინც და მაინც არ დამწყვეტია დიდათ, რადგან ის უკვე გავრცელებული იყო.

ეს ამბავი ყუმბარასავით გავარდა საზოგადოებაში და დიდი პოპულიარობა მომიხვეჭა, როგორც ახალგაზრდა პოეტს: დიდი თუ პატარა, ყველა გაფაციცებით დაეძებდა ამ პატარა წიგნაკს და დიდი ხალისით კითხულობდა იმისთანაც კი, სხვა დროს ხელში რომ არ აიღებდა.

ამის შემდეგ ჯაშუშებით გაიესო ჩვენი ქუჩა: ყოველ ჩემს ნაბიჯს ზომავდენ. ამის გამო შეუძლებელი გახდა ჩემი ქუთაისში დარჩენა და მეც ისევ ბათომში გადავსახლდი.

IV

ბათომში, ზღვის სანაპირო ქუჩაზე, სამიკიტნო ქონდა ჩემს მეორე სიძეს და საამხანაგოთ გადმომცა. თანხა მისი იყო, მე მოგების წილს მაძლევდა.

იმ დროს ნავთის ქარხნებში დიდი მუშაობა იყო და ამის გამო დიდძალი მუშა იყრიდა ბათომში თავს.

აქ კიდევ უფრო დაეუახლოვდი მუშათა საქმეს და მის ხელმძღვანელ პარტიას და მის წევრებს, რომელთა უმრავლესობაც ჩემთან დადიოდა სასაბუღალტო. მათი გავლენით მეც ჩავეები ორგანიზაციულ მუშაობაში და ერთგულად ვასრულებდი სხვა და სხვა საიდუმლო დავალებებს.

მაშინ ბათომი, ტფილისის შემდეგ, მეორე ცენტრი იყო განმადავისუფლებელ მოძრაობის. უმთავრესად აქ იყრიდნ თავს მოძრაობის ხელმძღვანელი მთავარი ძალები და აქედან ეფინებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს „ერთობის ხმა“ და შექმონდა შიგ შეგნების სხივები.

1903 წ. სამაისო მზადებას შეუდგა პარტია. ეს პირველი პოლიტიკური გამოსვლა იყო ბათომში და უნდოდათ, რაც შეიძლება რიგიანათ მოეწყოთ, რომ გრანდიოზული დღესასწაული ჩატარებიათ. დიდი წინასწარი მუშაობა გასწიეს. მაგრამ ისე საიდუმლოთ, რომ ამის შესახებ ბათომის ადმინისტრაციამ არაფერი იცოდა.

იმ კვირაში ჩვენი დუქანი სამხედრო შტაბს წარმოადგენდა: აქ იმართებოდა თათბირები, იბეჭდებოდა მფრინავი ფურცლები და აქედან რიგდებოდა ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში-გათენდა პირველი მაისი. მშვენიერი დილა იყო, თითქო ბუნებაც ემზადებოდა საზეიმოთ. ცხრათვალა მზის სხივები ზღვის ქოჩორ აყრილ ტალღებზე ისე ცეკვავდნ, როგორც კარგი მოთამაშე ლეკურს.

სრულ ათ საათზე ერთბაშათ შეჩერდა ყველა ქარხნები და მუშათა ზღვა ქალაქისაკენ გაიმართა „მარსელიოზის“ სიმღერით და წითელ დროშებით.

ამ ზღვამ მეც გამიტაცა.

მიტიხგი თათრის მოედანზე იყო დანიშნული. სახელდახელოთ მომზადებულ ტრიბუნაზე რ. ჩიხლაძე ავიდა და დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. ლაპარაკობდა დიდის მკერ-

მეტყველობით. მის სიტყვებში ცეცხლი ჰფეთქავდა და გულში
დარდათ სცვივოდა. ჩვენ სულგანაბულნი უსმენდით. ~~გვერდ~~
კი დაესრულებია სიტყვა, რომ ცბენების ფეხის თქარს თქურნი
მოისმა.

— კაზაკები! დაიძახა ვილაცამ, ხალხი დაფრთხა, ზოგი
სად გარბოდა ზოგი სად, მაგრამ უმრავლესობა მაინც უძრავად
იდგა წითელ დროშის და ორატორის გარშემო. გაჩაღდა ხელ-
ჩართული ბრძოლა ამუშავდენ ხმლები, თოფები და მათრახები;
ბევრი დაიჭრა, ბევრი დაიჭირეს, მაგრამ საღამომდე მაინც
არ შეწყვეტილა ბრძოლა: ხან აქ აფრიალდებოდა წითელი
დროშა და ხან იქ.

სხვათა შორის, მეც დამიჭირეს და მეორე უბნის სამმარ-
თველოში წამიყვანეს. იქ ვისაც მიიყვანდენ, ჯერ გაჩხრეკდნენ
და მერე უმოწყალოთ სცემდენ რეზინებით. ბევრს ჩაუმტვრიეს
გვერდები, ერთს თვალიც კი დაუფსეს. მეც ეს დღე მომელოდა,
რომ სიმარჯვე არ გამომეჩინა, მაგრამ გაჩხრეკის შემდეგ, სა-
ცემრად რომ მოემზადენ, უცებ ვისკუპე და საყენახვერიან აიფ-
ნიდან გადავხტი და ტუსალებს შეეფურთდი. ორ დღეს იქ გა-
გვაჩერეს. მესამე დღეს გადავვარჩიეს: მუშები ციხეში გაგზავ-
ნეს. ხოლო სხვები კი გაანთავისუფლეს.

ამ უჩვეულო ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სა-
ზოგადოებაზე: ზოგი აქებდა მუშათა გაბედულებას, ზოგს კი
სიგიჟეთ მიაჩნდა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ამ გამოსვლამ თა-
ვისი საქმე მაინც გააკეთა: მთავრობას შიშის ქარები შეუყენა
კოჭებში, ხოლო ჩაგრულთა უბნებში იმედის თაიგულები და-
ჰყარა.

პირველი მაისი იმავე დღეს ტფილისშიაც გაიმართა. ეს
ორი დიდი მოვლენა მე პოეზიაშიც გამოვხატე:

ზამთარს სული ეპარება,
მოდის უცხო გაზაფხული,
იხატება არემარე
და სიამით ჰფეთქავს გული...

ჩუ! აქ შაშვი აგალობდა,
იქ—ბულბული, ტკბილ ხმიანი...
გაუმარჯოს გაზაფხულსა!
ძირს ზამთარი სუსხიანი!



ეს ლექსი იმავე თვეში დაიბეჭდა „კვალში“. (თუ „მოგზაურში“, არ მახსოვს).

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა მოძრაობა. 1905-ში ხომ უმაღლეს წერტილს მიაღწია. სად იყო აღმინისტრაცია, ან ჯაშუშები? შიშისაგან ცხვირს ვერ ყოფდენ გარეთ. ყველა ბნელ ძალები სოროებში შეძვრენ. ძალა-უფლება პარტიის ხელში გადავიდა და ის იყო სრული ბრძანებელი.

მაგრამ ნათქვამია: „აღმართს დაღმართიც მოსდევსო“. და რუსეთში რევოლუციის დამარცხებას, საქართველოშიც შავი რეაქცია მოჰყვა.

ბათომშიც შემოვიდნენ დამსჯელი რაზმები ცეცხლითა და მახვილით. საექვო პირებს ქუჩებში იჭერდენ და ჰკლავდენ. არ იყო განკითხვა.

პირველ ხანებში პარტიაც ენერგიულად შეებრძოლა. ტერორსაც მიჰმართა, რომ დაეფრთხო რეაქცია: მოჰკლა ლევან გურიელი და სხვა გამოჩენილი რეაქციონერები და ჯაშუშები, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა და ისევ იატაკს ქვეშ ჩაძვრა.

ამის შემდეგ თავისუფლად დათარეშობდნენ ჯაშუშები: ათობით და ასობით იჭერდენ მუშებს და მათ თანამგრძნობებს.

სხვათა შორის, მეც დამიწყეს ძებნა. მაგრამ სოფელს შევაფარე თავი.

სამი თვის შემდეგ დაგბრუნდი, მაგრამ ვერ ვიცანი ბათომი, ისე გამოცვლილიყო. სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ყველას და ყველაფერს ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ქუჩები ცარიელი. ქარხნები დაკეტული. პარტიის ხმა თუმცა ისმოდა იატაკის ქვეშიდან, მაგრამ ძალიან სუსტად.

ყველა ამის შემდეგ ერთად ერთი საზრუნავი ციხე გახდა. სადაც ჩვენი საუკეთესო აზნაანაგები ისხდნენ გამომწყვდეული

და მეც, სხვებთან ერთად, მას დაეუკავშირდი: ვაწვდიდი რილებს, ფულს, ხერხს, ქლიბს და სხვა საჭირო იარაღებს.

ამ ხანებში ცოლიც შევიერთე და ოჯახს შრევიდი. ოჯახი, საზოგადოთ და კერძოთ კი საზოგადოებრივ მუშაობათვის მძიმე ტვირთია, მაგრამ მე არ მივრბენია მისი სიმძიმე, პირიქით, ხელს მიწყობდა, რაც ცოლის პირად ღირსებას უნდა მიეწეროს.

ამით გათამამებული უყოყმანად განვაგრძობდი ერთხელ არჩეულ გზით სვლას.

ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, პოლიცემისტერმა და მიბარა. წავედი, მაგრამ არ ვიცოდი რისთვის მიბარებდა და ათასნაირ ფიქრებს ვეძლეოდი.

— რისთვის დამიბარეთ?

პასუხის ნაცვლად წერილი აიღო ხელში და მკითხა:

— ამ წერილს იცნობთ?

მე ერთბაშად მივხდი საქმე რაშია ციო: ეს წერილი წინა დღით მივიღე ფოსტით და ციხეში გადავგზავნე. უცბად მოუ-საზრე ყველაფერი, თუ რა უნდა მეპასუხნა და დამშვიდებოთ მივუგე:

ვიცნობ, მეთქი,

— მერე და... როგორ გაჩნდა ეს წერილი ციხეში შენი მისამართით?! იცი თუ არა შენ ამ წერილს რა სუნიც უდის? ალბად, იმ იარაღებსაც შენ გზავნი ციხეში, რომლითაც ტუსა-ლები ხვრელებს აკეთებენ? ამ წერილს და იმ ბნელ საქმეებს დიდი კავშირი აქვთ ერთმანეთთან და, ვაი შენ, თუ ეს დამ-ტკიცდა: სახრჩობელას ვერ ასცდები!

— აბა, რა ვიცი როგორ გაჩნდა, — უპასუხე მე, — მე ვაჭარი კაცი ვარ და ჩემს სახელზე ბევრი წერილი მოდის ნაცნობის, თუ უცნობის; მიაკითხავენ და მეც ვაძლეე. ეს წერილიც ერთი იმათგანია. მე არც ამ წერილის პატრონს ვიცნობ და არც ის ვიცი ციხეში ზის თუ არა. ეს წერილი მთელ კვირას ეგდო ჩემთან და მხოლოდ გუშინ მოიკითხა ერთმა ახალგაზრდამ.

— შეგიძლია, დაასახელო ის ახალგაზრდა?

— სახელი და გვარი არ ვიცი, მაგრამ პირადათ კი ვიცნობ და, თუ დროს მომცემთ, მოგიყვანთ მეთქი.

მომცა მიწერილობა, ორი დღე ვადა და გამომიწევა.

სინამდვილეში არავითარი ახალგაზრდა არ არსებობდა, მაგრამ ჩემთვის დროს მოგება იყო საჭირო, რომ საქმე მომეგვარებინა; წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ციხის საქმეები მე დამატყდებოდა თავზე და, თუ სახრჩობელა არა, კატორღა მაინც არ ამცდებოდა.

გავაგებინე ეს ამბავი კომიტეტს. იმანაც ენერგიული ზომები მიიღო და გამოვნახეთ ერთი უწლოვანი და უმუშევარი პარტიის წევრი, რომელმაც თავის თავზე იღვა ეს საქმე. ასეთი ნაბიჯი უყოყმანოთ მისთვის გადავდგი, რომ, ვიცოდით, როგორც უწლოვანს, დიდი სასჯელი არ მოელოდა.

დავარიგეთ და შეორე, თუ მესამე დღეს, გარადავოს თანხლებით მიუყვანე პოლიცემისტერს.

— ყმაწვილო, თქვენ ბრძანდებით ციხის შიკრიკი?

იმან ჯერ იუარა. მაგრამ, როცა პოლიცემისტერმა მათრახით შეუტია, ერთბაშად გამოტყდა, რომ მან მართლა წაიღო ჩემგან წერილი ბიძის დავალებით, რომელიც ციხეში ზის, და რომ ციხის ალაყაფის კარებთან პურის ტომარაში ჩაავდო.

ეს წერილი მართლა პურის ტომარაში ნახეს. ჩვენ ხშირად ამ საშუალებით ვგზავნიდით ყველაფერს ციხეში მეპურესთან შეთანხმებით. ეს წერილიც ამ გვარად იყო გაგზავნილი, მაგრამ პოლიცემისტერს ისე მოვაჩვენეთ, თითქოს შემთხვევით მოხდა ეს.

ამის შემდეგ მე გამანთავისუფლეს, ის კი სამუდამოდ გადაასახლეს ბათომის საზღვრებდან; მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ ბათომში დაბრუნდა სხვისი პირადობის მოწმობით და არხეინად ცხოვრობდა მუშათა უბნებში, როცა შეგვხვდებოდით ერთმანეთს და მოვიგონებდით ამ შემთხვევას, სასაცილოდ არ გვეყოფნიდა, რომ ასე იოლად გავაბრთურეთ პატივცემული გვამი.

არც შემდეგ შემიწყვეტია პარტიასთან ურთიერთობა და ყოველს მის დავალებას პირნათლად ვასრულებდი, ვიდრე სამუდამოდ არ დაეტოვე სამიკიტნოც, ბათომიც და ქუთაისიც არ ვადმოვსახლდი. ეს მოხდა 1911 წ.

ქუთაისში ორი-სამი წლის განმავლობაში, ხან სხვა და სხვა სავაჭროებში ვმსახურობდი, ხან კი უსაქმოდ დავეხეტებოდი. პარტიულ საქმეს არც აქ ჩამოვშორებივარ, მაგრამ უფრო კულტურულ მუშაობას ვეწეოდი, რადგან საშინელ რეაქციის ხანაში სხვა გასაქანი არ იყო.

1915 წ. ქუთაისიც დაეტოვე და ტფილისში ვადმოვსახლდი სამუდამოდ. აქ, გაბაშვილის შესახვევში, პარტიამ საკუთარი სტამბა შეიძინა, მაგრამ, რადგან თავის სახელზე ვერ დაიმტკიცებდა, მე მომიწვია და ჩემი სახელით იყიდა და ნებართვაც ჩემს სახელზე ავიღეთ. ამ სტამბაში პარტიული გამოცემები იბეჭდებოდა. ეს სტამბა შემდეგ მე შევიძინე და გამომცემლობას შეუდექი...

1921 წლიდან ხელოვნების სასახლეში გადავედი და დღემდე იქ ვმსახურობ.

V

ჩემი ნაწერებიდან გამომცემულია შემდეგი წიგნები: 1. „ლექსები და მოთხრობები“ 2000 ც. (დაიბეჭდა ქუთაისში 1902 წ.) 2. „ცისკარი“ 2500 ც. (დაიბეჭდა ქუთაისში 1908 წ.) 3. „თაიგული“ 3000 ც. (დაიბეჭდა ბათომში 1910 წ.) 4. „ცხოვრების ყვავილები“ 5000 ც. (დაიბეჭდა ტფილისში 1919 წ.) 5. „ზღაპრები“ 5000 ც. (დაიბეჭდა ტფილისში 1920 წ.)

ამ წიგნებიდან არც ერთი ცალი არ მოიპოვება ბაზარზე ეხლა.

კრიტიკა მაინც და მაინც გულუხვი არ იყო ჩემს შესახებ, მაგრამ არც სულ უყურადღებოდ ვიყავი მიტოვებული. ჩემი კრიტიკოსებია: ივ. გომართელი, ვ. ბაქრაძე და აკ. პაპავა. წვრილ წერილებს არ ვიხსენიებ.

აქვე უნდა შევნიშნო, რეაქციის გაათრების გამო, იძულებულად გავხდი ფსევდონიმს ამოვფარებოდი. ჩემი ფსევდონიმები იყო ვ. ჩახრუხაძე და ხუმარა. იუმორისტულ ლექსებს ხუმარას ვაწერდი, ხოლო უფრო სერიოზულს, ვ. ჩახრუხაძეს. ამ ფსევდონიმებმა არა ერთხელ გადამარჩინეს ციხეს.

არ დაეფარავ, ჩემი პირველი ხნის ნაწერები, მეტად სადა და პრიმიტიულია, მაგრამ თამამი თქმითაც არის დადასტურებული.

სანიმუშოდ აქვე მოვიყვან რამდენიმეს:

გულის სიღრმეში იმედი
თანდათან ძლიერდებაო,
ნუ გეშინიათ, ჩაგრულნო,
თქვენთვისაც გათენდებაო,
სიყვარული სძლევეს სიძულვილს,
ერთობა დამყარდებაო,
ძალმომრეობა გაძქრება,
ცხოვრება აყვავდებაო!

ან:

მოკაშკაშე ცისკარი სჩანს,
განთიადის წინამძღვარი;
მას ნიაფი სალამს უძღვნის
და აღიდებს ვარსკვლავთ ჯარი.
ამის ხილვით აღტაცებულს,
მოუმართავს ბუღბუღს ჩანგი
და ხმა ტკბილად აწკრივლებს,
შორს გაისმის უცხო ჰანგი:
„განთიადი მოახლოვდა,
სჩანს, აწ მალე გათენდება
და წყვდიადი, საზიზღარი,
შავ კუბოში ჩასვენდება.
მაგრამ ჯერ ის მსხვერპლს თხოულობს,
სამსხვერპლოზე შესაწირავს,
და ვაშა მას, ვინც იმისთვის
უნახებლად თავს გასწირავს!“

ან კიდევ:

რა მალონებს? — ის, რომ სჩაგრავს
კარგსა-აფი, სუსტს-ძლიერი,

ღარიბ-ლატაკს-ბევრის მქონე
 და უბედურს-ბედნიერი!
 რა მალონებს? — ის რომ ვხედავ —
 ერთ მხრით ჩაგრულს გამწვარებას,
 მეორეს მხრით მჩაგვრელების —
 განჯხრომას და ნეტარებას!
 რა მალონებს? ის რომ მესმის
 ჩაგრულთ კვნესა, გლოვის ხარი,
 მჩაგვრელების, უდარდელი,
 ხან სიმღერა, ხან ხარხარი!

ეს სისადავე და პრიმიტიულობა, გამოუცდელ კალამთან ერთად, დროის მოთხოვნილებითაც იყო გამოწვეული. მაშინდელი მუშა და, მით უმეტეს, გლეხი, შეგნების და ცოდნის მეტად დაბალ საფეხურზე იდგნენ და, ვინც მათთან მისვლას მოიწადინებდა, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ელაპარაკნა და ეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წყლის ნაყვა და კედელზე ცერცვის შეყრა გამოვიდოდა.

ზემოთნათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ შემთხვევას, რაც, ჩემის აზრით, საუცხოვოდ ახასიათებს ნიშანში ამოღებულ დროს და იმ მასას, ვისთანაც ჩვენ მივდიოდით.

ერთხელ, ერთმა მოწინავე მუშამ, მოიტანა ნ. ბარათაშვილის ლექსები და მთხოვა — ჩემს ლექსებზე გადამეცვალა. მე ამან ფრიად გამაკვირვა და, როცა მიზეზი ვკითხე, აი რა მიპასუხა: „ჩემი ბარათაშვილი, ჩემო ვარლამ, შენ ხარ, რადგან შენი ენაც მესმის და აზრიცო; ბარათაშვილი კი, ვიცი დიდი პოეტია, მაგრამ ჩემთვის მიუწვდომელია“.

ჰო და, როცა მოწინავე მუშა ასეთ მოთხოვნილებას გვიყენებდა, რა ითქმის მასზე? ეს, ერთი შეხედვით, უცნაური მოვლენაა, მაგრამ ფაქტია და ამ ფაქტს მეც ანგარიშს ვუწევდი. ამან, მართალია, პირადად მე ბევრი დამაკლო, მაგრამ არ ვნანობ, რადგან სარგებლობაც მოიტანა.

ვარლამ რუხაძე

ქექსები და პოემები

მ ტ კ ვ ა რ ს

მტკვარო ხარ მეზავრი საუკუნეთა,
ბევრის მნახველი, ბევრის მომგონი:
გინახავს შეხლა ბედის ჭუნეთა,
როცა გსერაედა სპარსი, მონგოლი.

ჰბანდი „პატარა კახის“ კრილობას,
დაგიკოცნია თამარის ქოში
და სააკაძის საქმე, გმირობა
ვინ იცის შენზე უკეთ ჩვენს დროში?

გახსოვს კრწანისი, გახსოვს მარაბდა
ვაზის ჯვარი და არმაზის მსხვრევა,
ქართული ლხინი კახურ მარანთან, —
ყველა ლხინისგან რომ განირჩევა.

დღეს ხომ შაჰესიკ მოგახტა ზურგზე,
აგინთო გულში ცეცხლი ელვარე,
და, აეღვებულ თბილისს რომ უმზერ,
ჩვეულებრივზე უფრო მღელვარე.

1927 წ.



აქ გაწყდა ძარღვი მშრომელი მაჯის,
ამიღლდა ქვებში ქალაქი ვრცელი,
და შვენის თავზე დღეს ოქროს თავჯი
და დიქტატორის ძლიერი ხელი.

მას შემდეგ რაც მან სივრცე გამახა
და ცა გაავსო ქარხნების ბოლით,—
ზის ძლევის ტახტზე ისე აპაყათ,
ვით იალბუზზე ყინული ბროლი.

სავეს აქვს გული მფეთქავ გაზებით,
არ გრძნობს კუნთებში ძალთა სიმცირეს
და აელვებულ ცეცხლის ხაზებათ
ისვრის რვალის და თუჯის სიმძიმეს...

ფოლადის სული და რკინის ნება
გადმოუციათ მისთვის მანქანებს
და ელექტრობის უშრეტი გზნება
უვლის ძარღვებში და მიაქანებს.

ბრძანებს: „ყველა მე მომყევათ უკან
და დაიტვირთეთ ჩემი თვისებით,
თორემ; როდესაც ამოვხეთქ ვულკანს,
თქვენც ჭიებვივით გაისრისებით!“

და ავსებს ქუჩებს შფოთით, ამბოხით,
ისვრის ეპოქებს ცეცხლით აღსავსეს
და გამარჯვების რწმენით ნაპოხი,
საუკუნეებს წუთში ათავსებს!

ზ ა მ თ ა რ ი



ცივა ფიფქები თეთრ ზამბახებათ
და ეფინება თბილისის ქუჩებს.
გუგუნებს ქარი, ვით ამბოხება...
თუ ბაძავს მუშებს?

მტკერის ნაპირები გვანან ნატყვიარს,
თითქო დასხმიათ მტერთა მხედრები,
და ყინულებიც ისე აწყვია,
როგორც ცხედრები.

საღლაც ნაპრალში დაეშვა ყვაევი
და აცახცახდა ჩიტი ლაბუა.
ახლა წალკოტში ვარდი არ ყვავის.
ხე ჰგავს ბაბუას.

ახ, რა ტკბილია მაშინ ბუხარი,
როცა კანკალებ თოვლში შიშველი;
მაგრამ თუ არ გაქვს სული მდულარე,
ვერც ის გიშველის!

1929 წ.

ი ს ე მ ტ ფ ი ლ ი ს ი

ისევ თბილისი, მტკერის ტალღებზე გაჩერებული.
ხან ნაზი დილა. ხან გრიგალი, გადარეული.
მოვა იელისი, ხანძარივით აჩქარებული,
და ცვივა მიწას ნაპერწკლები ლადარეული.

მწუხრი ფრთებს დაჭრის და ლურჯ ტახტზე დაჯდომის
ნთვარე,

გამოვალ გარეთ და ბელინსკით გადავჭრი ვერას;
ძლივსლა ვაკავებ ყალუზე შემდგარ განცდათა მერანს
და გაშლილ ქალაქს ისარივით ვუმინებ თვალებს:

მინდა გავიგო მისი ფიქრი და მაჯის ცემა;
ის ხომ გულია საქართველოს, მზესავით სრული!
შემდეგ ლექსისთვის ეს იქნება ახალი თემა,
თუ მივწვდი ჟამს და დავიჭირე ეპოქის სული.

დღევანდელი დღე დაჭრილია ელვის ხანჯლებით:
წუთის თვალებში საუკუნე ზის და ელვარებს;
დაჭრის რადიო, აკავშირებს ყველა მწვერვალებს...
და იხურება ძველ განცდათა ხსოვნის ფანჯრები.

1928 წ.

ახალი სოფლის სურათი

ახალ სოფელში შევიტანე ახალი თვალი,
მაგრამ აქ ვნახე ძველი სახეც, ნახევრად მკვდარი,
და იმ ქანდრის ქვეშ, სადაც ერთხელ რეკავდა ზარო,
ჩამოვჯექე ქვაზე და გავზომე აღსავლის კარი;

აქ ეკლესია, მათე მღვდელი რომ ლოცულობდა,
იდგა მოწყენით. არ ამკობდა მაღალი ჯვარი.
დუმბილით საესე მისი არე და მოცულობა,
სიცალიერეს დაეტვირთა და სცემდა ქარი,

შორს გუგუნებდა ტრაქტორი და პურის საღებავი...
და ცაცხვის ძირში კოლექტივზე მსჯელობდა ხალხი.
ხოლო ერთი კი იდგა განზე, გულდაღებული,
ტვინის უჯრედში უბრუნავდა ზრახვები თაღბი.

დალამდა. ცაში აციმციმდა ვარსკვლავის თვალი
და, ვიდრე ჟამი შუალამის თორმეტს დაჰკრავდა,
მოულოდნელად უმადლესი ავარდა ალი —
და კლასთა შორის ღრმა უუსკრული უფრო გაღრმავდა.

1929.

ლ ე ქ ს ი ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ზ ე

შენზე ლექსები ითქვა მრავალი,
ბევრმა გაქო და ბევრმა გადიდა,
მაგრამ ქანდაკი ცეცხლის ჯაგარით,
ერთმაც ვერ დადგა, ვფიქრობ, ათიდან!

შენ იყავ კაცი მართლაც და მდევნი,
მოუდრეკელი და სასახელო...
და, მახსოვს, ერთხელ ნაძალადევით
რომ გადასერე გზა სასახლემდე.

გაგვირგვინებდა ალლო მუშური,
ეტრფოდი საქმეს ჯერ გაუგონარს:
და ბოშბი, როგორც ყველი თუშური,
მტარვალ გრიაზნოვს ქვეშ გაუგორე!

თავისუფლების დიდი მაყარი,
სახრჩობელაზედ დინჯად ახველი,
რომ გეხსნა ხალხი, ბორკილ ნაყარი,
ათას კირის და ტანჯვის მნახველი.

ეს დიდი საქმე შენ რომ არ გედვა,
შრომის უბნები აოხრდებოდა,
მოიბურავდა ცრემლთა ნისლს ხედვა,
მრავალი გული აოხვრდებოდა.

მაგრამ გასრისე უეცრად გველი,
პასუხმგებლობის შესვი ფიალაც...
და დღეს, როს მოჰკვდა რეეიმი ძველი,—
შენმა სახელმაც ცამდე იალა!

და ეს დიდება ყველა დიდებას
ჩრდილავს რაც დღემდე თქმულა ოდებით;
სამშობლო ქვეყნის საზღვრებს სცილდება
და ტვირთავს მგოსნებს განცდის ზოდებით.

და შენზე ლექსი ითქვა მრავალი,
ბევრმა გაქო და ბევრმა გადიდა,
მაგრამ ქანდაკი, ცეცხლის ჯავარით,
ერთმაც ვერ დადგა, ვფიქრობ, ათიდან!

1929.

ს ა უ ბ ა რ ი ბ უ ლ თ ა ნ

გულო მიმჯდარხარ ჩონჩხების ღრუში
და სვამ სისხლის ღვარს, ქცეული ქვევრად.
გაპყრია თავზე ფიქრები ტვერად
და გრძნობ—არა ხარ ცხოვრების ბუში.

გაქვს გამძლეობა ძვალმაგარ მუშის
და ებრძვი ტალღებს, ვით ღელვას აფრა.

გაწვალეებს მიწა ჯერ ისევ მძაფრად,
თუმც იგი არ ხარ, რაც იყავ გუშინ.



დაგისაყადა დრომ თმები ვერცხლით
და ჩაგიღრმავდა თვალთა გუგანი,
თითქო დანელდა მთაში ვულკანი
და მოგუზგუზე დაივსო ცეცხლი...

ჯერ ფრთები მაინც გასხია მერცხლის,
ხარ დატვირთული განცდის ბარაქით,
არ დაგლევი სიტყვის მარაგი
და არც თუ ალლო გაკლია მეცრის.

მახსოვს სოფლის ბიქს, გიყვარდა ზვრები,
მაგრამ გაეჭეც სიბნელეს ოხერს...
პოეზიაში ტანჯვის გზით მოხველ
და სილამაზის დაჰყარე ცვრები.

ვერ გაშინებდა შენ მიწის ძვრები,
უმღერდი ხანძარს—ყოფნის შშვენებას:
ქვეყნის გაწმენდა იმით გენება...
დღეს კი დუმილის ხვრელში რად ძვრები?

ეს ტრადედია თუ ასე დარჩა,
ვერ გადალაბე უფსკრული ნავსი,—
მოეკიდება შენს სიტყვას ხავსი
და გარდიქცევი მეძველე ჩარჩად:

ახალი სიტყვის გაშალე ფარჩა
და თანადროულ ჩარჩოში ჩასვი;
ფოლადით კვებე, რადიო ასვი...
რომ ეპოქალურ სიმდიდრეთ დარჩეს.

რაც იყო გუშინ, დღეს აღარ არი;
ეხლა ახალი უნდა ეძიო:
გაქანებულ ეამს რომ დაეწიო, —
უნდა გაფრინდე ექსპრესით ჩქარით.



მაშ დაიჭირე ეს ფიცხი ქარი
და ვადიქროლე ამ ხიდზე ბეწვის:
აქ რომ დამჯდარხარ და თვალი გეწვის, —
არ სჯობს შეაღო ებოქის კარი?

1930 წ.

ე. ნინოშვილის ხსოვნას

მიყვარს, ტფილისო, შენი არე, სიგრძე თუ განი,
თუმც მახრჩობ ხშირად ტალღებით, ქარით და მტვერით.
ვიცი მაშინაც, ჩემო კარგო, არა ხარ მტერი,
როდესაც გარწევს აკვანივით მეფე ვულკანი.

ვარ ჩაკეტილი შენს სიღრმეში, ვით ოქროს ფონდი,
დავიარები შენს უბნებში დამის ქურდივით;
თავზე გახურავს ეს მთაწმინდა ბუხრის ქუდივით
და უკან მომსდევს ტრამვაი და მუხლუხო ფორდი.

როს ვუცქერ ამ მტკვარს, რკინის ხელმა რომ გადაღობა
და შენს ქუჩებზე გადმოღვარა ნათელ ღვარებათ, —
ვამბობ: მეოცე საუკუნის აელვარებას,
ძველი ქვეყანა ვერ გაუძლებს და გადაყობა!

და მაგონდება ნინოშვილის სიტყვა ახალი,
აქ, შენს წიაღში, რომ დაირხა მფეთქავ ალებათ:

გვემცნო წინასწარ—ძველი ყოფის გარდაცვალება
და დაგვიტოვა საქმე დიდი, მთაზე მაღალი.



და მიხარია, რომ ირღვევა ჯამი უკუნი,
და მიხარია, რომ შენს ქუჩებს ვეალერსები:
მსურს ყუმბარებათ იქცეს ყველა ჩემი ლექსები,
რომ მუშათა მტრებს თავზარს სცემდეს მძაფრი გუგუნის!

განა, ტფილისო, შენს კუნთებში მუშა არ მღერის?
ჰოდა, როს ეხედავ შრომის გმირთა თვალთა ანთებას,
თუჯსა და რკინას რომ ისერიან მძიმე შანთებათ,—
მიყვარს ქვეყანა, საღ ჩაქუჩი და გრდემლი ჯღერის!

1930 წ.

ნ უ მი ც ქ ე რ თ ი მ ვ ი თ!

ნუ მიცქერთ ივეით! მუშათა მტერი
არცა ეყოფილვარ და არც ვიქნები!
ჰო, გადახრები თუ არის ჩემში,—
ქარტებილებიც იყო მრავალი!
მე ხომ ორი დღის მოსული არ ვარ?—
სამოცი ლოდი მაწყვია მხრებზე!
მაშ, საბოდიშოც არათფერი მაქვს,
რადგან ვიყავი მუდამ გულწრფელი
და ანგარება არ მედგა გულში!

მიყვარდა მუშა და მისი საქმე:
ხშირად ბურჯივით ვუღეჭი მხარში!
ის დღესაც მიყვარს და ვმღერი ასე:
მუშის ძალ ლონეს ნუ ზომავთ მეტრით!

გუშინ თუ მონას ედარებოდა
 და დადიოდა თავჩაქინდრული...
 დღეს ის ავტორაშს მოჰხტა ზურგზე
 და ინდუსტრიის მოაქვს სიკეთე!
 სწურავს ჭახრაკით მდიდარ კულტურას,
 რაც შეუქმნია კაცობრიობას:
 არჩევს იქიდან საღ ელემენტებს
 და მით აშენებს ახალ ქვეყანას,
 უცნობ ქვეყანას, შრომის ქვეყანას,—
 სოციალიზმი რომ ეწოდება!
 ჰო, არ დაფთარავ: ნაკლიც ბევრი აქვს
 და შეცდომებიც — უანგარიშო,
 მაგრამ ვინ არის მით დაზღვეული! —
 ვინც აღის ჯიქურ მყინვარის წვერზე,
 მას ხშირად ფეხიც დაუცურდება,
 მაგრამ ხიფათი რომ აიცილოს,
 წონასწორობას უცებ დაიჭერს.

დიდხანს ითმინა, დიდხანს იცადა,
 საუკუნეთა ზიდა სიმძიმე.
 მკვლავ მოიცადოს? როგორ იქნება! —
 ის უკვე შედგა მტკიცე ნაბიჯით
 საბედისწერო მიჯნის აღმართზე
 და სურს ქარივით გადაიქროლოს
 რომ მტრის ისარი ვერ მოწვდეს ზურგში.
 ყური დაუგდეთ: არ გესმით განა
 როგორ ხმაურობს იმის კუნთებში,
 სისხლი კი არა, — რადიო ცეცხლი!?!

ე ჰ, ძ ნ ე ლ ი ა!

ეჰ, ძნელია, როცა კაცი
ორ ღმერთს მონებს თანასწორად:
მისი სული, მისი გული
ვაყოფილი არის ორად!

სად მგოსანი, სად ვაჭარი,
მათ საერთო რა აქვთ ნეტა?!
ფუი იმას, ფულის ყუთში
ჩემი ბედი ვინც ჩაკეტა!

როცა დავთარს ჩავკირკიტებ,
თამასუქებს ვაწესრიგებ,
ჩოთქზე გავდი-გამოვდივარ
რამდენს ვაგებ, რამდენს ვიგებ,—

მაშინ იქვე ჩემი მუზა
კედელზეა ატუზული
და მდულარე ცრემლებს აფრქვევს,
საცოდავად მობუზული!

მაგრამ როცა მასთან ერთად
დავნავარდობ მინდორ-ველში,
ხან ცის ლაქვარდს ვავეკვრები,
ხან მივძვრები უფსკრულ-ხვრელში,—

მაშინ კი ჰკვნესს ჩოთქ-დავთარი,
უპატრონოდ მიგდებული,
და მეძახის: მოდი! მოდი!
სასოება მიღებული.

ეჰ, ძნელია, როცა კაცი
ორ ღმერთს მონებს თანასწორად.
მისი სული, მისი გული—
გაყოფილი არის ორად!



მ ე ლ ა ზ ა მ თ ა რ ი

თოვს და ფიფქების კორიანტელი
პეპელეებივით ირევა ცაში,
საესეა მიწა თოვლის ფანტელით
და აგერ ქარმაც მოავდო რაში.

დაეშვა სვაფი სადღაც ნაპრალში,
რომ მოიოხოს ლეშით გუნება.
მეც გადავეარდი ზამთრის ზღაპარში
და ვუსმენ ქარის აგუგუნებას.

ნეტა ვიცოდე ამ თოვლს რა უნდა,
რომ დამეკიდა გულზე ლოდივით?!
მე ასე ვფიქრობ დღესაც და მუდამ,—
ზამთარი მაინც მოდის ლოთივით.

ორმოცჯერ მაინც დამბურა თეთრად
და, ალბად, ვიდრე სულ არ გავცვდები,
ჩემს გულში იგიც იქნება კეთრად,—
და მტვირთავს ხშირად მძიმე განცდებით.

და ვერ მაშინებს დღეს ეს ხაზარი
და მისი სუსხთა მკაცრი კვეთება;
ის თუ ყინვაა, მე ვარ—ხანძარი
და ვიცი მაღალ ცეცხლის კეთება.
1916 წ.

ვულკანის მოლოდინში

მიწა გუგუნებს, მიწა ზანზარებს,
ხომ ხედავთ აგერ მის ღრმა ნაბზარებს?
აღბად ვულკანიც ამოხეთქს მალე
და ნანგრევებში ჩაფლავს ამ ზარებს!

ბეკრს ეშინია: თრთის და კანკალებს.
მე ეს მოვლენა ისე მახარებს,
მე ისე მიყვარს განწმენდის ცეცხლი,
რომ ჩემი სული ცეკვავს, ხარხარებს!

მიწა გუგუნებს, მიწა ზანზარებს,
ხომ ხედავთ აგერ მის ღრმა ნაბზარებს?
აღბად ვულკანიც ამოხეთქს მალე
და ნანგრევებში ჩაფლავს ამ ზარებს!

1917 წ.

ღ ი ღ ე ბ ა

(საბალხოსახლის 30 წლის იუბილეის გამო, ტფილისი).

ძებნა თბილი მზის. სიცივე და კანკალი.
ჩანგალი სევდის ესო გულს ყველას.
შველას ითხოვდა დიდი და პატარა.
გვატარა ბედმა დიდხანს ტანჯვის გზაზე.

და ასე: არ გვეჭონდა თავშესაფარი!
ლამპარი განახლების სად აგვენთო,
რომ გაგვეთბო გაყინული გულები,
წყლულლებით და იარებით დახრული?
ზღაპრული მოვიდა კაცი იღუმალ,
უმაღ აიღო ხელში აგური და ქვა
და რქვა: „აჰა, სახლი ესე დიადი!“
და განთიადის მოისმა ზარის რეკა.
დრეკა დაიწყეს სიბნელის მთებმა.
ხმებმა ცეცხლოვანმა დაჰფარეს ყოველი.
ცხოველი სიხარული ეუფლა ხალხს...
დიდება, დიდება სახალხო სახლს!



ბ ა ნ თ ი ა ლ ზ ე

განთიადზე ჩემთანაც მოდის მუშთა მფარველი,
შთაგონების ცეცხლს მინთებს, ვიწვი მთელი არსებით;
სულს სცილდება ჩინჩხალში სიფერმკთალე ფარველის,
ბრწყინავეს შემორითმული ალთა ასონანსებით!

მაშინ მთელი სამყარო ჩემ გულში იხატება,
ვით ზღვაში ფირუზი ცა, ვარსკვლავებით ნაქარგი;
ქალარა მავიწყდება, გრძნობა სჩქეფს ნაკადებათ
და ვიძახი: სიცოცხლე რა კარგია, რა კარგი!

ქაბუკურ გატაცებით ვაწყკრიალებ ჩანგურსა
და ამ ხმებში ისმიან ტკბილ მომავლის ჰანგები,
სადაც სევდა არ სტირის, არც კვნესს ფიქრი ჩაგრული,
სიყვარულზე მღერიან შვების ფარშევანგები!

1920

რ კ ი ნ ი ს კ ა ნ ო ნ ი

ეს საუკუნე, — ფოლადის გვერდით
და მოელვარე რკინის თვალებით, —
ამბოხებათა ქარცეცხლის მკვესი, —
მოჭფრინავს ჩვენსკენ წითელი რაშით,
რომ ძველ ქვეყანას აუგოს წესი.

გუგუნებს ალი კიდით კიდემდე,
ქანაობს მიწა, ირყევა ზეცა
და ეკარგებათ ძველ ღმერთებს ფასი,
დღემდე ჩვენს გულში რომ ედგათ ტახტი,
და იწერება ახალი მრწამსი.

არის ჰიდილი ორ ქვეყნის შორის
დაუნდობელი და საშინელი,
ურთიერთს მუსრვენ ადამის ძენი
და სისხლის სუნით გაელენთილია
ჰაერი, ნიწა — სამყარო ჩვენი.

ახლოა წამი საბედისწერო
და მის წინაშე კაცის გონება,
ვით საფლავის წინ, თრთის და კანკალებს,
ექვთა ბრჭყალებში გამომწყვდეული,
თითქო წააწყდა შავბნელ ნაპრალებს.

ცხოვრება კი სდუღს, წინ მიისწრაფის,
ისმის გრიალი მძვინვარ ტალღათა
და ბრძანებს: „თქვენ, ჰე, ვისაც გსურთ შველა,
ჩქარი ნაბიჯით იარეთ წინ-წინ:
წინ — სინათლეა, უკან კი — ბნელა!“



და ჩვენც მივდივართ. ვისთან ან საით —
არა გვაქვს კარგათ წარმოდგენილი,
მაგრამ დარჩენაც არ შეიძლება:
ასე გვიბრძანა მეფე-ცხოვრებამ
და მისი სიტყვა, ვით შეიცვლება!

1920 წ.

ს უ ლ ს

სულო! იყავი მოუსვენარი,
ღრუბელთა შორის დასდევდი ელვას,
გიყვარდა ფრენა, ფიქრი ზენარი,
და უმღეროდი ქარიშხალს, ლელვას.

ფიქრით ეძებდი შორეულ ნათელს,
მეუდაბნოეს ჰგავდი მწყურვალეს;
აღთქმის ტაძარში ანთებდი სანთელს
და აღავლენდი ლოცვებს მხურვალეს.

ქვეყნის ვარამი გარს გერთყა საღტეთ,
ხედავდი ირგვლივ ცრემლებს და წყლულებს
შენ კი იდექი მათშორის სალ-კლდეთ:
ცეცხლით ანთებდი გაყინულ გულებს.

შენ არ ყოფილხარ სათუთი, ნაზი,
მაგრამ ცხოვრება ნაზია განა?
და შენც გრგვინავდი მუდამ, ვით ფაზი,
და ხელში გეპყრა ელვარე დანა.

ვერ გაშინებდა ღამის სიბნელე,
რადგან არ გრწამდა ყოფნა ღანდური:
ბევრჯერ შეგემთხვა გზაზე სიძნელე,
არ დაგივდია რწმენის ფანდური.

შენ ასეთივე დარჩები მარად,
ველარ გამოგცვლის ჟამთა ტრიალი,
ვიდრე არ მიხვალ სამარის კარად
და არ დაგფარავს ლოდი ტიალი.

და თუ ხანდახან წაიფორზილებ,
გულში მოგხედება ფინთიხი მწყველელი,
მაშინაც იტყვი: დავლუწ ბორკილებს,
და მახვილისკენ გაიწევეს ხელი.

1921 წ.

ბ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს ♪ ნ

ა.

ღღეს სხვანაირი დაგვიდგა ხანა:
ცვალებადობის სცვივა რგოლები...
ძალა გონების მიწვდება განა

ყოველი წამი—საუკუნეა:
ელვის სისწრაფით განაქროლები,
ლურჯას ტორებიც მასთან—დუნეა.

რასაც არ უღის სიახლის სუნი,
დაფარულია ხავსით და ობით,
ღირსია გმობის... და მძულს, ვით მუნი.

ბ.

დაობდა გული კაცობრიობის;
მოწყურდა სისხლი, სვამს და ვერ ძლება
და ისე ლპება, როგორც იობი.

თვით დედამიწაც გადაცდა ორბიტს
და ახლა იგი ბეწვზე ჰკიდია;
საფრთხე დიდია: სიკვდილი მორბის.

ფართოდ გააღო შიშმა თვალები
და ნაპრალის წინ ცახცახებს სული,
მთლად დაისრული ტანჯვის რვალებით.

გ.

ქვეყანა ძველი დე დაილუპოს:
მის ნანგრევებზე სხვა აშენდება
და აგეშორდება სისხლი და კუბო!

ფერისცვალება მოვა მზიანი:
თვით სიმახინჯე გალამაზდება,
და დაფასდება ადამიანი.

ელექტრო მზესთან წაიღებს ბარათს.
რკინის ანთება გადაფერავს სულს:
და ხატებას სრულს მივწვდებით მარადს.

1922 წ.

* *

მე დავიღალე ამდენი ფიქრით
 და დაიფერფლა სული ანთებით;
 ოცნება მაინც ფრთა გაშლით მიჰქრის,
 ვით კოლხეთისკენ არგონავტები.
 არ ვიცი, ფიქრმა ფრთა სად დახაროს
 და შეიკედლებს მხარე რომელი:
 მიწა—ვიწროა, ვრცელი—სამყარო
 და ნაპირები—მიუწდომელი;
 გზა—მრავალია და დასერილი
 საბედისწერო ჯვარედინებით,
 სისხლით მორწყული და დაქსელილი;
 ვით ცა ღრუბელთა ფარატინებით—
 ვით ქარავანი გაბმულ ქარავანს,
 ამ გზაზე კუბო კუბოს აცილებს,
 და გულს იმედის აცლის შარავანდს
 და სტოვებს სულში ეჭვთა ბაცილებს.
 და დავიღალე ამდენი ფიქრით
 და დაიფერფლა სული ანთებით;
 ოცნება მაინც ფრთაგაშლით მიჰქრის,
 ვით კოლხეთისკენ არგონავტები.

1922 წ.

დ ე ი ყ ო ს ბ ო დ ვ ა

დე იყოს ბოდვა, მაგრამ იყოს ბოდვა ლამაზი,
 პოეზიაში გადავარდნა და გაქანება.
 ჩვენ ერთხელ კიდევ გავაფრინოთ ცეცხლის გავაზი.
 დე იყოს ბოდვა, მაგრამ იყოს ბოდვა ლამაზი.

გადავუშალოთ ახალ განცდებს ფიქრთა დარბაზი,
თორემ დაგვამსხვრევს, თავდაღმართი და დაქანება.
დე იყოს ბოდვა, მაგრამ იყოს ბოდვა ლამაზი,
პოეზიაში გადავარდნა და გაქანება!



1922

ჩ ვ ე ნ ს კ ო ე ტ ი ბ ს

ვინც კი დამწვარხართ პოეზიის მზიური მადლით,
ყველა მიყვარხართ განურჩევლად, მარჯვნით თუ მარცხნით.
(ზოგი თქვენგანი აღმაცერად თუმც დამცქერს მადლით.
ვიცი: უნდილი ამაყობა თავდება მარცხით).

ღიახ მიყვარხართ, ლამაზებო, ვით ცის ლამპარი...
თქვენც შეიყვარეთ ერთმანეთი ქაბუკურ გზნებით:
დე იყოს ჯიბრი, მაგრამ ჯიბრი, ტრფობით გამთბარი
და პაექრობა წინსვლის ეინით ნაჩუქურთმები.

ცხოვრებას ბევრი ბილიკი აქვს და ხვეულები.
ამ იღუმალ გზებს გავყვით ჩუმიად, ვით ტალღებს გედი.
ჩვენ ხომ მსოფლიოს უცაბედი ვართ წვეულები,
გეზიც ერთი გვაქვს: უნდა ვნახოთ პარნასის ქედი.

მაშ, პარნასისკენ!.. ჰო, იქ ასვლა ფრიად ძნელია,
როგორც გარღვევა ეკალ-ნარის შიშველი მკერდის;
ბევრი ჩვენგანი ფეხს მოიტეხს, უეჭველია,
მაგრამ ვინც ავა, — ნეტარებდეს რუსთაელის გვერდით!

3. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ს



მისი იუბილეის გამო

შენ მგოსანი ხარ, ამკინდავი ხმათა ფერების,
რაც ჟამთა დენას ბუნებაში გამოუსახავს.
ყველას აოცებს ჯადოსნობა შენი ბგერების.
შენ მგოსანი ხარ, ამკინდავი ხმათა ფერების.
შენში წკრიალებს ხმაურობა ვერცხლის ჩქერების:
ჯერ საქართველოს მსგავსი შეილი სხვა არ უნახავს,
შენ მგოსანი ხარ, ამკინდავი ხმათა ფერების,
რაც ჟამთა დენას ბუნებაში გამოუსახავს.

გვეძვირფასება, მშვენიერო, შენი სახელი,
ვით საქართველოს უბორკილო სული მარადი:
შენა ხარ მისი უკვდავების გამომსახველი!
გვეძვირფასება, მშვენიერო, შენი სახელი.
დღეს ყველა ხარობს და ზეიმობს შენი მნახველი,
და მეც მოვედი—ეროვნული ენახო პარადი.
გვეძვირფასება, მშვენიერო, შენი სახელი,
ვით საქართველოს უბორკილო სული მარადი!

3. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ს

მისი გადაცვალების გამო

დიდო მგოსანო! ტკბილ ხმათა მეფეს
ჯადო სიმები დაგიწყდა ლირის...
და ახლა შენთვის ყვავილებს კრეფენ
და ახლა შენთვის შოპენი ტირის!

წიგნბარ კუბოში და ცივ თვალებში
ქართული გრძნობა ისევ ანთია,
თითქო მზე იწვის სხივთა ლალებში!
თითქო ღრუბლებში ელვის შანთია!.

დაეცქერ მაგ ხელებს, გრძნობა მახელებს,
გულში შრიალებს სევდის ზეფირი...
ვანო! შენსავით ვინ გვასახელებს?!
ვანო! სხვა ვინ გვყავს შენზე მზეპირი?!

შენზე წუხილი საღს ქვეშ დაიტანს
და ერის ფიქრიც წაგყვება თანა...
ეთერი ამ დარღს ველარ აიტანს!
ეთერი გულში დაიცემს დანას!

1924 წ.

ქ ა ლ ს

მესაყვედურები: „პოეტო, გულზავო,
რად დამივიწყე და ამიარე გვერდი?“
მაპატივე, დაო!

დაქრილი ჩაგრულთა ბედით, ბრძოლის ჰიმნს ვმღერდი
და შენ კი, კაცობრიობის ნახევარი,

დედა და ცოლი,

აკვანთან ღამის მათეგარი,

სიყვარულის აუზი, სილამაზის ბროლი,—

სულ დამავიწყდი,

თითქო არც კი შემხვედრიხარ გზაზე.

მაპატივე, დაო! სირცხვილის მახვილს ამოვიწვდი
და შენს წინ თავს დავხბრი... აი ასე.

მხოლოდ დღეს მოეხადე სულს საბურავი
და გავხსენი ძველი ყვავილები, შეკრული რითმით.
ამ დროს შემომესმა შენი სამღერავი
და მივხვდი: ჩემ სიმღერას აკლდა შენი რიტმი, —
ქველაზე უნაზესი
და სინარნარით დატვირთული.
ქმნილებავ უმაღლესო
და საიდუმლოებით დაბინდულო!
დღეიდან შენს სურათსაც დავიკიდებ
ჩემ ლექსთა დარბაზში,
ჩემს ლოცვებში გადიდებ,
და იქნები... ჩემი არმაზი!

1924 წ.

ქ ა ლ ა ქ ი ს ს ა მ კ ა უ ლ ი

მქონდა სოფელი, ვრცელი და კობტა,
შემოფარგლული ტყით და ველებით;
დავთამაშობდი მკვარტლიან ქობთან
და მაშინებდა ხშირად გველები.

და როცა ღამე ნახშირს დაყრიდა
და ბაყაყეთში იღვა კონცერტი, —
ისე უსშენდი ვიწრო სარკმლიდან,
თითქო მუსიკა იყო მოცარტის.

მზიბლავდა ბალჩა ფერადი ხილით,
მსხალის და ვაშლის ვიყავი ტურა:
ბევრჯერ ვეკიდე ხის ტოტზე ღილით
და მაქანებდა ნიავე მტრულად.

მაგრამ დაეტოვე მწვანე კარვები
და შევიყვარე ქალაქის სული,
და დამაქვს ახლა მისი ქარვები:
ბრძოლა, იმედი, ექვი და წყლული.

1924 წ.

ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ვარ მრავალ სახე ქამელეონი,
ვთი მას, ვინცა სიცოცხლე მანდოს:
მე დავანარცხე ნაპოლეონი,
გილიოტინა დავუდგი დანტონს;

აფუგე წესი რომს, ერთხელ მოკმულს,
და ბაბილონიც დავასამარე...
მაგრამ, თუ ვარღვევ ძველს და დრო მოკმულს,
ახალ ყოფასაც მე ვარ საფანე.

უჩემოთ მიწაც გადაცდეს ორბიტს,
გზა აერიოს მზეს და ნიავებს.
დე იცოდეს, ვინც ჩემსკენ მორბის:
მე ვარ სიკეთე! მე ვარ სიავე!

1924 წ.



ძიების კარზე ჩამოვკიდდე ჩემი ჩანგური:
 პოეტს არა აქვს სამყაროში არსად სადგური.
 ის ყველგან არის, როგორც მზე და როგორც ჰაერი:
 უყვარს განცდები ფერადი და ნაირნაირი.

ხან მეშვიდე ცას აცილდება, ხან უფსკრულშია:
 მთელი სამყარო ხელთ უპყრია და მის გულშია.
 პოეტს არა აქვს სამყაროში არსად სადგური:
 ძიების კარზე ჩამოვკიდდე ჩემი ჩანგური.

1925 წ.

ა ვ ტ ო კ ო რ ტ რ ე ტ ი

ცხვირი არწივის. შუბლზე ფიქრი ღრმად დაკეცილი.
 წელთა სიმრავლით დატვირთული და თმა ქალარა...
 არ მწყალობს ბედი: ქინკამ მაინც ჯერ ვერ გამლალა,
 თუმცა ფერმკრთალი ვარ, ვით ქლიავი, და გაცრეცილი.
 გაფურბი ქუჩებს: წიგნებთან ვარ სულ მოკეცილი.
 მეგობრებისთვის, შეხვედრის ქაშს, ღიმი მაქვს ღალად.
 არ მიყვარს ღვინო, და თუ შემხვდა, ვსვამ მუდამ ძალად...
 და ვიცი სიტყვა ერთი ციდა და მოკვეცილი.
 ლექსის წერაში მე არავის არ ვეჯიბრები:
 მაგრამ პარნასზე სხვებთან ერთად მეც მსურს ავიდე...
 ეჰ, დიდხანს ჰკლავდა ჩემ სულს ჩოთქი და მჟღე ციფრები!
 გადავცდი საზღვარს, მაგრამ ახლა უფრო ავინთე,
 გამიორკეცდა სიყვარული საგრულთა ბედის:
 ალბათ უნდა ვსთქვა სიკვდილის წინ სიმღერა გედის!

1925.

ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს პ ი რ ი



ისევ სოფელი: ტყე, ველი, ეზო...
მოდის აპრილი, ვით ჰანიბალი.
ხსნის გაზაფხულის უნაზეს სეზონს:
ია, ტყემალი და ალუბალი!

ორლობეები აივსო ხმებით,
მზემ კი ღაღარი კალთით დაჰყარა,
და, მოფრენილი ქალარა მთებით,
ცეკვავს ნიავე—ცელქი მაყარი!

ისევ სოფელი: ტყე, ველი, ეზო...
მოდის აპრილი, ვით ჰანიბალი.
ხსნის გაზაფხულის უნაზეს სეზონს:
ია ტყემალი და ალუბალი!

1927 წ.

შ რ ო მ ი ს ბ მ ი რ ს

მოდის ქაბუკი შორი სოფლიდან
და ქარხნის ბულმა დაგწვა თვალები.
არ იყო შენთვის უცხო ოფლი და
ლუკმა პურისთვის გარჯა, წვალემა:

კარგად იცნობდი ფარცხსა და გუთანს,
ებრძოდი შავ ხვედრს ჯერ ერთი ციდა.
უნთებდი სანთელს ქრისტეს და გუდანს,—
მაგრამ ღუმელი ცვივოდა ციდან.

შრომა ამოდ გეკარგებოდა;
ან რას მოგცემდა ხრიოკი მიწა?
თვალწინ სხვა კუთხე გეხატებოდა,
სადაც სიმდიდრე ზღვასავეით იწვა.

და ქალაქისკენ გამოიქეცი,
რომ გაქცეოდი ტანჯვათა კოცონს.
და დღეს, როს შრომის ბურჯად იქეცი,
იგონებ წარსულს და თავი მოგწონს.

მაგრამ მაშინ კი სულ სხვას ფიქრობდი,
როცა მიგჯაჭვეს მანქანის ლერძზე,—
გულში ჩაგიჯდა სევდის მიკრობი
და კმუნვის ლოდი დაგეცა მკერდზე.

ვით გალიაში ჩასმული ლომი,
ეხეთქებოდი გამურულ კედლებს;
მაგრამ ძნელია სიმშვილთან ომი,
როცა მოგისევს შავფიქრთა მხედრებს.

ბედის განაჩენს ჟამით დანებდი,
იტვირთე შრომა აუტანელი,
და ასრულებდი, რასაც ბრძანებდა
ოქრო, ცივი და გაუტანელი.

ჰქმნიდი სიმდიდრეს—ის სხვას მიჰქონდა
და კითხულობდი: რად ხდება ასე?
და შენი ფიქრი ნელ ნელ მიგორდა
სიმაართლის ბჭესთან... და ეძმე მასებს.

და დაიგრგვინე: „დავლევოთ, ძმებო,
ეს ბორკილები, ოქროს და რკინის,

რომ მოგვესალტვია უჩინრად ძვლებზე
და ანთებს გულში ტანჯვის საკირეს!



და შემდეგ მუდამ ორ ფრონტზე იბრძვი,
არ იცი შიში, არ იცი დაღლა,
ქვეყნის სიკეთის შეგნებით იწვი
და „შრომის გმირი“ გქვიან შენ ახლა.

1928

ძველი ადამიანი პოეტის სამსჯავროს წინაშე

თუმცა ოთხფეხი გაიმართე და ამეტყველდი,
მსოფლიოს გულში ღრმად გაავლე გონების თვალი,
გაიგე ყველა საიდუმლო მისი შენობის,
არ დაგიგდია უხილავი ერთი ატომიც, —
მაგრამ ჯერ მაინც ცხოველური გაქვს გულის ძგერა
და იგივე ხარ, რაც იყავი, ადამიანო!

კიდევ გაფრინდი, გადასერე ოკეანეთი,
გააპე, სივრცე, თავს მოეფლე ჩრდილო პოლიუსს
და გინდა ახლა გადაფრინდე მარსზე, მთვარეზე, —
მაგრამ ჯერ მაინც მიკრული ხარ მტკიცეთ მიწაზე,
მისი ზრახვებით იკვებები ისევ და ისევ
და, რაც იყავი, იგივე ხარ, ადამიანო!

რაც ზღაპრათ თქმულა, სინამდვილეთ აქციე ყველა,
სასწაულები გადმოყარე დედამიწაზე,
გინდა სიკვდილიც შენს კანონებს დაუმორჩილო, —
მაგრამ გული კი, უდიდესი სიცოცხლის კერა,

სულ დაგავიყუდა: ვერ განდევნე მისგან აფთარი,
და იგივე ხარ, რაც იყავი, აღამიანო!



შრომას შეაბი ბორკილები ოქროს და რკინის,
ტყვიას აეფებ, პურს დაადე სიცოცხლის ფასი,
მართავე ზარბაზნებს, ხშირად მოგვეყავს ცეცხლის წვიმები,
მთელი ყვეყანა სასაფლაოდ გადააქციე, —
მაგრამ ერთხელაც არ გიგრძენია გულის ტკივილი
და რაც იყავი, იგივე ხარ, აღამიანო!

ძრწოდე მტარვალო! უკვე დაჰკრა შენმა საათმაც:
ახალ ცხოვრებას უნდა მოჰყვეს ახალი კაციც,
უფრო მაღალი, უფრო დიდი, ვიდრე მსოფლიო,
რომ თავის გულში დაიტეოს ცაც და ქვეყანაც;
მიმოანგრიოს ზღუდეები სხვა და სხვა გვარი
და გზა გაუხსნას თავისუფალ შემოქმედებას.
იქ, სადაც დღემდე შხამს ანთხევდი, აღამიანო!

1929 წ.

ი მ ე ლ ი

გულის სიღრმეში იმედი
თანდათან ძლიერდებაო;
ნუ გეშინიათ, ჩაგრულნო,
თქვენთვისაც გათენდებაო;

სიყვარული სძლევს სიძულვილს,
ერთობა დამყარდებაო;
ძალმომრეობა გაჰქრება,
ცხოვრება აყვავდებაო,

1898 წ.

ნ ა წ შ ვ ე ტ ი



ადამიანო, მაშინ ხარ
სადიდებელი ერისა,
თუ შეგწევს ძალი და ღონე
სიმართლის დროშის ქერისა;

თუ გესმის იღუმალი ხმა
ჩაგრულთა გულის ძგერისა;
თუ ებრძვი უსამართლობას,
არ გეშინია მტერისა!

1899 წ.

მ უ შ ი ს ლ ი ლ ი ნ ი

მუშა, შრომისა შეილი,
ცხოვრებისგან დასჯილი,
რკინის უღელს ვატარებ,
გრკალებ წელში მოხრილი.

ერთი წამი რა არის?
წამსაც ვერ მოვისვენებ:
ვშრომობ და ვშრომობ, შრომის
ოფლით მიწას ვასველებ.

ვშრომობ და თან ვლილინებ, —
ეს ლილინი კენესაა:
სხვებს სიმღერა ჰგონიათ,
სამწუხარო ესაა!

1900 წ.

რ ა მ ა ლ ო ნ ე ბ ს ?



რა მალონებს?—ის, რომ სტანჯავს
კარგსა—ავი, სუსტს—ძლიერი,
ლარიბ ლატაკს ბევრის მქონე
და უბედურს—ბედნიერი!

რა მალონებს?—ის, რომ ვხედავ—
ერთ მხრით ჩაგრულთ გამწარებას;
მეორე მხრით მჩაგვრელების—
განცხრომას და ნეტარებას!

რა მალონებს?—ის, რომ მესმის
ჩაგრულთ კვნესა, გლოვის ხარი;
მჩაგვრელების—უდარდელი
ხან სიმღერა, ხან ხარხარი!

1900 წ.

ს ი ე ლ ე რ ა

ჰმუნვას დავეხსენ, გამხვნევედი,
გავიორკეცე იმედი
და ვთქვი: აწ ცრემლსა ვერ მადენს
ჩემი მტარვალი — შავბედი!

ბრძოლა დავიდე დევიზად
წინ წინ სვლა—იდეალადა
და ვსთქვი: გზას, ეკლით მოფენილს,
გავსჭრი, გავკაფავ ძალადა!

წარსულისაკენ ზურგი ვქენ,
მომავლისაკენ კი—პირი
და ვსთქვი: ხელს მივსცემ ცოცხალსა,
უკვე დამარხულს არ ვტირი!



1901 წ.

ბ ო ბ ა ნ ო

უსახლ-უქარო, ლატაკი,
ძველებში გამოხვეული,
ხელ დაკოჟრილი, ფერმკრთალი,
თითქმის ძვალტყავად ქცეული,—

ქარხნის მოწამლულ ჰაერში
უჯიათ შრომას ეწევა
და ეკითხება თავისთავს,
როცა ნალგელი ეწვევა:

„რა ვარ მე?—მუშა ბოგანო,
რა მქვია?—სხვისთვის მშრომელი:
ჩემით სხვა იძენს, მდიდრდება...
მე მხოლოდ შიმშილს მოველი.“

მერე რად ხდება ეს ასე?!
ის სხვაც ხომ ჩემისთანაა?
ეპ, სჯობს დავეხსნა ამ კითხვას,—
ეს რთული გამოცანაა!

მაგრამ ეს რა ვთქვი? ფუ ჩემს თავს!
ღროა ფიქრს ძალა შევმატო:

აეხსნა, შევიგნო ყოველი
და შევაფურთხო ჩემს ბატონს!“

და ტანჯვის ცეცხლში ნაწრთობსა
უმახვილდება გონება:
ხელს აძლევს მისებრ ჩაგრულებს,—
რომ ძირს დაამზონ მონება;

სოციალიზმის სამყაროს
ძლევით შეაღონ კარები
და განახლებულ ცხოვრებას
გადაუკოცნონ თვალები.
1902 წ.

ს ი მ ლ ე რ ა

ვაჟასებური

მეც ჩამითრია ცხოვრებამ,
დავყვები ტალღებს მისასა
ვერ ვისმენ საიდუმლო ხმებს,
გუმბათად შეკრულ ცისასა;
თუმც ადრე, სიჭაბუკეში,
მეც დავდიოდი ღვთისასა.

ახლა კი? ახალ ცხოვრებას
ყურს ვუგდებ, ვეხმაურები:
რაც მომწონს—ქებით ვიგონებ,
რაც არა— ვეხმაურები...
ხომ იცით, ზღვაა ცხოვრება
და ჩვენ კი მეზღვაურები!

და მეც ვით შეფერს მეზღვაურს,
ნავს დავაცურებ სწრაფადა;

ვუსვამ და ვუსვამ ნიჩაბსა,
ვჭრი ტალღებს, ქცეულს ქაფადა...
ფუი მას, ვინაც მიზნისთვის
შრომა ჩათვალოს ჯაფადა!



1903 წ.

ც ი ს კ ა რ ი

მოკაშკაშე ცისკარი სჩანს,
განთიადის წინამძღვარი,
მას ნიაფი სალამს უძღვნის
და აღიდებს ვარსკვლავთ ჯარი.

ამის ხილვით აღტაცებულს,
მოუმართავს ბულბულს ჩანგი
და ხმატკბილად აწკრიალებს,
შორს გაისმის უცხო ჰანგი:

განთიადი მოახლოვდა,
სჩანს, აწ მალე გათენდება,
და წყვდიადი, საზიზღარი,
შავ კუბოში ჩასვენდება!

მაგრამ ჯერ ის მსხვერპლს თხოულობს,
სამსხვერპლოზე შესაწირავს,
და ეაშა მას, ვინც იმისთვის
უნანებლად თავს გასწირავს!“

1903 წ.

წყნარი დღე არის კაშკაშა
მზე ცაზე ნელა დაცურავს
და არემარეს ოქროს ფერ
სხივების გვირგვინს ახურავს.

ქალაქი ღელავს, ხმაურობს,
სავსეა ხალხით ქუჩები,
აქ განცხრომისძე სეირნობს,
იქ ტვირთ ქვეშ ჰკენესენ მუშები.

აგერ მუშაკი ფერმკრთალი
დადის და საქმეს დაეძებს,
მაგრამ ვერაფერს შოულობს
და ცრემლზე ცრემლსა აწვეთებს.

ფიქრობს: მშრომელსა საქმე მსურს,—
მაგრამ ვინ მომცემს? სად არი?
სხვა საქმობს... მე კი უსაქმოდ
დავეხეტები გულმკვდარი!”

და გულზე ბოღმა აწვება.
თვალწინ უდგება შიმშილი.
ჰგმობს, სწყევლის აწმყოს, მის წესრიგს.
და კენესის სასო-მიხდილი:

„ოჰ, უღმობელო ცხოვრებავე,
შხამ-გესლიანო, მტარვალო,
შრომისა შვილი ამგვარად
როდემდის უნდა მაწვალო?!“

ქარხანა გრვეინავს, ხმაურობს,
ბრუნავს და ბრუნავს მანქანა,
მას თავს ადგია მუშაკი,
შრომობს და ფიქრობს მასთანა:

„მუშა, მშრომელი, სულ ვშრომობ,
ველარ ვცილდები ქარხანას,
როგორც პირუტყვი, ვემონვი
უსულ-უგულო მანქანას;

მაგრამ ნაშრომი სხვას რჩება,
განცხრომაშია მარადა,
მე გაჭივრება სულს მაძრობს,
ვკენესი, ცრემლი მდის ღვარადა!„

და გული სევდით ევსება,
თვალ წინ უდგება შიმშილი.
ჭგმობს, სწყველის აწმყოს, მის წესრიგს.
და ჰკენესის სასო-მიხილი:

„ოჰ, უღმობელო ცხოვრებავე,
შხამ-გესლიანო, მტარვალო,
შრომისა შვილი ამგვარად
როდემდის უნდა გვაწვალო?!“

1904 წ.

შავებში გამოხვეული,
თმა გაწეწილი, მწუხარე
ჰკვენესის, ქვითინებს, სალომე,
ცრემლი ცრემლზე სდის მდულარე.

წინ უძევს შვილის ცხედარი,
მტარვალთა ხელით ვნებული,
როდესაც უსამართლობას
ებრძოდა გააფთრებული.

თავზე ადგია საბრალო
და მოთქვამს: „შვილო, შვილოო,
ვაი-ვაგლახით ნაშობო
და ტანჯვით გამოზრდილწო;

შენ იყავ ჩემი ნუგეში,
პატრონი ერთად ერთიო,
ქირის და ლხინის მიზეზი
და სალოცავი ღმერთიო;

მაგრამ შენც ბოლო მოგიღო
მტარვალთ ბოროტმა ხელმაო,
სიმართლისათვის მებრძოლსა,
უსამართლობის მცველმაო!“

და შვილის ცხედარს, საბრალო,
ზედ ეკონება, აკვდება,
განგმირულ გულ-მკერდს უკოცნის,
მდულარე ცრემლათ აღნება.

იმასთან ერთად ხალხიც სწუხს,
გულზე ედება გენია
და ამბობს: „მუსრი მტარვალებს!
ვანა ეს მოსათმენია?!“



1905 წ.

ზ ლ ვ ა ს

ზღვაო! რას დგახარ, რად არ ლელავ, რად არ ტრიალებ,
ზვირთებს ზვირთებზე რად არ ისვრი, რად არ გრიალებ?
რამ დაადუმა ეგ შენი ხმა, მედგრად მქუხარე,
და რისთვისა ხარ მოწყენილი, ეგრე მწუხარე?

რამ შთანთქა შენი ძლიერება, სად მიიმალა,
ვინ დაიპყრო ის, ვის შესწევდა სამისო ძალა?!
ეგება იგრძენ შენ სისუსტე, მოხარე ქელი,
მტარვალს მიანდე შენი საქმე და შენი ბედი?!

ნუ თუ ვერ ხედავ მან დაკარგა ძალა გავლენა,
ელემა ბოლო და გამწარდა, დაიწყო კბენა?!
შორს აღარ არის ის დრო, როცა სულს დაღვეს იგი
და მასთან ერთად დაემხოება მისი წესრიგი.

მაშ რისთვის დგახარ? ააგორე, ზღვაო, ზვირთები,
ესროლე მტარვალს, ნუ შედრკები, ნუ შეშინდები!
დეე მოიხმოს გველ-ვეშაპნი, ბოროტი ძალნი
და მოგისიოს შესამუსრად, ის საზიზღარნი, —

შენ მაინც კიდეე ნუ აიღებ ბრძოლაზე ხელსა,
ვიდრე სრულიად არ მიაღწევ შენს საწაღელსა!

ის ვერ გაგიძლებს, ვერ მოიკრეფს ძალას სამისოდ,
და ჩაინთქება შენს უფსკრულში სამარადისოდ!



მაშ რას უყურებ? ააგორე, ზღვაო ზვირთები,
ესროლე მტარვალს, ნუ შედრკები, ნუ შეშინდები!!

1907

შ ი მ შ ი ლ ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

საბრალო ბესო, გუშინ მთელ დღეს დაწანწალობდა,
სამუშაოსა დაეძებდა, მისთვის წვალობდა;
მაგრამ არ იქნა, ვერ იშოვა, მოუკედა გული,
მწარეთ აკენესდა, მწუხარების ცეცხლით დაგული.

ან კი, ბედკრული, აბა ვით არ აკენესდებოდა,
როცა ცოლშვილი შინ მშვიერი ეგულებოდა!
დასალამოვდა. მზემ სხივები ააელვარა,
უკანასკნელი კოცნა უძღვნა მთათა მწვერვალებს.

ქალაქის ბაღში მუსიკამაც დაიგრიალა
და სანეტარო ხმამ ჰაერში გაიწკრიალა.
ხალხი ქუჩაში გამოვიდა, გამოეფინა,
რომ გაერთოს აქ, მან დროებით დააგლო ბინა.

მხოლოდ ბესომ კი ისევ მწარედ ამოიგმინა
და თვალებიდან მდულარება გადმოედინა.
მას შეეზიზლა იქაობა ის არე მარე
და გზას გაუდგა შინისაკენ, სახე მწუხარე.

მიდის თან ფიქრობს: „რა კრელია წუთისოფელი:
ზოგი ნეტარობს, ზოგი კია ბედის მგმობელი!
ვინც რომ არათერს არ აკეთებს--განცხრომაშია,
ვინც წელს იწყებდავს, შრომის ოფელს ღვრის--მას მუდამ შია!“

როდის დადგება დრო ნეტარი, დრო დიდებული,
ყველას ექნება თანასწორი უფლება, პური;
ალარ იქნება ასი, მონა, ერთი ბატონი,
ყველა იქნება თავისთავის სრული პატრონი!?”

მიადგა ქობსა. სურს შევიდეს, შეალოს კარი,
მაგრამ შიგნიდან მოესმა ხმა, ვით გლოვის ზარი:
— მშია, დედიკო, მშია, პული მომეცი მალე!
— მოიცა, შეილო, ცოტა კიდევ, შენ გენაცვალე;

აწ საცა არის, მოვა მამა, მოიტანს პურსო
და გამოიძღვებთ, ჩემო კარგო, ცარიელ კუქსო“.
და ამ სიტყვებმა მისი გული უფრო დაკოდეს.
„სიკვდილი არ სჯობს,—დაიკენესა,—ამგვარ აკორდებს!“

და მიეყუდა გარინდული იქვე კარებზე
და დიდხანს, დიდხანს ქვითინებდა, ცრემლით თვალებზე.
მერე შებრუნდა როგორც მხეცი გაშმაგებული
და ქალაქისკენ გასწია კვლავ აჩქარებული.

დახვდა მიმავალს, გაუყარა მკერდში მახვილი,
იქვე დააგდო სულთმოზრდავი, ვაის ძახილით.
ამოაცალა რაც კი ჰქონდა; ოქრო, თუ ფული,
და სურდა უცბათ გამჭრალიყო, ვით ტყეში თული;
მაგრამ მოუსწრო და შეიპყრო ქუჩის დარაჯმა...
და დღეს კი უკვე ჩამოახრჩო იგი ჯალათმა.

1907 წ.

ქუჩის აღზრდილმა ქუჩაზედვე დალია სული:
 აქ იყო მისი ასპარეზი. მუდმივი ბინა;
 აქვე დაეცა მტარვალთ ხელით გულ-განგმირული,
 უმანკო სისხლით მორწყო მიწა და მიიძინა.

ცოტა იცოცხლა, ბევრი ჭირი გამოიარა,
 მაგრამ მას ქედი არავეს წინ არ მოუხრია;
 თუმცა ღრმა იყო მისი წყლული, გულის იარა,
 მაინც ხნეობდა, ცხარე ცრემლი არ დაუღვრია.

რა გადიკითხა მან რვეული ტანჯულ გულების,
 გაიცნო მისი შინაარსი და მისწრაფება,—
 მყისვე ამართა დროშა მხსნელი დაჩაგრულების
 და შემოსძახა: „ძირს მტარვალი და მისი ნება?

მასაქეთია აქ, ქუჩაზე, იბრძოდა იგი:
 აქ იყო მისი ასპარეზი, მუდმივი ბინა;
 აქვე დაეცა განგმირული, როგორც ტა'ივი,
 უმანკო სისხლით მორწყო ქუჩა და მიიძინა!

1907 წ.

თ ა ი ბ უ ლ ი

(აკაკის)

მდელოს სიმწვანე მოვპარე,
 სინაზე—ტურფა იასა
 და სურნელება, ელფერი—
 კოკობ ვარდს, გულმკერდ ღიასა;

სიმშვენიერე—გაზაფხულს,
ტკბილი ხმა-კილო-ბულბულსა,
და სიხალისე—ნაკადულს,
კიდე-ნაპირებ შემკულსა;



ციმციმი—მალხაზ დილის ცვარს,
კაშკაში, შუქი-მთვარესა,
და ბრწყინვალება—დიად მზეს,
ლაქვარდში მოელვარესა...

მთელი სიტურფე ბუნების
შეეკარი თაიგულათა
და შენ მოგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულადა!

ნიშნად პატივის ცემისა
მიიღე, მამათ მთავარო,
წკრიალა ჩანგის მპყრობელო,
ერის დიდებაჲ, ჯაგარო!

1908 წ.

ყ ვ ა ვ ი ლ ს

ახ, ნეტავი შენ მინდვრის ყვავილო,
მწვანე ბუჩქის ძირს უცხოდ გაშლილო!

ლამაზად ჰყვავი, ამკობ მიდამოს,
სურნელებასა აკმევ საამოს!

ზეფირი ფრთას გცემს, ირხვევი ნაზად,
მდელიო გიგია ქვეშ ფიანდაზად!

თავსა გველება თეთრი პეპელა,
გეალერსება, გკოცნის ნელნელა!

შენ იმით ხარობ, იგი კი—შენით
და წუთისოფელს ატარებთ ლხენით!

მეკი ვერ ვხედავ ჩემ სატრფოს თვალით,
ვერ ვსტკბები მისი სიტურფის ძალით!

ცხრაკლიტულში ზის ხელფეხ შეკრული,
ქცნება სინაზე ყოვლად შემკული!

ვაჰმე! ვერ ვშველი, მისი ჭირიმე,
და გულმოკლული მწარედ ვტირი მე!

1910 წ.

ა ხ, ე რ თ ხ ე ლ კ ი ღ ე ვ

1.

ჰო, მახსოვს მახსოვს ნაკადის პირად,
სადაც ბუჩქნარებს ბადე გაებათ,
ვიჯექ ოცნებით გატაცებული:
შენ გიგონებდი, ჩემო ღვთაებავ!
მოულოდნელად, სახე ნათელი,
თვალ-წინ დამიდექ, ვით ბადრი მთვარე,
გაიკაშკაშე, გაფანტე ბნელი,
მიდამო ტურფად ააელვარე!..
ზე წამოვევარდი, გავშალე ხელი,
მინდოდა გულში ჩამეკრა მწველი,

მაგრამ მსწრაფელ გაჰჭრი, გაეკარ ცასა,
როგორც ღრუბელი მსუბუქ ფრთოსანი,
მე აქ დამაგდე შენი მგოსანი,
და მიეფარე მნათობო, თვალსა!



2.

ერთხელ კვლავ მოვკარ თვალი სივრცეში:
ღრუბელთა ეტლში იჯექ, მიჰჭროდი,
ვარსკვლავებს ჰკრეფდი მოციმციმესა
და მით შშენიერ გულმკერდს იმკობდი!
გამოგიდექი ოცნების ფრთებით,
მაგრამ ვერ დაგწვდი, ლაქვარდს მიფარდი.
ოჰ, არ მეღირსა, რომ მეთქვა შენთვის—
როგორ მომწონდი, როგორ მიყვარდი!
ბევრი გევედრე, ბევრი გეძახე,
ბევრი ვიტირე და ვივაგლახე,
მაგრამ სულიკო, ვერ გაგაგონე
და გულმოკლული, კაეშნიანი,
სევდით მოცული, თვალცრემლიანი,
მიწას დავაწყდი, დავკარგე ღონე!

3.

მას შემდეგ, ჩემო გულის ყვავილო,
ლაქვარდ სივრცეში, ტყეში, მთაბარად,
ღარში, ავღარში, დღისით თუ ღამით,
გაფაციცებით დაგეძებ მარად;
მაგრამ ამაოდ: ვერ მოვკარ თვალი
შენს ნათელ სახეს, ტურფად გაბადრულს,
და კაეშანი, სულისა მღრღნელი,
აღარ შორდება დაობლებულ გულს!
ახ, ერთხელ კიდევ, რომ დამენახე,
გამიქრებოდა გულს სივაგლახე,

სიხარულითა ცას მივწვდებოდი;
თეთრ ფრთიან ღრუბლად გადვიქცეოდი,
როგორც მთას ნისლი, მოგეხვეოდი
და სამუდამოდ თან წაგყვებოდი!



4.

სადა გაქვს, სადა, მუდმივი ბინა?
სად დანავარდობ? სად დარაკრაკობ?
მიწას ეკუთენი თუ ლაქვარდ ცასა,
სამყაროს რომელ კუთხესა ამკობ?
როდის ეწვევი ჩემს ობოლ ბალსა,
ბროლის თითებით მოსწყვეტავ ვარდსა,
გულზე დამაბნევე შენს ერთგულ მგოსანს,
გამიქრობ სევდას, გამიქრობ დარდსა?
შენთვის ავაწყვე ჩანგი წკრიალა,
არ დამიზოგავს ნიჭი და ძალა,
მოდრი, ისმინე ციური ხმები,
და, ბნელით მოცულს, ნათელი მფინე,
ალმაფრთოვანე, ზეამაფრინე,
სიხარულისა შემასხი ფრთები!

1910 წ.

დ ე მ ო ნ ს

გაშლილ მთა-ბარსა თოვლი ჰფარავდა,
ნაკადულს ედვა ყინულთ ბორკილი
და მწარედ ჰკვნესდა ტყე-მინდორ-ველი,
ტანჯვის უღელს ქვეშ გრკალებ მოხრილი.
მეც ქედს გიხრიდი მაშინ დემონო,
მაგრამ აწ არ მსურს გეყმო, გემონო!

ფერი იცვალა უკვე ბუნებამ,
საგაზაფხულო სიომ დაჰბერა
და ცასა მოწყდა ცვარი ციმციმით
ვარდსა დაეცა, ააელფერა.

მეც შევიცვალე, ჰოი, დემონო,
არ ძალმიძს ისევ გეყმო, გემონო!
გაზაფხულისა სიტკბო-სიამე
რაკი ვიგემე, რაკი ვიამე,
ვერ დავთმოზ, ვერა, სანამ სიცოცხლის
არ დამიჭკნება ნაზი ია მე.

მაშ, შორს ჩემგანა, ავო დემონო,
ტყულად ნუ ფიქროზ გეყმო, გემონო!

1910 წ.

შ ე ნ ა ქ დ ა გ ტ ო ვ ე

შენ აქ დაგტოვე, მე კი გავყევე ცელქსა ნიავსა,
სად მივდიოდი, რა მინდოდა, ახლაც არ ვიცი,
მაგრამ გული კი სადღაც შორს, შორს მიისწრაფოდა,
თითქო ჰქონოდეს მიცემული ვიზედმე ფიცი.

ან კი რა მექნა? ჯოჯოხეთში შემზარდა ყოფნა
და გადავსწყვიტე ერთ წუთს მაინც გავშორებოდი,
მეხეტიალნა უგზო-უკვალოდ, აღმა და დაღმა,
ხან ვარდ-ყვავილებს, ხან ვარსკვლავებს შევევრთებოდი.

მაგრამ როდესაც მოვწყდი მიწას, გავეკარ ცასა,
თვალწინ დამიდგა შენი სახე, სახე ტანჯული.
და მყის დავშორდი ჩემს თანამგზავრს—ცელქსა ნიავსა
და კვლავ შენთან ვარ სამუდამოდ, შენი ერთგული.

დე მომიკიდოს ჯოჯობეთმა მწველი გეხია,
დე ჩამიყაროს შავმა გველმა გულ-მკერდში კბილი, —
კვლავ არასოდეს არ დაგტოვებ, არ გაგშორდები,
სხვასთან სიცოცხლეს, მირჩევნია შენთა სიკვდილი!



1910 წ.

ს ი მ ლ ე რ ა

1.

არა, არ მინდა ზეკაცად გაეზდე,
არც ღმერთობისა ვარ მონატრული:
მინდა რომ ხალხის მგოსანი ვიყვე,
იმას ვუმღერო ჩანგ-მომართული!

ჰოი, აპოლონი! მიკურთხე ჩანგი,
მომეცი სიბრძნე, აზრი ცხოველი,
რომ საიდუმლო ცისა და ქვეყნის
გავიგო, ავხსნა, მიუწოდომელი!

2.

გრძნობავ, იფეთქე, მომედე ცეცხლად,
დამწვი, დამდაგე, მაქციე ფერფლად;
ჩემი ცეცხლითა სხვა თუ გათბება,
დეე, დავიწვე, არ მენალვლება!

3.

ბედნიერისთვის არ ვაწყობ ჩანგსა:
ჩემი სიმღერა, ჩემი გალობა,
მის გალალეზულ გრძნობათა სიმებს
ვერ შეეწყობა, ვერ შეეტკობა!

ჩაგრული მხოლოდ ჩაგრულებს უმღერ,
ხან ბრძოლის ჰანგებს, ხან გლოვის ზარსა;
მრწამს შეეწყობა მის გულის ძეგრას,
ვინც ზიდავს მარად წამების ჯვარსა!



1908 წ.

გ ა მ ც ე მ ს

მახსოვს, განთიადს ტახტი დაედგა,
წითლად ღვივოდა ცისა კიდური,
თითქო მის გაშლილ ფირუზ გულ-მკერდზე
ვარდები იყო ჩამოკიდული!

ლამის გუშაგი—პირბადრი მთვარე
ვარსკვლავებ შორის მიმოცურავდა,
და იმის მკრთალ შუქს მთაბარი მწვანე,
ვით სატრფო სატრფოს, გულში იკრავდა.

მთის ცელქი შვილი—გრილი ნიაგი
ბუჩქ-ბალახებთან მუსაიფობდა
და ძირს სცვივოდა ციური ნამი,
ზურმუხტ ფოთლებზე რომ ციმციმობდა.

ქალაქს ეძინა... ჩვენ მივდიოდით,
ერთი მეორეს თუმც ვერ ვიცნობდით,
მაგრამ თვალელები—ეს გულის სარკე—
აშკარად ყოფდნენ, რასაც ვფიქრობდით.

და მივალწიეთ დანიშნულ ადგილს,
სადაც ყვაოდა ტყე დაბურული

და მოეყარათ თავი შრომის შვილთ,
რომ ერთურთისთვის გაენდოთ გული.



ყური დაუგდეთ გრძნობით თქმულ სიტყვებს,
სულს ჩამოშორდა სევდა ფრთაშავი.
და ფიცი დავდეთ-წმინდა მიზნისთვის,
რომ შეგვეწირა სიცოცხლე, თავი.

მაგრამ განვლო დრომ: ბევრი ჩვენგანი
ცხოვრების ტალღამ ქვეშ მოიტანა;
ბევრი კვლავ იბრძვის; ბევრს ჯოჯოხეთში
სტანჯავს, აწამებს შავი სატანა;

შენ კი გაყიდე წმინდა მიზანი,
ჩვენს სისხლის მსმელსა მიეცი ხელი...
ჰოი, იუდავ, მოძმეთ გამცემო,
წყეულიმც იყოს შენი სახელი!!

1910

ე. ნინოშვილის ხსოვნას

ქალაქს გავშორდი,
გავედი სოფლად.
ვნახე საფლავი
მდებარე ობლად;
ცა ცვარს აფრქვევდა,
შუქს ჰფენდა მთვარე;
გულში იკრავდა
ზურმუხტი არე;
მკერდსა უმკობდა

ია, სუმბული
და უგალობდა
ტკბილად ბულბული:
„მშრომელთა კერას
საზარი ბნელი
გადაფენოდა,
გულისა მკვლელი.
ისმოდა კენესა,
გოდება მწარე
და იღვრებოდა
ცრემლი მდულარე.
ამ დროს გამოჩნდი,
აიღე, ჩანგი
და სევდიანი
გაისმა ჰანგი.
„გოგიას“, „სიმონს“
და „ქრისტინესა“,
ღრმად ჩაწვდა გულში
ეგ შენი კენესა.
გიცნო ვინც იყავ,
სულ-მნათო, შენა
და შეგიყვარა,
გიკურთხა ენა.
და დღესა მხოლოდ
იგი გიგონებს,
შენს ღვაწლს ფასსა სდებს,
ამაგს იგონებს
და ძეგლსა გიდგამს,
თუმცა ღარიბულს,
მაგრამ შიგ აქსოვს,
თვის სულსა და გულს;“
და ამ გალობას,

ვით სიმთ წკრიალი,
ბანსა აძღვედა,
ფოთოლთ შრიალი.
ცელქი ნიავი
შორს მიაფრენდა
და მწვანით მოსილ
მინდორ-ველს ჰფენდა.
ყური დაუგდე
სულ განაბული
და ამიტოკდა
ძალზე გლახ გული.
მივხვდი, თუ ვისიც
იყო საფლავი
და მოვიხარე
მეც მის წინ თავი.

1910 წ.

ჭ ე უ მ ა რ ი ტ ე ბ ა

წყვედიადით მოცულ ტყეში ვიდოდი,
სით წავსულიყავ, თვით არ ვიცოდი:
არ ჩნდა გზა-კვალი.
ნარი, ეკალი
მჩხვლეტდა. მკაწრავედა... სისხლი მდიოდა;
გკენესდი,—გლოვის ხმა ცად აღიოდა.
ირგვლივ საზარი
სიცილ-ხარხარი
ისმოდა ავსულთ. ბუ გაკიოდა.
და გესლიანი გველი წიოდა.
შიშისგან ვთრთოლდი
და ვიძახოდი:

სად არის, სადა, ღმერთი სიმართლის,
ბნელის გამჭრობი, მტენი სინათლის?!
მიგრამ პასუხი,
ცით მონაქუხი,

სანუგეშებლად არსით ისმოდა
და გული უშრეტ ტანჯვით იწოდა:
იმედს ვკარგავდი,
სულსა ვლაფავდი,

სამარის კარზე ვიყავ მისული...
წყეულიმც იყოს ის წამი, კრული!
უცებ იელვა:
და ასტყდა ლელვა:

ნათელმა სხივმა გაქრა წყვდიადი,
მთისა მწვერვალზე, ვით განთიადი,
აენთო ლამპრად
და მსწრაფლ ათასფრად

ააელვარა მიდამო არე:
და დავინახე თვალებ ელვარე
ჩემი ოცნება—
ქეშმარიტება!

და მეც გავცოცხლდი! წინ გავეშურე,
ძალი და ღონე არ დავიშურე,
რომ ჩემს ღვთაებას,
ჩემს ნეტარებას,

გადავეხვიო, ჩავიკრა გულში
და მოვკვდე მასთან, მის სიყვარულში!

1910 წ.



ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ ი ს უ ლ ი

აჯანყდა სული, აჯანყდა,
შფოთავს, ვერ მოუსვენია...
ან კი როდემდის ითმინოს
ტანჯვა-წამების გენია!?

სურს ერთი დაკვრით შემესროს
გარს შემორტყმული ბორკილი
და გაიმართოს ვაეკაცი,
რკალივით წელში მოხრილი.

განა ცოტახანს ატარა
თვალზე აღმასის მძივები,
მაგრამ ვერ მოიახლოვა
იმით მომავლის სხივები...

და, ჰა, აჯანყდა ტანჯული,
გაშალა დროშა ძღვევისა,
და დადგა წამი ღიადი,
წამი, რა წამი: ზღვევისა!

მ ო მ ა კ ვ დ ა ვ ი ა რ წ ი ვ ი

(სპ. მცირიშვილის ბსოვნას)

ბნელ ორწოხებში, უფსკრულის პირად,
მკერდში დაქრილი ეგდო არწივი,
ენატრებოდა მზის თფილი სხივი,
მაგრამ სიკვდილი თავს ადგა გზირად
და ეძახოდა სამარე ცივი!

და მიგდებული ლოდებზე ყირად,
განწირულის ხმით ჰკვენესოდა ასე:
„მე ცა მიყვარდა, შვენებით სავსე!..
ვეტრფოდი გულით!.. მიღირდა ძვირად,
ლურჯათ გაშლილი და მოკასკასე!..

„ხშირათ ფრთა გაშლით ღრუბლების ზეგით
დაენავარდობდი მახლობლათ ცისა,
მესმოდა რხევა ეთერის ფრთისა
და ოქროს თმების ყელზე მოხვევით
მოკცნიდა ტკბილად, ასული მზისა!..

„ჩემსკენ ვუხმობდი ჭაობის შეილებს,
მსურდა — შვენება მისი ენახათ,
მისდამი ტრფობა გულს დაემარხათ,
და, ტანჯვის ცეცხლში რკალებ მოხრილებს,
სიმბოლოთ ხსნიდა გამოესახათ!..

„მაგრამ დღეს აგერ უფსკრულის პირად
სიკვდილსა ვებრძვი, მტრისგან დაქრილი!..“
ასე ჰკვენესოდა... და ფრთა გაშლილი
კვლავ გასაფრენად იწვევდა ხშირად...
ძირს ეცემოდა სისხლით დაცლილი!

მე ყურს ვუგდებდი სულ-განაბული,
გულის სიღრმეში ტკივილსა ვგრძნობდი,
რადგან ჩვენ შორის კავშირსა ვცნობდი:
მასში ჰკვენესოდა თვით ჩემი სული!
და მომაკვდავსა დაფნით გამკობდი.

პ ე ჯ ი ლ ი

(ოცი წლის იუბილეის გამო).



ჯეჯილი ღელავს, ბიბინებს,
ნიაფი ყელზე ეხვევა
შზე დაქათქათებს, სხივები
ლამაზ-გულმკერდზე ეფრქვევა,

მთვარე შექსა ფენს, ცისკარი
თავს დაციმციმებს ტრფობითა,
ნამი პირსა ბანს, ნაკადი
ტკბილათ უმღერის გრძნობითა:

„ჭირიმე შენი ჯეჯილო,
ამწვანებულო ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!“ *)

და ამ სიმღერას მთა, ბარი,
ტყე, ველი, ბუჩქი პატარა,
ია, ნარგიზი, შროშანი,
ბალახი, წყარო ანკარა,

ხე, შაშვი, ნაზი ბულბული,
მწყერი მგოგავი წყნარათა,
იმეორებენ ხმა-ტკბილათ
სულ-გულის გასახარათა:

„ჭირიმე შენი ჯეჯილო,
ამწვანებულო ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!“

*) ოთხი სტრიქონი ი. დავითაშვილს ვკუთვნის

პარნასის მთიდან მოსული,
ხელში ლამაზი ქნართა,
მიმოდრიოდა მგოსანი,
საესე ფიქრებით მწარითა.

გარს ერტყა ლამის წყვდიადი,
განუქვრეტელი თვალითა:
მზეს დაეძებდა, იწოდა
იმისი ტრფობის ალითა.

ხან აღმოსავლეთს გაცქერდა,
ხან დასავლეთის კიდესა,
მაგრამ ყოველგან ხედავდა
მხოლოდ სიბნელის რიდესა.

„მითხარით,—ეკითხებოდა.
ცას, მიწას, არემარესა—
როდის ვიხილავ ჩემს მნათობს
მოკაშკაშ—მოელვარესა?“

და სწრაფად გადადიოდა
კლდით კლდეზე, მთიდან მთაზედა,
ხან მწვერვალს მოევლებოდა,
ხან დასცურავდა ზღვაზედა.

არ უდრკებოდა განსაცდელს,
ცეცხლს აკვესებდა თვალითა:
გულ გატეხილი აწმყოზე,
ცოცხლობდა მომავალითა.

ცისკარმა წყვილიადს გულში ჰკრა
 მკვეთრი ისარი სხივისა,
 ლაქვარდ სივრცეში ააგო
 მან კოშკი ოქროს მძივისა.

ზედ გადმოჰიდა ალაში,
 ელვარე ალის ფერადა,
 წითლად დაღება ღრუბლები,
 ცა უცხოდ ააფერადა.

სიცოცხლე იგრძნო ბუნებამ,
 ტოროლამ ფრთები გაშალა,
 თავსა მოეელო მთა და ბარს:
 ფრინველთა ჯარი აშალა.

და გადმოსძახა მაღლიდან:
 „წყვილიადი სულს ლევს, კედებაო;
 იხარე ჩაგრულთ ქვეყანავ,
 შენთვისაც გათენდებაო!“

და ეს ნეტარი ჰანგები
 მოედო ყოველ მხარესა,
 ბარმა მაღალ მთას გადასცა,
 მთამ — ვარსკვლავს, მან კი — მთვარესა

და ახმაურდა მსოფლიო,
 რა იგრძნო წამი ღიადი,
 შესძახა: „ვაშა სინათლეს!
 ძირს სულის მღრღნელი წყვილიადი!

გათენდა. მზე შუქ-მოსხმული
 გადმოდგა მთისა წვერზედა,
 გაშალა ოქროს დაღალნი,
 ბარს მოახვია ყელზედა.

ისე დაშვენდა მიდამოს,
 ვით ცას ვარსკვლავი ცისკრისა,
 კორდს—ბუჩქნი, წალკოტს—ყვავილნი,
 ლამაზ ქალს—თვალნი გიშრისა.

რა დაინახა მგოსანმა
 მსოფლიოს ძალა, მშვენება:
 ფრთები შეისხა, გაფრინდა,—
 მის გულში ჩაკერა ენება;

მაგრამ რა მიუახლოვდა,
 მიაპყრო თვალნი მწყაზარნი,—
 ლაქა შენიშნა სახეზე,
 შეკრთა, დაეცა თავზარნი;

და დიდხანს ვარინდებული,
 დაჭრილი სევდის ისრითა,
 ერთ ადგილს იდგა უძრავად,
 განვლილ ქირს თითქო ითვლიდა.

ბოლოს თქვა: „მხოლოდ ორი რამ
 ყოფილა ყოფნის სიმბოლო:
 პირველი—მუდამ ეძიო
 მეორე—მუდამ იბრძოლო!“

სთქვა და ჩამოჰკრა ჩანგურსა,
აამკენესარა წყნარადა,
ლალადი კეშმარიტების
გაისმა მთა და ბარადა.



1913 წ.

ბ ა ნ თ ი ა დ ი

შეკრთა ღამე. აღმოსავლეთს
გულზე ცეცხლი მოეკიდა.
ლაქვარდს მოსწყდა მარგალიტი, —
ფოთოლს ყურზე დაეკიდა.

მთის შიკრიკმა—ცელქმა სიომ
სანავარდოთ ფრთა გაშალა
ბუჩქ-ბალახებს ხუკუჭი თმა
აუბურძგნა, აუშალა.

ფართეთ გაშლილ მწვანე მთა-ბარს
მოერია პირზე ღიმი...
იადონმაც ღამაზ ჩანგზე
გადასკიმა ვერცხლის სიმი.

ვიშ, ბუნება, მშვენიერი,
რა რიგ ხარობს, რა რიგ სტკბება!
მითხარ, მითხარ, განთიადო,
ჩვენთვის როდის გათენდება?!

1913 წ.

შრომის ქურასთან სდგას ჰერკულესი,
 შუბლით ოფლი სდის ეანგში ნალესი,
 შავ ძალებს ხელავს
 და მახვილს სკედავს,
 რომ სამფლობელო პლუტონის დასცეს,
 მით ბოროტებას მახვილი ჩასცეს.

—
 თვით ლაბირინტიც ვერ აშინებს მას:
 დაფი ხელთა აქვს, მით გაიკვლევს გზას
 და იქ, ოლიმპზე,
 სადაც ბრწყინავს მზე,
 ავა თამამათ ძლევა-მოსილი,
 გვერდს მოუჯდება ღმერთთ, მიწის შვილი.
 თქვენ, ჰე, ღმერთებო! რისთვის შეძრწუნდით?
 რათ ისვრით მეხთა ოლიმპის ზღუდით?
 არ გინდათ განა
 მიწის „სატანა“
 ფეხით შეეხოს იმ წმინდა ბჭეთა,
 სადაც განცხრომით ატარებთ დღეთა!?

—
 ამაოთ დრტვინავთ, ამაოთ სწყურებით,
 ის უკვე მოჰქრის არწივის ფრთებით.
 არ იცის შიში,
 არც კენესა-ვიში,
 განსაცდელის წინ არ იხრის ქედსა:
 თვითონვე სკედავს თავისვე ბედსა;

1914.



1

ცივ საფლავეებში უძრავად ვწევართ,
ჩვენს მყუდროებას ვერა-რა არღვევს,
ხან მზე დაგვნათის, ხან ბადრი მთვარე,
ხან ბნელი ღამე შავ ზეწარს გვახვევს,
ხან თავს გვევლება თეთრი პეპელა,
ხან გულ-ღვიძლს გიღრღნის გველი სისინით,
მაგრამ ყველა ეს ჩვენთვის ერთია...
მხოლოდ ვიციინით, მხოლოდ ვიციინით!

2

სასაფლაოსთვის სულ ერთი არის
დიდი, პატარა, სულელი, ბრძენი...
ვიციით, რომ ბოლოს აქ მოვა ყველა
და ამხანაგი გახდება ჩვენი.
და როცა ვინმე დიდებას ეძებს,
ვერ ძლება ფულით, ვერ ძლება ჩინით,
უნდა რომ გახდეს ქვეყნის მპყრობელი...
ჩვენ კი ვიციინით, მხოლოდ ვიციინით!

3

ხშირათ, როდესაც ჩამავალი მზე
უკანასკნელ სხივთ მიმოგვფენს გულზე.—
აქ ფიცსა სდებენ შეყვარებულნი
სამარადისო ტკბილ სიყვარულზე.
ხვალ რა იქნება,—არ კითხულობენ.
მიდი-მოდიან ლალად ღიღინით,
ჩვენ კი ყურს ვუგდებთ სულ-განაბულნი...
მხოლოდ ვიციინით, მხოლოდ ვიციინით!

მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ სასაფლაო
 სიკვდილ-სიცოცხლის კერაა, კერა.
 მაგრამ ცოცხლებმა ეს არ იციან,
 ვერც გაიგებენ კარგა ხანს მჯერა.
 და როცა ვინმე დიდი სწავლული,
 გატაცებული კვლევისა უინით,
 სხვაგან დაეძებს ამ კითხვის ახსნას...
 ჩვენ კი ვიცინით, მხოლოდ ვიცინით!

1914 წ.

ბ ე ს ო

დეე სცივოდეს საბრალო ბესოს,
 დეე გულს სევდის ეკალი ისოს,
 ზამთრის ფერია ამით რას ჰკარგავს?
 ის ფართოთ გაშლილ ტყე-მინდორ-ეზოს
 თეთრ გრეხილებით ლამაზათ ჰკარგავს.

ხედავთ ობოლ ცრემლს აგერ ტყის პირას,
 ტოტებ დამტვრეულ, გამხმარ ხის ძირას,
 ამ ბამბის ქულა თოვლზე შეყინულს?—
 ეს ბესოს მოსწყდა თვალზე ამ დილას
 შეშის ძებნაში ხელ-ფეხ გაყინულს!

ახლა ქოხში ზის, მაგრამ მერე რა?
 ძვალ-რბილს ვერ უთბობს ჩამქრალი კერა:
 მისთვის ერთია სახლში, თუ გარეთ;

კონკის ძველები ვერ ჰფარავს, ვერა...
ქვითინებს მწარეთ! ქვითინებს მწარეთ!



დეე სცივოდეს საბრალო ბესოს,
დეე გულს სევდის ეკალი ესოს,
ზამთრის ფერია ამით რას კარგავს?
ის ფართოთ გაშლილ ტყე-მინდორ-ეზოს
თეთრ გრეხილებით ლამაზათ ჰქარგავს.

1913 წ.

და ეს სიკვდილი არაა ბანა!?

ფრთებს შლის ოცნება, ფრთებს შლის ფიქრები,
ცას და ქვეყანას ვეველები თავსა...
სულო! ლტოლვაში ფერფლად მიჰქრები,
შეუერთდები მსოფლიოს ზღვასა;
შენ ნაწილი ხარ, ნაწილი მთელის,
რომ შეუერთდე მასვე—მიგელის.

ახ, რა რიგ მინდა მე უკვდავება,
ახ, რა რიგ მინდა თვით ვიყო „მთელი“,
ჩემი სურვილი და ჩემი ნება—
დარჩეს მარადის შეუხებელი;
მაგრამ ნიაგი მეჩურჩულდება,
რომ ყველაფერი იცვლება, კვდება.

დედა-ბუნებავ! რისთვის ამანთე,
თუ ჩავქრებოდი, როგორც ლამპარი?
ან მისწრაფება რათ მომეც ფართე,
უნავთსაყუდო, მიუსათარი?

სიკოცხლე—მოკლე, სურვილი—დიდი,
ვაჰმე, ვით გავდო მათ შორის ხიდი!



„არ მოკვდებო, — ჩამძახი ტკბილად, —
მხოლოდ სხვა სახეთ შეიცვლებო,
სადმე მინდოვრზე ლამაზ ყვავილად,
ან მწვანე ბუჩქად გადიშლებო
და დააშვენებ არე-მარესო,
გულ-მკერდს გაღუხსნი მზეს და მთვარესო“...

მაგრამ ჩემი „მე“ ხომ წაიშლება?
იცვლება სახე? იცვლება სული?
და გულის სატრფოც დამავიწყდება—
ეს ჩემი ტანჯვა და სიხარული?
დამავიწყდება თვით დედის ნანა?..
და ეს სიკვდილი არაა განა!

1913 წ.

მ რ მ ე ც ი თ ფ რ თ ე ბ ი

მწვერვალზე ვდგავარ, მზე სხივებს მტყორცნის,
ნამი პირსა მბანს, ნიაფი მკოცნის
გულში მიკრავენ ამაყი მთები.
ბუდამ მიწაზე ხოხვა მომწყინდა,
რომ ენახო ზეცა ერთხელ, — მეც მინდა:
მომეცით ფრთები; მეც გავფრინდები!

1

ვნახე ქუჩა... თოფით ხელში
 იდგა კაცი ბნელ კუთხეში:
 მსხვერპლს უცდიდა ავაზაკი,
 რომ მიერთყა ტყვია მკერდში.
 მისთვის ყველა ერთი იყო—
 მოხუცი თუ ახალგაზრდა
 არასფერი არ ახსოვდა
 ძარცვისა და გლეჯის გარდა.
 ვკითხე ქუჩას:—კაცი რომ მგლათ
 გიქცევია, ვითომ რაა?!
 მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი:
 დამნაშავე ცხოვრებაა!

2

ვნახე ქუჩა... ვილაც ქალი,
 ფერ-მიხდილი, თვალ მიმქრალი,
 დახეული დაფლეთილი,
 სარდაფის წინ იდგა მთვრალი.
 ყველას ვისაც თვალს მოჰკრავდა,
 ეძახოდა, პატიუბდა,
 სამარცხენო თვის საქციელს,
 უბედური, ვერც კი გრძნობდა.
 ვკითხე ქუჩას:—ეს ბედკრული,
 რომ მოგიკლავს ვითომ რაა?!
 მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი:
 დამნაშავე ცხოვრებაა!

ვნახე ქუჩა... კურტნით მუშა,
 წელში ოთხათ მოკეცილი,
 ქირის ოფლად იღვრებოდა
 ტვირთს ქვეშ, სახე მოღრეცილი.
 ძლივს იძროდა, ძლივს სუნთქავდა,
 ჰკენესდა ბედის უმადური:
 „მუდამ ვშრომობ... მუდამ ოფლს ვღვრი...
 მაინც მიჭირს ლუკმა პური!
 ვკითხე ქუჩას:—ბედშავ მუშას
 რომ აწამებ, ვითომ რაა?!
 მან მომიგო—არ მაქვს ბრალი:
 დამნაშავე ცხოვრებაა!

1913 წ.

ოხ, სად არის გაზაფხული?!

ზამთარია, ზამთრის დემონს გაუშლია მძლავრათ ფრთები,
 თოვლით თეთრათ შეუღლესავეს დაბლა—ბარი მალა—მთები.
 ძლივს ბუტბუტებს ნაკადული...
 ყინულთ ხუნდში გახლართული...
 ოხ, სად არის გაზაფხული?!

ყინვა მეფობს. ბუნება მთლად გათოშილა, ველარ ყვავის:
 ტკბილ ქიკჭიკის ნაცვლად ყველგან ჩხავილი-ლა ისმის ყვავის,
 ქარი დაჰქრის შუბლ-შეკრული,
 ტყე კენესს, ცრემლს ღვრის, ქირნახული...
 ოხ, სად არის გაზაფხული?!

მზე არ ბრწყინავს. ლეგა ღრუბლებს დაუფარავთ ცა ლაგებრდი,
მიწას მოლი არ აშვენებს, ხეს—ფოთოლი, წალკოტს—ვარდი.

კუბოში წევს სიხარული,
გულს წყლავს, წიწკნის სევდა, კრული...
ოხ სადარი გაზაფხული?!

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

1913 წ.

ჩ ე მ ს მ უ ზ ა ს

მწუხარების ჟამი იყო, ბინდს მოეცა არე,
ზეცას არ ამკობდა გაბადრული მთვარე.
ღრუბელს გაეშალა განიერათ ფრთები,
მის ქვეშ მღვებებ იდგენ ბუმბერაზი მთები.
მიმოქროდა სიო, ზღვიდან მონაბერი,
და მიჰქონდა ველათ ვარდყვავილთა მტვერი.
ქალაქს არ ეძინა, ისევ ხმაურობდა,
ქუჩა ბობოქრობდა, აურზაურობდა.
მე კი მივდიოდი, მივდიოდი ნელა,
თავზე მეხვევოდა ფიქრთა ცისარტყელა.
ირგვლივ ცრემლს ვხედავდი, მომესმოდა გლოვა
და თვალთა წინ მიდგა უბედურთა გროვა.
სად ეპოვა ბინა დაქრილ გულის თქმასა?
მხსნელს ვუხმობდი, მაგრამ არვინ მცემდა ხმასა.
მხოლოდ მომესმოდა ჩემივ სულის კვნესა,
ისე მათრთოლებდა, ვით ნიავი ტყესა.
უცბათ შეკრთა ქუჩა, შედგა ფიქრთა გემი,
უკან მოვიხედე ვიცან მოძმე ჩემი;
ჩემებრ უბედური, ჩემებრ დატანჯული,
ხენეშით მოდიოდა ხუნდში გახლართული.
და შევყვირე: ძმაო, ტოლო, მეგობარო,

მსურს მოგვეყრდნო მკერდზე ცრემლი გადმოვლევარო!
ერთ ბედში ვართ, ჩვენთვის არ ჩანს არა მხსნელი:
შენ ბორკილი გახრჩობს, მე კი—შავ ფიჭვთ ქსელი!
და ვავშორდით. დავრჩი ისევ მარტოდ მარტო.
თუ რას ვგრძნობდი მაშინ, ძალმიძს განგიმარტო?—
ჯოჯოხეთად იქცა ჩემთვის ეს ქვეყანა,
მწარეთ დავიკვნესე: ღირს სიცოცხლე განა?!
ამ დროს შენ შემომხვედი, გრძნობით მომეც ხელი,
ყურში ჩამწურჩულე: „გვიხმობს ბრძოლის ველი...
იქ ვიპოვით იმას, რასაც ეძებს სული:
იქ ჰყვავის ხსნის ვარდი, შვების გაზაფხული!“
და მეც გამოვეცოცხლდი, ვიგრძენ სულის ძალა,
რწმენის ყვავილები გულში გაიშალა.
და მას აქეთ ერთად დავალთ ყოფნის გზაზე,
ვიცი: ბრძოლაშია სულის სილამაზე!
ვერ გვაშინებს ტანჯვა, ვერ გვაშინებს მტერი:
გვრწამს შემუსრავს ოქროს კერპს სიმართლის კვერი.
და ჩვენც მას ვუგალობთ და ჩვენც მას ვუმღერით:
ველით იმ ნეტარ წამს, ველით გულის ძგერით!

1914 წ.

ფ ე რ ი ა

(ლეგენდა. თავისუფალი თარგმანი მ. გორკიდან)

დაბურულ ტყეში, მდინარის პირად,
იდგა ფერია ცისფერ-თვალემა
და ბანაობდა ზვირთებში ხშირად,
ღლის სიხალისე, ღამის ზმანება.

ერთხელ გადასცდა იგი სიფრთხილეს,
თევზებთან ერთად ბადეში მოჰყვა,
მეთევზეებმა ეს რა იხილეს,
შეკრთენ;—შიშისგან დაიწყეს როკვა.



ხოლო მარკო კი აივსო ტრფობით,
მივარდა, მაგრათ ჩაიკრა გულში,
ამოუკოცნა თვალები გრძნობით,
დადნა, დაიწვა მის სიყვარულში.

და ისიც, როგორც მოქნილი წნელი,
იგრიხებოდა მის მძლავრ მკლავებში,
ყელზე მოეჭდო მარჯვენა ხელი
და შესცქეროდა ცეცხლ მფრქვევ თვალებში.

მაგრამ საღამომ რომ მოატანა,
გაჰქრა ფერია, ნაზი, ცქრიალა,
მან მარკოს სულიც თან წაიტანა
და გულში ცეცხლი აუპრიალა.

და დიდხანს მარკო, ბოღმა ნაზარდი,
დუნაის პირას მიმოდიოდა,
„სად არის ჩემი სიცოცხლის ვარდი?“—
ჰკითხულობდა და ცრემლი სდიოდა.

მაგრამ ტალღები ბროლი, ანკარა,
სიცილ-კისკისით წყნარათ გალობდენ:
„სად არის იგი, არ ვიცი, არა“,
და ცეკვა-თამაშს კვლავ განაგრძობდენ.

— „სტყუით!—შესძახა უკანასკნელად,—
„თვით თქვენ აღერსობთ იმასთან აღბად!“

და შიგ გადემშვა ქაბუკი ხელად,
ულმობელ ტალღებს შეერთო ხარბათ.



ფერია ახლაც ბროლის ზვირთებში,
როგორც მარკომდე, ისე ბანაობს
და, ქაფად ქცეულ ტალღათ რითმებში.
მზის სხივებს იჭერს და დაქანაობს.

მარკო არსად ჩანს, მაგრამ იმაზე
სიმღერა მაინც დარჩა ლამაზი
და დადის იგი მთელ ქვეყანაზე,
ვით სიყვარული—გრძნობის მალხაზი.

თქვენ კი, მლილებო, შავ მიწის მკერდზე
იცხოვრებთ ისე, გონებით ბრმანი,
არცა ზღაპარსა იტყვიან თქვენზე,
არც იმღერებენ მუხათა ძმანი!

1914 წ.

მ ი ყ ვ ა რ ს დ ი ლ ა

მიყვარს დილა გაბადრული
მზე ლაქვარდში როცა ბრწყინავს,
მორაკრაკებს ნაკადული,
სიო ფრთებს შლის, ლაღათ ჰფრინავს,
ტყე შრიალებს, ძალზე გრილა...

მიყვარს დილა! მიყვარს დილა!

მიყვარს დილა, როს იშლება
კორდზე—ია, ბალში—ვარდი,

ბუჩქს ჰეპელა თავს ევლება,
ნამს აპკურებს ცა ლაქვარდი,
მდელო მწვანით შემოსილა...
მიყვარს დილა! მიყვარს დილა!



მიყვარს დილა, ღმერთი შვების
როს ტახტზე ზის, ხარობს სული,
შორს მიმადრენს ფრთა ოცნების,
გვირგვინს მადგამს სიყვარული,
სევდა გულში ამოშლილა...
მიყვარს დილა! მიყვარს დილა!

ბამოვჭედოთ ჩვენი ბედი

ლურჯ ეთერში მოელვარე ამოგორდა ბურთი ცეცხლის,
მკერდ-მოქარგულ მინდორ-ველსა მოციმციმე სხივნი სტყორცნა
ყვავილებზე მოპნეული ააორთქლა ნამი ვერცხლის
და ბუჩქ-ბალახს ყელს მოეკდო, როგორც სატრფო, გადაკოცნა.

ზეცამ მიწას გაუცინა, მიწა ზეცას მიესალმა,
გაზაფხულის უცხო ჰიმნი შორს გაისმა სანეტარო,
გული დასწვა აატოკა განახლების გრძნობის აღმა
და სამოთხეთ მომეჩვენა ტანჯვის ბუდე ეს სამყარო.

შხათ ვიყავი დამეძახა: გაიხარებს ტანჯვის შვილი!
მაგრამ უცბად დემონისა მე ხარხარი მესმა ლალი
და მყის დასქენა, ჩამოსცვივდა შვების ვარდი ახლათ შლილი
და აყვავდა სულის მღრღნელი კაეშნის და სევდის ბაღი.

მაგრამ თანვე ოცნებისა ფერია მსწრაფლ მომევლინა,
მომავლისკენ გამიტაცა, დამანახვა აღთქმის მხარე,

სადაც შრომის მეუფებას ნათელ-შუქი მოეფინა
და მოსჩქეფდა შვების წყარო, საამურათ მოჩანჩქარე.

და აყვავდა კვლავ იმედი, სევდის ბალი მთლად დაძრღვენი
და ხმა-მაღლა შემოვსძახე, რასაც გულში ფიქრით ვწერდი:
ტანჯვის შვილნო! მომავალში კაშკაშ-ბრწყინავს ჩვენი დილა,
და ჩვენც მისკენ გავეშუროთ: გამოვქედოთ ჩვენი ბედი!

1914 წ.

ს უ ლ ვ ე რ ზ ი დ ა ვ ს

1

მზემ ამოყო თავი,
გაქრა ღამე შავი
და გათენდა დილა, გულის მომხიბლავი.
არაკრავდა წყარო,
ცივი, სანეტარო,
და შიგ ჩაიხატა ლერწამი ტან-სარო.
თმა-ხუჭუჭა ძეწნა
სიომ ბუჩქებს შეწნა
და იმანაც ფოთლებს ტკბილი კოცნა შეძლენა.

2

და პირველი სხივი,
მოციმციმე, ნაზი,
ვით აღმასის მძივი,
ტურფა და მალხაზი,
დიდ ქალაქსაც მოხვდა...
მოიფშენიტა თვალი

და, ვით ქალი კობტა,
ტრფობის ეშხით მთვრალი,—
აკისკისდა ვნებით,
დაანთხია შხამი:

ღევნილთათვის ბედით,
დადგა ტანჯვის წამი!

3

ვაკვირდები ქუჩას—ამ ცხოვრების სარკეს:
ვხედავ გაქივრებას, ვხედავ სივაგლახეს...
მინდა ვუმკურნალო, მაგრამ ველარ ვწვდები
და ხმა-მალლა ვყივი, მესაყვირეთ ვდგები:
სულ ვერ ზიდავს მიწა ბოროტების საბანს;
აფეთქდება, ტანჯვის ცრემლებს ცეცხლით გაბანს!

1915 წ.

უ წ ე რ ი ს მ წ ვ ე რ ვ ა ლ ზ ე

ფრთაფარფატა თეთრი ნისლი მწვერვალებზე ხოხავს რხევით,
ხან ნაპრალში ჩამოწვება, ხან მიცოცავს ზევით-ზევით,
ხან წერწეტ ნაძვთ ყელთ ეხვევა, ტრფიალების იპყრობს ვნება,
ხან, დაჭრილი სხივთ ისრებით, კანკალებს და ცრემლათ დნება!

თავ-ქოჩორა მთათ გრეხილებს, ერთმანეთზე აკიბულებს,
უხილავი ძალთა ხელით ლურჯ სივრცეში აზიდულებს,—
ხავერდათ შლილ ზურმუხტ კალთებს უფერადებს ყინულთზოლი
და ქვეშ ფაზი გრგვინვით მოჰყუფს, ხან მღვრიე და ხან
კი ბროლი!

კლდის გულიდან ნაკადული მოკისკისებს, მოჭბტის ცქვიტათ,
ფოთოლ-კვირტებს მარგალიტებს ყურზე ჰკიდებს ყურსაკიდით;

ფირუზ ცასა სხივებს ჰპარავს, გულში იკრავს, ჭაფში
და დაბლისკენ მიჩუბჩუხებს, კალა მინდვრებს სკრის და
ღარავს!..

მე მწვერვალზე ვდგავარ ობლათ, შორს მიმაფრენს
ფიქრთა ფრთები,
ხან ბრძოლის ველს დავსტრიალებ, ხან ქოხებში
შევიჭრები,
მაგრამ ყველგან ცრემლებს ვხედავ, წინ მიდგება სისხლის
ტბები
და, დაჭრილი კაცთ სიავით, ისევ ჩანგურს ვუბრუნდები.

მსურს რითმებში ჩაეაქსოვო სულის ღელვა განაცადი,
მაგრამ, ვაგლახ! იღუმალი ხმა ჩამძახის: „რასა სჩადი?
ვის რად უნდა შენი ლექსი, ნალვლით სავსე, გრძნობით
თქმული,
დღეს ომია: ტყვიამ შთანთქა ქვეყნის ფიქრი, ქვეყნის
სული!“

1914 წ.

ტ ბ ა

ტბა ერთ ადგილს უძრავად სდგას, გადუხსნია
სარკედ გული
და შიგ ზეცა იხატება გუმბათივით თალ-შეკრული,
დღისით მზით და ღამით მთვარე, ვარსკვლავებით
მოქარგული,
ხან ლაყვარდი, ხან-კი ლეგა სქელ ღრუბლებით
დათალხული.



მის ნაპირებს მრავალგვარი ხე, ყვავილი, ბუჩქი ჰქარავს,
 ზოგი ტბისკენ გადახრილა, ზოგი მწვერვალს ცაში ჰქარავს,
 ზოგი განზე გაზნეკილა, ტოტი ტოტში გაუხლართავს,
 ზოგი ფართოთ გადაშლილა, ზოგს ბუჩქები შეუხლართავს...

საერთოთ-კი ყველა თითოდ ტბის სარკეში იქვრიტება,
 თითქო უნდა თვალი მოჰკრას—მწვანე კაბა ვით უხდება.
 მითხარ, ძეწნავ, ყელ-ზურმუხტო, ამ ტბას გულში რომ
ჩასცქერი,
 ხომ არ გინდა დაინახო—როგორი გაქვს სახე, ფერი,

კოჭებამდე ჩამოშლილი თმა, ხუჭუჭი, შვენიერი,
 ნიავი რომ ბურძგნის, არხევს, მთის მწვერვალით მონაბერი?
 თუ ამისმა სიკამკამემ მოგხიბლა და დაგატყვევა
 და, ტრფობის ცეცხლ მოდებულსა გინდა, ყელზე შემოხვევა?..

ან შენ, იავ, ლურჯო იავ, გაზაფხულის ნაზო შეილო,
 თავ-ქოჩორა ბუჩქის ძირში საოცნებოთ გამოსკენილო,
 რას დაეძებ ამ ტბის გულში? ნუ თუ შენც ეს შეგიყვარდა
 და გსურს მარად რომ უცქირო, სხვა არცა გრწამს ამის გარდა?!

ან შენ, ფშალავ, ამ ალვის ხეს რომ ჩაჰკვრიხარ, მოხვეციხარ,
 თავი ტბისკენ დაგიხრია, რა გიზიდავს, ერთი მითხარ?
 ნუთუ ამან მავ ნორჩ გულში შენც ავინთო ტრფობს ალი
 და, აწმყოთი დაბრმავებულს, დაგავიწყდა მომავალი?!

ეხ, უგნურნო! მერე იცით, თუ რა არის ეგ ტბა, კრული?
 ხავსი რატომ მოდებია? ან რათ არის დაგუბული? —
 აბა კარგათ დაუკვირდით, გაუსინჯეთ ფსკერი ბნელი:
 ეს რა არის რომ მოსცურავს, ზურგ-შავი და გულ-მკერდ კრელი?

ან ის, ეგერ ხავსზე რომ წევს, ფერათ მწვანე, მუცელ-სქელი?
ან ეს, აგერ რომ ყიყინებს, გააყრუა ტყე და ველი?

ტრფობის ღირსი ნაკადია, აგერ მთიდან ქვიდან ქვაზე
რომ მოხტუნავს, მოკისკასებს, მზისა სხივებს იჭერს ცაზე,
მარგალიტებს ესვრის ბუჩქებს, შვების გვირგვინს ადგამს თავზე
და რაკრაკით ტკბილ სიმღერას მოიმღეროს მომავალზე!

1915 წ.

ბ ა რ ა თ ი

1

კაზმული სიტყვებით, მრავალ გვარ ფერებით,
ბარათს გწერ, შვენებავ, ალერსით, ფერებით.
ნუ დახევ, უბეში ჩაიდე, ატარე...
აკმარე შენს მიჯნურს, რაც ცრემლით ატარე.
დამწვარი თვალები მომწმინდე, მობანე...
შენს მკობელს, შენს მხმობელს, შენც ტკბილათ მობანე,
მიეცი მას ნება ბროლ-მკერდზე გემთხვიოს,
რომ გყავდეს მფარველათ, როს ჳირი გემთხვიოს...
ნიაფსა მიჰბაძე, ნისლთ ფარდას რომ არხევს:
ფრთებსა სცემს გიჟმაჟად, მაგრამ მთლად ხომ არ ხევს?

2

ნუ მტანჯავ, გეთაყვა, ნუ მტანჯავ უწყალოთ,
წყურვილით ვიხრჩიები, ნუ მომკლავ უწყალოთ.
მომხედე, შემიტკბე სევდა-ჳირს მარიდე...
ბადრ სახეს რომ გიმკობს, მაჩუქე მა რიდე!

სული ჰვენესს უშეხოთ, ძალ-ლონე ელევა,
შენს სახელს ლოცულობს, სხვისთვის ვერ ელევა...
ნაკადულს მიჰბაძე, ბუჩქთ ალამს რომ არხვეს:
ტალღებს სცემს გიჟმაჟად, მაგრამ მთლად ხომ არ ხვეს?

3

ნაზი ხარ, ვით ია, წალკოტის ასული.
გიხდება გიშრის ტყე, ტევრათ ზე ასული;
ტყის პირათ—მელნის ტბა, ეს დილის ცისკარი,
ისე ღრმა, უძირო, ვით ღია ცისკარი,
ქვეშ—ბროლის მესერი, ელვათა სადარი;
ზედ—მარჯნის ქიშკარი... ვიშ, მსგავსი სად არი?!
ცქრიალავ! მიწაზე ნაშობი, მგონი, ხარ?
არ მჯერა, არ მჯერა: ცის შვილი მგონიხარ!
მაშ შენც მზეს მიჰბაძე, თეთრ ღრუბელს რომ არხვეს:
სხივებს სცემს გიჟმაჟად, მაგრამ მთლად ხომ არ ხვეს?

4

წამოდი! წამოდი! ია-ვარდს დაგიფენ...
ამ გულზე, დაგულზე, მალამოთ დაგიფენ...
მიგიღებ დიდებით, დაგხედები ზეიმით,
ლალის ტახტს დაგიდგამ, გატარებ ზე იმით!
ტანთ მთვარეს ჩაგაცმევ, ლურჯ ცაზე ახეულს,
თავზე მზეს დაგადგამ, თუ მიტრფობ, ახ, ეულს!
ნიავეჭარს მიჰბაძე, ტყის ფოთლებს რომ არხვეს:
გიჟმაჟად ატოკებს, მაგრამ მთლად ხომ არ ხვეს?

1916 წ.



I

ბილიკს მივყვები მაღლობზე,
 მივდივარ სვენებ-სვენებით,
 ხან კლდე შემხვდება, ხან ხრამი,
 ხან ველი, სავსე შვენებით,
 ხან ნარი გამკრავს, დამნესტრავს
 თავის წვეტიან ენებით.

მე მაინც წინ წინ მივდივარ,
 მსურს ვნახო ლურჯი სამყარო,
 სხივთა ჩანჩქერში შევცურდე,
 სული და გული ვახარო,
 და შემდეგ კაცობრიობის
 მზის უკდავება ვახარო.

მომწყინდა მუდამ ჭაობში
 ხობვა... ვაგლახის ყურება:
 რა სიცოცხლეა სიცოცხლე,
 თუ ნისლით დაიბურება,
 ვერ ავა შევების მწვერვალზე,
 ცრემლთა ზღვათ დაიწურება?!

II

აჰა, ავედი მწვერვალზე,
 ლურჯ ცას რომ თავით ჰბჯენია
 და ვიხედები გარშემო:
 ღმერთო! რა რიგათ შევენია!
 აქ აუნთია ბუნებას
 შემოქმედების გენია!

როგორც ბორბალი, სივრცეში
ბრუნავს და ბრუნავს კანდელი,
სხივი სხივს იჭერს, შუქი შუქს,
ტალღათ იშლება ნათელი...
ამ სიღიადეს ვერ აღწერს
ჩაბრუხადე და შავთელი!



მაგრამ, ეჰ, აქაც მომწყინდა,
სხვა სანახავი მწყურია:
მსურს გადვიხედო ცის იქით.
შავ ნისლს რომ დაუბურია:
ვინ იმყოფება რა ძალა
კარი რად დაუხურია?

1916 წ.

მ თ ა წ მ ი ნ დ ი ს ქ ა რ ი

მთაწმინდის ქარი, ცივი და მწყრალი,
დაძრწის თბილისის ვიწრო ქუჩებზე,
ისე კაპასობს, ვით ანჩხლი ქალი,
და ეხეთქება ფანჯრის შუშებზე.

ბევრს შეაყინა კვნესა ტუჩებზე,
ბევრი გათოშა და გაალურჯა,
ბევრი მიაკლა ვერის ბურჯებზე,
ააცახცახა და დაამუნჯა...

და წინ მიჰფრინავს, ვით ცხენი ლურჯა,
ნაძალადეგზე უჭირავს თვალი,

და, აჰა, აგერ ისიც დაბლუჯა,
გარს შემოარტყა ქოხმახებს რკალი;



და როგორც გიეი, უცბად დამფრთხალი,
კვლავ უკუიქცა... გაღიხარხარა,
მძლავრად მოავლო ქუჩებს ფრთა-მალი,
მთელი ქალაქი მტვერით დაფარა;

და წუთს მიყუჩდა, ფრთები დაჰხარა
და მიესვენა მთაწმინდას მკერდზე,
ბრძოლის ფარ-ხმალი იქვე დაჰყარა,
თითქოს დაფიქრდა მსოფლიოს ბედზე.

1916 წ.

უკან უხო კითხვები

ხშირათ, როცა სხივთ ჩანჩქერი ოქროს ტალღათ გაიშლება,
ნიაფი ტყეს შეატოკებს, ფრინველთ ჯარი აიშლება,
ფოთოლთ ყურზე ციმციმს იწყებს დილის ნამი მოციხლე,
ცას მერცხალი ზევსურს ეტყვის, ლურჯ ეთერში მოსრიხლე,
მე დავდივარ მარტოთ-მარტო, მყუდროებას არვინ მირღვევს,—
ფიქრთა ღმერთი ზონარს დასწევს, სარკმელიდან ხელსა მიქნევს,
და, ვით კენჭი განასროლი, მეც ფიქრთ ზღვაში ვიძირები,
ჩვენი ყოფნის რვეულს ვფურცლავ და დიდხანს შიგ ვიციქირები.
ათასგვარი საკითხები წინ მიდგება აუხსნელი:

ვინ ვართ? რა ვართ? სიდან მოვალთ? სად მიგვიძღვის შარა
გრძელი?
ან სიცოცხლეს რა ჰქმნის? რა შლის? სად ანთია მისი კერა?
ან რა არის თვით ცხოვრება? ან ტანჯვა ვინ გამოკვერა?..
აკი კაცმა ბუნებისა საიდუმლო მთლად განსჭვრიტა:

ცის კამარა ვაარღვია, ზღვა ვასცურა, მთა ვახვრიტა?
თავის თავი რად ვერ იცნო? რათ ვერ ახსნა თვისი არსი?
ტანჯვა რატომ ვერ შემუსრა? რათ ვერ შესვა შვების თასი?
ვკითხულობ და პასუხს ვუცდი, ვკითხულობ და პასუხს ველი,
მაგრამ ნაცვლად პასუხისა: ძირს ეშვება ფარდა ბნელი!

1916 წ.

მ ო ც ი ქ უ ლ ი

მე აქ მოვედი მჭადაგებლად სიყვარულისა,
თან მოვიტანე მოგუზგუზე სული და გული,
ჩამოვკარ სიმებს, ვსთქვი სიმღერა არვისგან თქმული,
მე კვლავ მივდივარ, არ-რა მიმაქვს გარდა წლულისა.

მაგრამ ის ცეცხლი, რომ ავანთე, სულ იპრიალებს,
ბევრ გულს აანთებს, ბევრ გულს დასწვავს, დაუშრეტელი,
ვერ გადურჩება თვით მტერიც კი შორით მქვრეტელი:
ვისაც მისწვდება, ყველას გულში იფეთქ-იალებს!

და მე კი, თუმცა თან მიმყვება გული დაქრილი,
ჩანგი მდუმარე, სიმ-აცლილი, წკირა-გახრილი,
მაინც არ ვწყევლი, არ ვემღური ჩემს ბედის წერას.

ვაი მას, ვინც ვერ აანთებს მიფერფლილ კერას,
ვინც ვერ მიწვდება ხალხის გულის იდუმალ ძგერას
და ვერ შეუწყობს მის ტკივილებს ჩანგს და სიმღერას!

1916 წ.

1

დიდ ქალაქსა თავს დაჰყურებს თეთრი ღამე.
 ცა ლურჯია, სარკესავით მოკამკამე;
 გაშლილ მკერდზე ვარსკვლავები აბნევია,
 თითქო მზეს ზედ ოქროს ვარდი დაბნევია.
 ვერცხლის თმიანს მთვარეს ნაზათ ეცინება.
 ნიავე სთვლემს... დარბაზებსაც ეძინებათ.

2

ჩუ! ბორკილმა დაიჟღერა, ქუჩა შეკრთა,
 მოდის მსხვერპლი, ხალხის შეილი, დედის ერთა,
 მოდის... და მის მოლოდინში ბოძი ტოკავს
 და სიკვდილი სიხარულით ფრთებს შლის, როკავს...
 ბოროტებაე! ყოფნის ყვაველს შხამს რომ ანთხევ,
 რის მიცემაც თვით არ ძაღვიძს, რისთვის გვართმევ?!

3

ეჰ, ლანდებო! რად დაძრწიხარ ამ ღამეში?
 ვერ გასძელით ცივ ნესტიან სამარეში?
 თუ გსურთ ნახოთ თქვენი მოძმე როგორ კვდება?
 ან და—ყელზე თოკი როგორ მოუხდება?
 ან ეგება საფლავიდან მისთვის მოდით,
 რომ ჩაქოლოთ მოძმის მკვლელი ქვით და ლოდით?

4

მაგრამ არა, დღეს თქვენ არ ხართ საშიშარი:
 ცოცხლებს აფრთხობს მხოლოდ ცოცხლის რისხვა-ზარი;

და იგი რომ დაადუმონ, ვით საფლავი,—
აქ დაუდგამთ, აუმართავეთ ბოძი შავი;
და როდესაც ზედ ზვარაკი დაიკვნესებს,
ჰგონიათ მით ამაგრებენ უხეშ წესებს!

1916 წ.

ქ ა ლ ა ქ ი

I

აი ქალაქი, გაშლილი, ვრცელი,
სადაც ოქროს კერპს ტახტი დაუდგამს
და დიდი, მცირე, მეფე, თუ ბრძენი—
ყველა თაყვანს სცემს და სულს მით იღვამს.
თვალ-წინ იშლება ქუჩები გრძელი,
ხედავ დარბაზებს უცხოთ ნაშენებს,
ზოგს ყელს ავლია ჩუქურთმის გველი,
ზოგს ფერადები ამკობს, აშვენებს:
ეს თეატრია, ის სამკითხველო,
თანამედროვე კულტურის შვილი,
ჰა, ესეც კიდევ, ჩემო მკითხველო,
საროსკიპოა, ნამუს-ახდილი;
ეს საპყრობილე—ცოცხალთ საფლავი,
ისიც სამსჯავრო ბრძენ ფემიდასი,
მაგრამ სამართალს ოქრო სჭრის ავი,
ქეშმარიტებას არა აქვს ფასი;
ეს კი სოფდაგრის სასახლე არის,
სადაც შუშხუნებს შამპანიური,
ხან ისმის კენესა წკრიალა თარის,
ხან როიალის—ჰანგი ციური;

ხან მზე-ასული, გრძნობა-აშლილი,
ვნების ღმერთს ჰკოცნის, რაკრაკებს ტკბილათ
და ბროლის მკერდზე, უცხოთ გათლილი,
ბროლისვე ბურთნი უთრთიან წყვილათ;
ხან კი ბატონი ჩოთქითა ხელში
უზის მაგიდას დავთრებით წინა
და ანგარიშობს — თვით მახე-ქსელში
ვინ სად გააბა, რა შეიძინა,
და როცა ხედავს სასურველ ჯამსა,
კმაყოფილებით უბრწყინავს სახე...
მას ვით მისწვდება ამ ნეტარ ჟამსა
მის მსხვერპლთა კვნესა და სივავლაზე!

II

აგერ ქარხანაც გრიალებს, გრგვინავს
და ეს გუგუნნი, ეს ხმაურობა
ყველაფერს თავის სიღრმეში სძირავს,
ვით ნაზ მუსიკას ხალხთ ზაურობა.
გრგვინავს და ბოლი ამონასროლი
მიიზღაზნება მალლა ერთაგათ
და, ვით ღრუბელი, მწვერვალზე მწოლი,
ქალაქის თავზე იშლება შავათ.
ამ ყრუ გუგუნში, ტანჯვის აღმურში
იხრაკებიან შვილები შრომის:
ერთი ცეცხლს უძრავს იქ, ბნელ ჯურღმულში,
მეორეს — ძალა არ შესწევს დგომის,
მესამე ქურას თავს დასტრიალებს,
თუჯის ზოდს ასხამს, ზედვე აღნება,
მეოთხე, ძალზე დანატრიალებს,
მანქანას მოჰყვა და აგერ ჰკვდება;

მეხუთე... მაგრამ რამდენი ერთი
უნდა მოვთვალო: ათი, თუ ასი?
ახ, როდის მოვა სიმართლის ღმერთი,
რომ კაცთ სიცოცხლეს დაედოს ფასი?!



III

ჰა ქოხმახებიც, ჩაგრულთ უბანი,
ჩაშავებული, ვით ღამე ბნელი,
სადაც გუზგუზებს ტანჯვის ვულკანი,
დღესასწაულობს სიკვდილის ცელი!
თვალწინ იშლება სურათი მწველი,
ხედავ ჩამომდნარს ბაღლებს და დედებს,
ზოგს ტანს უფარავს კონკების ძველი,
ზოგი ამასაც ნატრულობს, ეძებს!
ჩუ! ყური უგდეთ... არ გესმით გლოვა
გულის მომწყვეტი, ვით შიშის ძრწოლა?
ეს ისინია, ვინც გამოსწოვა
ოქრომ და გარეთ გამოისროლა!
და დღეს, მისულნი სამარის პირათ,
დაწანწალობენ კარიდან-კარათ,
არა აქვთ საზრდო, არც ქოხი ბინათ,
უკანასკნელ წამს თავ-შესაფარათ.
ჰოი, ცხოვრებავე, უკმეხო ავო,
რამდენი მსხვერპლი შეგიწირია;
რისთვის ვერ გაძებ ამდენ ხანს, სვავო?
ამდენი ცრემლი რატომ გჭირია?!

IV

ახ, აგერ ისიც—ნაძალადევი,
თავისუფლების აკვანი კერა:
აქ დაიბადა პატარა მღევი,

აქვე ისწავლა ბრძოლის სიმღერა!
 ეს კარგათ იცნობს კატორღას, ციმბირს,
 იცნობს მეტეხის ნესტიან კედლებს,
 რომ წამომგდარა ამაყათ მტკვრის პირს
 და ემუქრება მომავლის მერცხლებს.
 აქ არა ერთხელ ყოფილა ბრძოლა,
 შრომას დასხმია უხეში ძალი,
 გაჩაღებულა თოფების სროლა...
 ჰა, აგერ ახლაც ჩანს სისხლის კვალი!
 მაგრამ წითელი დროშა დიადი,
 ისევ ფრიალებს, ისევ ირხევა
 და, ვიდრე მეფობს ქვეყნათ წყვედიადი,
 ისიც იქნება, არ დაიხევა!

V

ჰა, აგერ ქუჩაც—სარკე ქალაქის,
 მარად რომ ლელავს, ივსებ-იცვლება,
 სადაც, ვით ტბაში თალი ლაგვარდ ცის,
 მთელი ცხოვრება მოსჩანს, იშლება:
 აქ ხან ტრამვაის გაისმის ზარი,
 ფუსფუსებს ხალხი, რიგსა სცვლის რიგი,
 ხან გამოჩნდება ცხენით მხედარი,
 ვინ გამოიცნობს სად მიჰქრის იგი;
 ხან გაიქროლებს ავტომობილი,
 ხან ეტლი ეტლზე გაიგრიალებს,
 ხან მეგაზეთე, ქუჩის ძმობილი,
 „ზარი“! „სახალხო“!—გაიხმიანებს;
 ხან მძიმე ტვირთს ქვეშ მოხრილი მუშა
 ჩაითვლის ხენეშით თვალ-სისხლიანი,
 ხან ქალიშვილი, ნაზ თმა ხუჭუჭა,
 მიგოგავს: გულ-მკერდს უმკობს იანი;

ხან ბორკილი ჟღერს, ხან კუბო მოდის,
ხან ქუჩის ქალი თვალსა ჩაგიკრავს,
თითქო განიშნებს: მნახავო როდის?
ხომ იცი კარგათ, რომ შიმშილი მკლავს;



VI

შიგნით რა ხდება—ამას ნუ მკითხავთ,
ან რა აზრი აქვს კალმით დაწერილს?
თვით დაუკვირდით და წაიკითხავთ
დარბაზ ქოხებზე წითლად წარწერილს:
„მექრთამეობა, სისხლი, ლალატი,
შიშველი ხორცის ტრფიალი, ხვევნა,
ნამუსის ახდა სუსტის ძალათი,
გაუტანლობა, ძარცვა და დევნა“...
„წინსვლა, შეგნება, განვითარება,
ბრძოლა უკეთეს მომავალისთვის,
ძმური კავშირი სოლიდარობა,
ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“...
აი ქალაქის შვენიერება,
მისი სამოსი, მისი მანტია:
აქ იჭედება ბედნიერება!
ტანჯვის კოცონი აქვე ანთია!
1916 წ.

ხ ა რ ე ბ ა

გარშემო ბნელოდა,
სული მზეს ელოდა,
ხან მწარედ გმინავდა,
ხან რწმენით მღეროდა.

ცისკარი ამოხდა.
შეესძახე: რა მოხდა?
მახარა: „მზე მოდის,
ბნელს სული ამოხდა!“



გულს მოხვდა სიამე:
დავკრიფე ია მე
და უცხო სურნელით
დავსტკბი და ვიამე.

ვსთქვი: თვალთ არ ნახულს,
ოცნებით დანახულს,
დიდება, სალამი,
ფრთა ლამაზ გაზატხულს!
1917 წ.

ა მ ო ნ ა კ ვ ნ ე ს ი

ლაშე მეფობს წყნარი...
სდუმს ფოთოლთა ქნარი...
და პირ-ბადრი მთვარე,
ვერცხლებრ მოელვარე,
ყვავილოვან ტყე-ველს,
სურნელების მფრქვეველს,
ყელს ეხვევა ტრფობით,
ჰკოცნის, თვრება გრძნობით.

ხეივანთა ჩრდილში,
მწვანე ველზე შლილში,
ჩუმათ, ფეხ-აკრეფით,
მთელის თავის კრებით,

ღმერთი მღუმარების,
მსგავსი მწუხარების,—
ფერხულს უვლის, როკავს,
და სიცოცხლეს ჰბოროკავს.

და მეც ჩემს ჩუმ ფიქრებს,
ვით რითმები, რითმებს,
ქვეყნის ოთხსავე კილით,
ოცნების გრძელ ხილით,
უხმოდ, მღუმარებით,
სავსე მწუხარებით, —
შორს მივყვები წყნარად,
შვების მოსაპარად.

მაგრამ კითხვებს წყეულს,
თავზე შემოხვეულს,
ვერსად გავქცევივარ:
მის საკანში ვზივარ!
როდის დავლევ მის კარს
და ჩამოვკრავ ხსნის ზარს;
ახ, მითხარით მალე,
თორემ შევიშალე!

ვაჰმე, ამ ჭაობში,
უგრძნობლობის ობში,
როგორ გასძლოს სულმა,
სხივის მონატრულმა?!
მითხარ, ადამის ძეგ,
მითხარ, შე სამიწვეგ,
შენს თავს როდის იცნობ
და სიმართლეს იძმობ?
1917 წ.

1

ნანატრმა წამმა დაჰკრა და ქუჩა
 კვლავ ამოძრავდა, კვლავ ახმაურდა;
 მონას შიმშილმაც ჩაუჩაქურჩა
 და ისიც აღსდგა... ჰკითხეთ რა უნდა!
 „პური! უფლება! უფლება! პური!“
 ყვირის, იძახის, ჯვარზე გაკრული,
 მაგრამ მის ნაცვლით, მტრობა და შური
 ტყვიებს ურიგებს, არ ზოგავს, კრული!
 ისმის ყიჟინა, სისხლი იღვრება,
 აღისფრათ ელავს გულ-მკერდი მიწის;
 ძღვევის სასწორი სით გადიხრება
 არავენ უწყის, არავენ იცის!

2

ეი! თქვენ, ვინაც მონის უღელში
 რკალებრ მოხრილხართ, კენესით და გმინავთ,
 გამოდით გარეთ, მახვილით ხელში...
 რად არ გრცხვენიათ, ამ დროს რომ გძინავთ?!
 საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა,
 „ყოფნა-არყოფნის“ კითხვა დაისვა...
 დრო არის, ჩახმახს თითი გამოჰკრათ!
 დრო არის, ხმალზე ხელი გაისვათ!
 რომ გეკიდებათ თვალებზე რული,
 თავისუფლება არ გიყვართ განა?!
 არ გიცემთ მკერდს ქვეშ მამაცი გული?!
 არ გინდათ ნახოთ თქვენც ხსნის ქვეყანა?!

ღვივდება ცეცხლი. ჯარს მოსდევს ჯარი
 და ტანჯულ მოძმეთ უკავშირდება:
 თავისუფლების მცველი ლაშქარი,
 შეხედეთ, რა რიგ სწრაფად იზრდება!
 განმარტოებით დარჩა მტარვალი,
 გაპირვების დროს არეინ ყავს მცველი,
 შორს გაუფრინდა ბედი, ფრთა-მალი...
 დაჰკარით, ბარემ მოსწყვიტეთ წელი!
 ნუთუ არ კმარა. რაც სისხლი გვწოვა?
 დეე მოელოს მის პარპაშს ბოლო,
 რომ შესწყდეს სისხლი, ცრემლი და გლოვა,
 ვნახოთ ცისკარი—ეს ხსნის სიმბოლო!

4

აღსრულდა! არწივს ორთავიანსა
 დაემსხვრა ფრთები, ძირს ჩამოვარდა!...
 ზეიმობს ხალხი, სქვრეტს დღეს მზიანსა,
 მოეხსნა თვალწინ შავბნელი ფარდა!
 არ გეტკივა ახლა ძველი ჭრილობა,
 კვლავ გაჰაბუკდა სული ვნებული!
 ისე თრთის გული, ისე თრთის გრძნობა,
 ვით სატრფოს ხილვით შეყვარებული!
 ჰოი, მჭედელო თავისუფლების,
 გადიდებ ქუჩავ, ჩაგრულთა კერავ!
 დღეს შენ გაგვიღე კარი უფლების!
 მრწამს, მომაგალსაც შენ გამოკვერავ!

1917 წ.

(ლეგენდა)

1

ვის უნახავს მზეთამზე,
 სილამაზის ხატება?
 თავის მშვენიერებით
 ედემს აღემატება.
 ერთხელ თვალი თუ მოჰკარ,
 გულში ჩაგეხატება.
 მკერდმოქარგულს, ყელზურმუხტს,
 ლურჯს სივრცეში ასულსა,
 ორ ბუმბერაზ მთათ შორის
 ნაზ დედოფლათ დასმულსა,—
 სხივთ გვირგვინი აღგია
 ისე, ვით მზის ასულსა.
 სარკედ ფირუზი ცა აქვს
 და სავარცხლად—ზეფირი;
 ფარეშად ცისკარი ჰყავს
 და ლამაზობს მზეპირი...
 იცით, მასზე რას ამბობს
 გადმოცემა ზეპირი?

2

ძველად, უხსოვარ დროში,
 როს მზე მოწყდა მთვარესა,—
 ერთი კოშქი ამკობდა
 ამ სამოთხე არესა...
 თავს ვარსკვლავთ ჯარს იხვევდა,
 სხივებ მონარნარესა.

შიგ ცხოვრობდა მოხუცი,
ჰყავდა მხოლოდ ასული,
ტანლერწამი, პირბადრი,
როგორც ალვა, ასული,
მას ნაკლს ვერ უპოვიდა
თვით დემონი, ავსული.
მზეთამზესა ეძახდენ.
და მართლაც რომ მზეობდა.
მისი თვალთა ელვისგან,
ბნელი ღამეც დღეობდა.
მიწიერ არს არ გავდა,
ვით ცის შვილი, ზეობდა.
როს დილის მზე, ცხრათვალა,
სხივებს შორს გასტყორცნიდა,
ბამბის ქულა თეთრ ღრუბლებს
ვარდისფრად ჩაკოცნიდა
და თმახუჭუჭ მწვერვალებს
ნისლთ ფარდას ჩამოხსნიდა,—
ისიც ცივ ნაკადულებს
დაუფლიდა ცქრიალით,
რაკრაკებდა, ფოთლები
ბანს აძლევედენ შრიალით
და სტკებებოდა მიდამო
უცხო ჰანგთა წკრიალით

3

ერთხელ, როცა მზეთამზე
ჩანჩქერში ბანაობდა,
ხან ტკბილად კისკისებდა,
ხან ჩუმათ ნანაობდა
და მისი გიშრის თმები

ტალღებში ქანაობდა,—
თვალი მოჰკრა შორით მზემ,
ტროფობის ქსელში გაება:
შედგა, დიდხანს უყურა,
თითქო მასთან დაება;
ბოლოს გზნებით შესძახა:
„შენ ხარ ჩემი ღვთაება!“
შვიდფერ სხივთ თაიგული
ოქროს ძაფით შეკონა,
ძღვნად მიართვა სულისწორს;
ისიც ზედ დაეკონა;
თუ უეცრად დასწვავდა,
ბედკრულს, ეს არ ეგონა.
მაგრამ რა მიეკარა,
ვით, ალი, აპრიალდა,
დადნა და აღმასებად
მიწაზე დაცქრიალდა
და სხივებზე ათასფრად
აენთო, აციალდა.
და მას შემდეგ იმ ადგილს
მზე თვალს ველარ აშორებს,
მუდამ ზედ დაქათქათებს,
ჯანს და ბურუსს აშორებს,
ლალ-ზურმუხტებით ჰქარგავს,
ელემსაც კი აშორებს!

1917 წ.

დღეს ჩვენი დღეა. ჩემო ჩანგო, დღეს ჩვენი დღეა
 და ჩვენცა გვმართებს გადვიხადოთ დიდი დღეობა:
 მოვიხმოთ მუხა; ქოხის კარი დავტოვოთ ღია;
 დე სხვებმაც ნახონ ჩვენი ლხინი, ჩვენი ღრეობა.
 დავსხდეთ და ლხინში მოვიგონოთ ჩვენი წარსული,
 თუ რა გადაგვხვდა, რა შეგვემთხვა ეკლიან გზაზე,
 და სათითაოდ ჩამოვთვალოთ ნასმენ-ნახული,
 წამების ჯვარი როს მიგქონდა იქ, გოლგოთაზე;

ოცი წელია, რაც ამ გზაზე დავიარებით,
 ოცი წელია მტკიცედ ვებრძვით უკუღმართობას...
 აიესო გული შხამ ნალველით და იარებით,
 მაგრამ ჩვენ მაინც იგი გვიყვარს, არ ვუთვლით გმობას.
 ნურც ვულალატებთ, ისევ ისე ვიაროთ მაზე:
 რაკი ერთხელვე ავირჩიეთ მეზარეობა,
 ვრეკოთ და ვრეკოთ,—რომ მის ძლიერ გუგუნის ხმაზე
 აღსდგეს ქალაქი, აღსდგეს დაბა აღსდგეს ხეობა;

ჰო, მართალია, ბევრჯერ ვნახეთ შემოღამება,
 მაგრამ ვიხილეთ განთიადიც ვარდისფერ ფრთებით,
 როს აღმადრენას დაემონა სულის წამება,
 აზვირთდა ხალხი და მტარეალებს ეკვეთა გზნებით!
 ამან აანთო ამ ჩვენს გულში რწმენის ლამპარი,
 ამან აღზარდა ამ ჩვენს სულში უდრეკი ნება...
 დე, სხვებს ეგონოთ ჩვენი მრწამსი მხოლოდ ზღაპარი,
 ოლონდ ჩვენ გვრწამდეს ახალ აღთქმის ახალი მცნება!

1918 წ.

ცივ შემოდგომის ყვითელ დილაზე,
 როს სევდის ქარვა მეკიდა გულზე,
 თვალთა წინ მედგა შენი სინაზე
 და ვოცნებობდი შენს სიყვარულზე,—
 გამომეცხადა შენი შიკრიკი
 და შენს მოსვლაზე იწყო ქიკჭიკი.

გამიზაფხულდა. შევების ვარდებით.
 შეიმეკო ჩემი სიცოცხლის ბალი.
 დარბაზი მოვრთე ძვირფას ფარდებით
 და დავაშვენე ქალებით თალი.
 ვუხმე მაყრიონს, მოვემზადენით....
 და, ჰა, შენც მოდი, აგვავესე ლხენით!

ახლა ჩვენთან ხარ, გიხდით დღეობას,
 სადღეგრძელოს ვსვამთ აზარფაშებით
 და, დედოფალო, შენსა მზეობას
 წითელ ლექსებით ვევაშვაშებით.
 საუკუნეთ ღირს ამ განცდის წამი...
 კურთხეულ იყოს მარად ეს ეამი!

ბუნების წიაღში მაისი ათრთოლდა,
 კოკობ ვარდს თვალეზში უბრწყინავს ალმასი,
 მთას მოსწყდა ნიაფი და ველზე აქროლდა,
 ბიბინებს ჯეჯილი, ლურჯი და ხასხასი.

ჩაგრულთა უბანშიც დღეობა გათენდა,
ქოხებში შეიქრა იმედი სულ-მნათი...
ხომ ხედავთ წითელ ტყეს, ქუჩებს რომ დაშვენდა?
მოდით და იხილეთ მომავლის სურათი!

ტ ვ ი ლ ი ს ი 1 მ ა ი ს ს

ახ, რა ლამაზი იყო გუშინ ჩვენი თფილისი,
ისე შეენოდა ალისფერი ალამ-ბანტები,
ვით ყაყაჩოსა მოციმციმე ცვარი დილისა,
ან მზისუნახავს ბროლის ყელზე ბრილიანტები!

ყველგან სცვივოდა სილალის და შვების ვარდები,
არვის სახეზე არ ტიროდა ფიქრი დაღლილი,
ისე ციკვავედენ შავ თვალეზში განცდის ლანდები,
როგორც შუადღის მზის სხივები ტბაზე დაღვრილი!

ღელავდა ქუჩა, აღ-დაკრული, ფაფარ-აყრილი,
ისე ხიბლავდა სიდიადე ყველას იმისი,
ვით განთიადი, ფირუზ მკერდზე ვარდებ დაყრილი,
სად თინათინობს მზის ასული სახე ყირმიში!

ახ, რა ლამაზი იყო გუშინ ჩვენი თფილისი,
ისე შეენოდა ალისფერი ალამ-ბანტები,
როგორც ყაყაჩოს მოციმციმე ცვარი დილისა,
ან მზისუნახავს ბროლის ყელზე ბრილიანტები!



შრომის გუგუნში დაიბადა ცისფერ-თვალემა,
და მოგვევლინა განთიადზე ვარდისფერ ფრთებით...
მას შობებელ დედათ ტანჯვა ჰყავდა, მამათ—წვალემა,
აკვანს ურწევდა ბრძოლის ღმერთი იღუმალ გზნებით.

დღეს ჩვენთან არის ცის და ქვეყნის შვენიერება,
ჩირაღდნით ხელში მიგვიძღვება ალთქმის მხარეში,
რომ მოგვანიჭოს სიმართლე და ბედნიერება,
რომ ძირს დაამხოს სამუდამოთ მტარვალთ თარეში!

მ ჯ რ მ ს კ ე რ ვ ი

(ქალაქის შუა ვულში, მალლობ ადგილზე ამართულია ოქროს კერპი და მზის სხივებზე თვალ-წარმტაცათ ელვარებს. მის გარს ფერიებს ფერხული დაუბამთ, უგალობენ და ფერად ყვავილებს უშლიან წინ).

ფერიები

შენ ღმერთი ხარ, ყველა ღმერთზე დიადი,
შენ გცემს თაყვანს მოწიწებით ყოველი:
ერი, ბერი და თვით მეფე ზვიადი,
მდიდარი, თუ ქუჩის გლაბა, მთხოველი!
შენ გიგალობს ქებათ-ქებას მგოსანი
და მხატვარიც შენთვის ხმარობს ყალამსა,
შენთვის ცეკვავს მელპომენა ფრთოსანი...
შენ გიძღვნიან დიდებას და სალამსა!
მძლეთა მძლე ხარ!.. შენი ნება-წადილი—
კანონია, გარდუვალი და მტკიცე!
ბრძანებლობ და კიდევც შეგწევს ქადილი,
რომ ქვეყანა მტვრათ აქციო, ცეცხლს მისცე!

დიდება შენ, დიდება შენ, ძლიერო!
ფიანდაზათ გიშლით ცისფერ ყვავილებს.
ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას, ციერო;
და ჩვენც გიმღერთ ჰანგებს ნაირ-ნაირებს.



ოქროს კერპი (თავისთვის)

დღეს მე მმორჩილებს ცა და ხმელი, ყოველი არსი,
გაისმის ყველგან ჩემი ქება, ჩემი დიდება,
ჩემ სადღეგრძელოთ ხელთ უპყრიათ ფიალა, თასი,
ჩემი სახელი, ჩემი ძალა დღით დღე იზრდება.
მაგრამ იყო დრო, როცა ქვეყნათ არავეინ მცნობდა,
მიწაში ვეგდე შეუმჩნეველათ, მფარავდა ბნელი
და, ვიდრე ერი ჩემს ღირსებას კარგათ იგრძნობდა,
არვინ იცოდა მსოფლიოში ჩემი სახელი.
მაგრამ მოვედი და ავმართე მრისხანე ლახტი
და ძირს დავამხე ერთის დაკვრით სხვა ღმერთთა ტახტი...
დღეს მე ვარ ღმერთი! მე მმორჩილებს ერი ყოველი:
საბრალო მონა, თუ ბატონი, სისხლის მწოველი.

მეფე (შემოდის მეფე).

ქვეყნის მპყრობელო! შენთვის იბრძვის ჩემი მახვილი,
სისხლით შევლებე კიდით კიდე, მთელი ხმელეთი.
ზღვას უსწორდება ქვრივ-ობოლთა ცრემლი დაღვრილი,
სინათლის ნაცვლად გავამეფე ყველგან ბნელეთი...
კვლავ შემოგწირავ უთვალავ მსხვერპლს, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა-ემთვრელობდე!

მგოსანი (შემოდის მგოსანი)

მძლეოთა მძლეველო! ჩემი ჩანგაც შენთვის ჯღერს მარად,
შენთვის შეეკონე ლამაზ ლექსთა თაიგულები
და მიმოვფანტე უცხო ხმებათ მთაში, თუ ბარად,
რომ თაყვანს გცემდნენ შენი ტრფობით დაისრულები...

კვლავ გიმღერ ტკბილათ, დაუცხრომლათ, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა ვმთვრალობდე!

მოძღვარი (შემოდის მოძღვარი).

ყოვლად ძლიერო! მეც შენ გიკმევ გუნდრუქს საამურს,
შენთვის აღვაღლენ წმინდა ლოცვებს საკურთხეველში,
გაქებ, გადიდებ, გიმორჩილებ მტრობასა და შურს,
შსურს შენ მეფობდე მხოლოდ მზიურ სასუფეველში...

კვლავ შენთვის შევთხზავ ფერად ლოცვებს, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა გრძნობა-ვმთვრალობდე!

სოვდაგარი (შემოდის სოვდაგარი).

სწორუპოვარო! მეც შენ გმონებ, გეტფრიალები,
შენა ხარ ჩემი სალოცავი, ჩემი ღვთაება,

გიცქერ და ცქერით ვერ ძლებიან ჩემი თვალები:
ეს ჩემი გული სამუდამოთ შენთან დაება.

შენ შემოგწირავ ცოლს, შვილს, მოძმეს, ოღონდ მწყალობდე,
რომ შენგან მოძღვნილ წყალობითა ფრძნობა-ვმთვრალობდე!

ოქროს კერპი (თავისთვის)

ჰა მაგალითიც: ჩემს წინაშე დახობავს ყველა,
ძლიერი მეფე, თუ მსახური ხელოვნებისა,

სოვდაგარი, თუ სულის მამა,—ეს კუდა-მელა,—
მქადაგებელი ხალხთა შორის ქრისტეს მცნებისა!..

ქალი (შემოდის ქალი).

ცის და ქვეყნის მბრძანებლო! ჰა, ეს საროს ტანი
შენთვის ნაზობს და ირხევა, გულის თან წამტანი.

შენთვის ელავს ბროლის მკერდი, ბროლის ბორცვიანი...
შენთვის მინდა კოცნა მწველი, კოცნა ცეცხლიანი!

ვნების შარბათს ვასმევ მარად, ვნებით განეტარებ,
ვნების ფრთებით აგიტაცებ, ლაევარდს მოგატარებ...

დე დაიწვევს 'შენს წინა'ზე მსხვერპლათ ჩემი გული!
ოღონდ, ოღონდ მომანიჭე ფუფუნება სრული!



ოქროს კერპი (ამაყათ)

ვინ შემედრება ქვეყანაზე?! ვინა მყავს ტოლი?!
თვით ვენერაც კი ჩემს წინაზე ქედ-მოხრილია!
ჩემთვის ფერადობს ყვავილები, ზურმუხტობს მოლი!
ჩემს ლექსიკონში სევდა-დარდი ამოშლილია!
ვის შეუძლია, რომ მეურჩოს, რომ მეთავებდოს?!
ვის შეუძლია ჩემი მტრობა, ვნება გაბედოს?!

მ უ შ ა (შემოდის მუშა ჩაქუჩით ხელში).

მე!! მე დავამზობ სამუდამოთ შენს ძლიერებას,
კაცობრიობას მოუპოვებ ბედნიერებას!

ოქროს კერპი (დაცინვით)

ხა, ხა, ხა, ხა, ხა! მიწის ქიაგ, ნუ თუ გგონია
შენებრ მღილი ვარ უსუსური, შე საძაგელო?!

მ უ შ ა (მკვახეთ)

გიცნობ ვინცა ხარ, ბევრჯერ, ხშირათ გამიგონია
შენი საქმენი საგმირონი და სასახელო:
მთელი სამყარო, სიტურფით და შეგნებით საესე,
სისხლით და ცრემლით შენ არ მორწყე, გაანადგურე!?
ციხე, ციმბირი ტანჯულ ხალხით შენ არ გაავსე
და ყველგან გლოვა, ვაი, ვიში დაასადგურე!?
შენ არ გაქედე ბორკილები, თოფ-იარაღი!?
ღვთიური ცეცხლი კაცთა გულში შენ არ დაავსე
და მიუსიე ერსა ერი, როგორც ყაჩაღი!?
ჩენი ცხოვრება შხამ ნალველით შენ არ აავსე!
გულზე მატყვია, საზიზღარო! შენი ბრკყალები
და კვლავ არ მინდა, რომ გიცქერდეს ჩემი თვალები;
უნდა დაემზო!.. (ჩაქუჩს შეუმართავს).

ოქროს კერპი (ტაშს შემოჰკრავს)

ეი! მცველნო! შემოდით ჩქარა!

სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეთ ეს სალახანა!

(მცველები შემოცვივიან და ატყვევებენ).

მე ჩამომახრჩობ და გგონია შენვის ეს კმარა?!

ტყვილათ ირჯები! დღეს სხვა დროა და სულ სხვა ხანა:

„სალახანებით“ სავსე არის მთელი ქვეყანა!

(გაჰყავთ, მაგრამ მის ნაცვლად ორი სხვა შემოდის ჩაქურებით).

თქვენ რაღა გნებავთ?!

მ უ შ ე ბ ი რაც ნებავდა ჩვენს ტანჯულ ძმასა,

რომელიც წელან გაგზავნე იქ, სახრჩობელაზე!..

ოქროს კერპი (მრისხანეთ)

თქვენც გაგაყოლებთ ამ საათში უკანვე მასა!..

(კვლავ ტაშს შემოჰკრავს)

ვერ შეგვაშინებ! შენი რისხვა არ სჭრის ყველაზე!

(მცველები კვლავ შემოიჭრებიან და მათაც ატყვევებენ, მაგრამ მათ ნაცვლათ ოთხი სხვა შემოდის. მათაც ატყვევებენ, მაგრამ შემდეგ რვა შემოდის და ასე, ამგვარათ თანდათან ზღვავედება მუშათა ჯარი. თავზარ დაცემული ოქროს კერპი შიშით კანკალებს. ამ დროს ერთი მუშათაგანი ჩაქურჩს შემართავს და ერთი დაკვრით მტვრათ აქცევს ოქროს კერპს. მის ნანგრევებზე მშვენიერი ასული აიშართება, ხელში ზეთის ხილის რტო უჭირავს).

მშვიდობა თქვენდა აწ და მარად უკუნისამდე,

გფარავდეთ ღმერთი სიმართლის და სიყვარულისა!

მ უ შ ე ბ ი (აღტაცებით)

დიდება შენდა, შუქთა მფენო მიწიდან ცამდე,

მომნიჭებელო სიცოცხლის და სიხარულისა!

დღემდე შენ მხოლოდ ფერადობდი ჩვენს ოცნებაში,

მაგრამ თვალი კი ვერ გხედავდა მის სატრფიალოს

და გიყიოდით, ვით დაქრილი არწივი მთაში
უყივის სატრფოს, რომ ვარაში გაუზიაროს.
ახლა ჩვენთან ხარ მოვლენილო მფარველად ჩვენდა,
და ჩვენც გიგალობთ: მზის ასულო, დიდება შენდა!

1917 წ.

ტ უ ი - ს ძ მ ე ბ ი

1905 წ. მოძრაობიდან

კარი პირველი

I

იყო ზაფხული გურიის სოფლებს
აფერადებდა ყანა-ბალები,
ნიაფი ნაზათ არხევდა ფოთლებს,
ცვართა თვალეზში ენთნენ ჭალები.
და სეირეთის ქოჩორა სერზე
გადმომდგარიყო მზე—ცის ასული
და თვალთა ელვას აფრქვევდა ჩქერზე
და წინ ეფინა ნოხი სპარსული.
ყველა შრომობდა. მხოლოდ ანდრია
გამალეებული, როგორც მეკობრე,
დადიოდა და დილა ადრიან
ეთხოვებოდა ნაცნობ-ეგობრებს.
მაგრამ თინასას მივიდა როცა,
სულ სხვა განცდების დააწვა ნისლი;
გადაავიწყდა მიზანის, დროცა
და აუღულდა ძარღვებში სისხლი.
აღვივდა თინაც, ვით მზეზე ყანა,
ესროლა თვალნი ელვის ჩქერებით,

და მოაგონდათ—ბავშობის ხანა
 და ლაფაროში ჯვარის წერები.
 მათ გულში ვიღაც დადგა ქადაგათ,
 გაჰკრა უეცრად გრძნობის ტალკვესი:
 მან ორი გული ცეცხლით დადალა
 და განშორებით აავსო კენესით.
 ჯერ არ უცდიათ ამგვარი გრძნობა
 და, როგორც მუნჯებს, დაებათ ენა...
 ასეა მუდამ, როდესაც ტრფობა
 გაუგლის ნორჩ გულს ელექტრონდენათ.

II

ყმაწვილი იყო ჯერ ისევ ანდრო,
 მაგრამ მრავალი ტანჯვის მნახველი.
 უმუხთლა ბედმა: დაობლდა ადრე,
 არც კი ახსოვდა მამის სახელი.
 ადრე შეება შრომის უღელში
 და დაათრევედა ამ მძიმე ქაპანს.
 სულს უხუთავდა ყოფა უხეში
 და ემღუროდა ცხოვრებას ჯაბანს.
 შრომობდა მუდამ, მაგრამ ნაყოფი
 არარაობას უდრიდა ხშირად:
 არ მოდიოდა მქადი საყოფი
 და იდგა ასე უფსკრულის პირად.
 მოთხოვნილება კი მატულობდა
 კარებზე უდგა ყოველ დღეს გზირი,—
 ხედავდა ამას და ნატრულობდა—
 ერთი დღე მაინც ენახა ტკბილი.
 და გადასწყვიტა გასცლოდა სოფელს;
 ქალაქთან შეკრა კავშირი, ზავი:
 ეწვია თბილისს, ვით დედას მშობელს,
 და მას ჩაუდგა კალთაში თავი.

ჯერ არ ენახა ანდროს ქალაქი,
 მისი ცხოვრება დაუდგრომელი.
 დიდი ქარხნები, მურიტ ნალაქი,
 და ათასობით ერთად მშრომელი;
 ელსადგურები და მანქანები,
 ავტომობილი—ფრენით რო მოდის,
 გაშლილი ქუჩა და გაქანება
 ელვის სისწრაფით მასზე რონოდის;
 სასახლეები უზარმაზარი,
 ქალაქის ხალხთა კრელი ფენები,
 აურზაურით სავსე ბაზარი,
 დრამა ოპერა, გამოფენები...
 და მოიხიბლა უმანკო სული...
 მაგრამ დროებით. გაჭფრინდა ჟამი:
 ქალაქის ყოფაც გაიცნო სრულათ
 და სული ისევ აევსო შხამით.
 და შეეკედლა მუშათა უბანს
 ნაძალადეგში დაიდვა ბინა
 და ბრძოლის ცეცხლის ამ უშრეტ ვულკანს
 მიანდო გული—ჯერ წმინდა მინა.

VI

ნაძალადევი, კუთხე პატარა,
 მაგრამ ფოლადის მტკიცე კედელი,
 წლები ბრძოლაში რომ გაატარა,—
 რევოლუციის არის მკედელი!
 ის კავკასიის ყოველ კუთხეში
 ანთხევდა კოცონს მფეთქავ ალებათ,
 რომ დაეხუგა ძალა უხეში,

როგორც სიკვდილი, ყრუ და თავნება.
 იყო უტეხი და ვერ აკრთობდა
 ციხე ციმბირი, ცეცხლი და ტყვია
 და გულზე, მტერი შუბს რომ ასობდა,
 ძველი ჭრილობა ახლაც ატყვია.
 ფოლადის სული და რკინის ნება
 გადმოუციათ მისთვის მანქანებს,
 და ელექტრონის უშრეტი გზნება
 უვლის ძარღვებში და მიაქანებს!
 დროზე ზემიცი იცის უბადლო,
 დროზე ყუმბარის ახმაურებაც,
 და, თუ ეწვია მტერი უმადლო,
 შორით დაუწყებს განა ყურებას?..
 ნაძალადევო! შენი სახელი
 რევოლუციას ღრმად აწერია;
 შენ უკვდავების მთაზე ახველი
 და შენს დიდებას ყველგან მღერიან!

V

აი სად იყო ჩვენი ანდრია
 და ვის ქურაში გამოიქედა.
 ტოლ-ამხანაგთან ტკბილს და ყადრიანს,
 მტერი ჯაჭვითაც ველარ იქერდა.
 დლით—ქარხანაში, ღამით—კრებაზე,
 ეს იყო მისი წმინდა მიზანი;
 სულ ოცნებობდა ახალ მცნებაზე
 და მალეც გახდა მისი მისანი.
 დაუკავშირდა შრომის მსოფლიოს
 და წითელ დროშას, ალვის ტანიანს,
 და უგზავნიდა ალერსს მშობლიურს
 საერთშორისო პროლეტარიატს;

ვერ სვრის შენს სახელს შავი ლაქები,
 გიყვარს ბრძოლა და სიმტკიცეც გყოფნის;
 ხარ და იქნები მუდამ საქები
 და მესვეური ახალი ყოფის!
 სულის სიმაგრე ჰპოვე რკინაში
 და შეისწავლე ენა ფოლადის...
 გამოცდას იჭერ ქვეყნის წინაშე:
 გადააჭარბე კიდევ მოლოდინს!
 შენზე ამხედრდა ქვეყანა ძველი,
 უნდა მოგვრიხოს თავის ნებაზე;
 მაგრამ ხარ მტკიცე, ვით მუხის ძელი
 და მიგაქვს მტერთან ვნება ვნებაზე!
 შესაძლებლობა დიდია შენში,
 დნება შენს ხელში ყველა სიავე:
 ბევრი გვირგვინი ჩაყარე ცეცხლში
 და ბევრი კერპი გაანიავე!
 ამირან დიდხანს იყავ დაბმული,
 თავზე გეყარა შავფიქრთა ზეავი;
 დღეს ბრძოლაში ხარ მედგრად ჩაბმული,
 მოგაქვს ქვეყნისთვის: პური და ზავი!!!

VI

თინასაც ხშირად სწერდა წერილებს
 და უგზავნიდა სხვადასხვა წიგნებს,
 ახალ აზრებით გადაფერილებს,
 სადაც გონება სიმაართლეს იგნებს.
 და თინაც ხარბათ ეწაფებოდა,
 ეხილებოდა თანდათან თვალი,
 და ანდროს მოსვლას ესწრაფებოდა,
 რომ შემდეგ ერთად დაენთოთ ალი.
 სწერდა: „ქალაქი, ვიცი, კარგია
 და იქ ცხოვრება სახარბიელო,

მაგრამ ბნელ სოფელს ეს რას არგია,
აბა მითხარი, ჩემო ჯიელო?
იქ სხვებიც კმარა. შენ აქ ჩამოდი
და მივეშველოთ ხალხს ბნელში მყოფელს:
ახალი ყოფის მზე რომ ამოდის,
მის დიდებაზე ვინ უთხრას სოფელს?
და თინას იგიც ეთანხმებოდა,
სოფლისკენ ჰქროდა მის ფიქრთა რაში,
მაგრამ ჯერ გული ეთანლრებოდა:
საკმაო ღონეს ვერ გრძნობდა მკლავში.

VII

გავიდა ხანი. ანდროც მოშწიფდა.
კვლავ დაუბრუნდა მშობელ სეირეთს.
ტანჯულ ხალხს თვალზე ცრემლი მოწმინდა
და შეაჩვია ბრძოლის სეირებს.
ხშირად მის თავზე მტრის რისხვა წვიმდა.
მაგრამ სიმტკიცე ედგა თაღებათ.
ძალას მატებდა მიზანი წმინდა
და ვერ აკრთობდა მსხვერპლის გაღება.
ბათუმის ძმებთან შეკრა კავშირი,
დაბებს და სოფლებს ერთად ქსელავდენ.
ჰქონდათ კრებები ფართო და ხშირი
და ბოროტებას ძირში სცელავდენ.
თუ რა კრებები იმართებოდა,
ან რიგდებოდა რა თაფლ-შაქარი,
მით ხალხი როგორ ინათლებოდა—
იმის ნიმუშიც აი აქ არი.

VII

ღამე. ტყე მთვარით განათებული.
ირგელივ ღუმილი და გაყუჩება.

ზღვა ხალხი, რწმენით გამართლებული,
 და გულთა ცემა მძლე ჩაქუჩებით.
 მალლობი, მასზე ანდროს ქანდაკი
 და ცეცხლის სიტყვა: „ამხანაგებო!
 თვითმპყრობელობა, მქლე და ღატაკი,
 აღარ გვასვენებს ამ ხანად, ძმებო!
 რა უნდა ჩვენგან, რომ არ გვეშვება?
 ჩვენ ვითხოვთ მიწას, თავისუფლებას,
 ის კი იღესაგეს კილებს ეშვებათ
 და გვეუბნება: აი უფლება!
 ამხანაგებო! სოფელ-ქალაქი,
 სრა-სასახლენი, თუ მანქანები,
 ნაყოფი არის შრომის ბარაქის,
 მაგრამ სხვა უფლობს... რა მანქანებით?!
 ის ჩვენ გვეკუთვნის და სხვა კი რჩება,
 იშენებს კომკვებს ბროლ-მარჯნებიდან;
 ჩვენ კი ვვაყრია ეს კონკი ჩვრებათ:
 გვიცქერს სიშიშვლე მის ფანჯრებიდან!
 რად არის ასე, ყველა ჩვენ გვაზის:
 მეფე, ბურჟუა, მღვდელი და ბერი?
 ლხინობენ: მოგლა ჩვენია ვაზის,
 წვენი კი—მათი, ლალით ნაფერი!
 ჩვენ ვაძლევთ მუშას, ჩვენ ვაძლევთ მხედარს
 და სანოვანით ვუწესებთ მათლაფებს.
 ნაცელად რას ვიღებთ?—უსახო ცხედარს,
 დევნას წამებას, ციხეს, მათრახებს!
 ამხანაგებო! კმარა მონება!
 როდემდე უნდა ვებათ უღელში?
 დროა შეიგნოს კაცის გონებამ,
 რომ ბრძოლაშია ხსნა და ნუგეში!
 ძირს მეფე, ყველა მუქთახორები!
 დიდება შრომას, უმანკოს, წმინდას!

დეე გაიგონ არ ვართ ღორები,
კაცებს ცხოვრებაც კაცური გვინდა!—
და ეს სიტყვები ცეცხლის ალივით
სახლიდან სახლში გადადიოდა
და ინახავდნენ გულში ლალივით
და ნაკვერჩხალი მუდამ ღვივოდა.
და ხალხმაც ძალა აიღო ხელში,
გადეგნა ყველა მუქთახორები.
და სამართალი წყდებოდა ველში
სადათ, უბრალოთ, კენჭის გორებით.

კარგი მშობრი

I

ღამეა მშვიდი და მთვარიანი,
მოწმენდილი ცა ვარსკვლავებს თესავს;
ვალობს ბულბული ხმაზარიანი,
ციცინათელა აქა-იქ კვესავს;
ცელქობს ნიავეი და ფოთოლთ შრიალს
გიჟურ ხმაურით ბანს აძლევს ხევი;
კაკლის ხეები ლურჯ კარვებს შლიან
და ძირს წვეებიან ლანდები დევის;
სერებზე გაშლილ ოდებს და ქოხებს,
გარს შემორტყმიათ ორლობის ქსელი;
ჩასძინებიათ მარნის წინ თოხებს
და ლალანებენ ყანები სველი.
ერთობის მადლი შვენია სოფელს.
ზეიმობს ხალხი, არავეს სძინავს:
მათ მოამაგეს და კეთილ-მყოფელს
დღეს ქორწილი აქვს ანდროს და თინას.
ფერადობს სუფრა. ხელიდან ხელში
გადადის ყანწი და აზარფაშა.
ჰკენესის დუდუკი და მის მწველ ხმებში

სადღეგრძელოსთან არ სცბრება ვაშა.
მრავალჯამიერს მაყრული მოსდევს,
მას კი—ლეკური და მკვირცხლი ტაში.
გადმოფრინდება ჭაბუკი მოლზე
და წრეს აკეთებს, ირხევა ტანში.
მოჭქრის მხექალაც და გიშრის თვალით
მოაფრქვევს ცეცხლს და ელვის ნაპერწყლებს:
ერთი-მეორეს იქერენ რკალით
და აღვივებენ გულში ნაკვერჩხლებს.
სრიალებს ფეხი. შრიალებს კაბა.
ელვის სიჩქარით მოძრაობს წელი...
ჩუ! აგერ ვაჟი გადახტა ცქაფათ,
რომ გაეარდნილი შეიბყრას შველი;
მაგრამ მკლავის ქვეშ გაუძვრა გველი
და არემარე ვაშამ დაჭფარა.
რა ქნას ჭაბუკმა? სირცხვილით ხელი
გაღდგა და კრძალვით თავი დააშარა.
ახლა სხვა მოდის: ადგილი ძელის
რომ დაიკაოს და სცადოს ბედი...
იქ კი, სუფრაზე, ეღერს თარი მწველი
და ყელ-მოღერით რაკრაკებს გედი.
ლხინია, ლხინი! თამაღობს დვალი,
შვენის ყანწები, სავსე ლალებით,
და დედოფალი, სიამით მთვრალი,
ესაუბრება ნეფეს თვალებით.
და უცებ... თოფი თოფზე გავარდა,
საშინელებამ გაშალა ფრთები,
და უმაღლესი ალი ავარდა
და გაანათა გურის მთები.

„ამხანაგებო! კვლავ გვეწვია მოსისხლე მტერი, შესძახა ანდრომ, — რომ ჩაგვექედოს ისევ ხუნდებში, მოგვხაროს წიელში, თვალებიდან გვადინოს ჩქერი და სისხლის ნაცვლად, ჩაგვიყენოს წყალი კუნთებში! ჩვენ ცოტანი ვართ და მტერი კი ათასჯერ ბევრი, მაგრამ დავნებდეთ? ეს იქნება ცოცხლად სიკვდილი! უკეთესია რომ ჩვენს თავზე მობრუნდეს კვერი, ვიდრე ვიგემოთ დამარცხება და ეგ სირცხვილი! გადუქრათ გზები იქ, სადაც მტერს არა აქვს ექვი... — მსხვერპლი?

— უმსხვერპლოთ გამარჯვება ვერვინ იხილოს! ვინც მცურაეია, ხამს გადაქრას მორევი ბეჭით! ვინც მებრძოლია, არწივივით უნდა იყიელოს: ის უნდა იყოს ტარიელი, ან გარიბალდი, განსაცდელის წინ ვინც არ იცის უკან დახევა! მსლოდ მას ხედება გამარჯვების უქკნობი ვარდი, ან—მქლე სიკვდილის სამუდამოთ გულში ჩახვევა! ასეც არ იყოს, არ გვაქვს ნება—ვიქცეთ ლაჩრებათ, დაეტოვოთ ხალხი, შევეფაროთ უმაღლეს ქედებს!... თუ დავმარცხდებით, ჩვენზე ხსოვნა მაინც დარჩება და მომავალი გაგვაცოცხლებს, გაგვალეგენდებს! მაშ, იარაღში, ვინც არა ხართ ხალხის ორგული! დრო საშურიია, დაყოვნება არ შეიძლება: როს მტერი გვიწვევს, და შეტევაც იყოს ორბული! წყეულიმც იყოს, საფრთხის წუთში ვინც შეიცვლება! ხომ ხედავთ თვალით, — როგორ იწვის ჩვენი სოფლები? ხომ გესმით ყურით—ვით წივიან იქ ქვრივ-ობლები? ჩვენსკენ იწვდიან, განწირულნი უმწეო ხელებს და ჩვენც ვისწრაფოთ, გზა მოუქრათ მოსეულ მგელებს! და მიაშუროეს ნასაკირალს, რომ შეკრან გზები, ან იხსნან ხალხი, ან მინდორი მოკენჭონ ძვლებით.

თინაც აქ არის დე უხდება ტანზე ჩაქურა!
იმის სახეზე სიმამაცე გამოსახულა!
ქალო, ლამაზო, ასე კოსტათ თავს ვინ დავხურა
ვატკაცის ქუდი—ვგ სიმტკიცე ჯერ არ ნახული?!



III

გამოჩნდა მტერიც თოფით, ზარბაზნით...
მოდინ ცხენთა ნელი ტარებით
და მოუთხრობენ ურთერთს ხანდაზმით:—
ხანჯლის ტარამდე გულში ტარებით
როგორ ასწავლეს ქეუა გურულებს,
ან ვით ბუგავდენ ნალიებს, სახლებს,
ან ვით აგლეჯდენ ქალებს კულულებს,
სქრიდენ ძუძუებს, აძლებდენ ძაღლებს...
და ამდროს უცებ იფეთქა ბომბამ
და მასთან ერთად თოფიც გაეარდა
და მტრის წყობებში გაჩენის გამობამ
ქარის სიჩქარით გაინავარდა.
ჯერ შეკრთა მტერი, ეცვალა ფერი,
მაგრამ ვონს მაინც მოეგო ბოლოს,
ეკვეთა დამხდურს ცხენების ფრენით,
რომ ერთი დაკვრით მოელო ბოლო.
გაჩაღდა ბრძოლა. გამხეცდა მტერი.
აამოძრაეა მთელი ძალები.
ცვივა ტყვიები, ვით მიწის მტვერი,
და ავსებს ღამეს კენესით, წვალეებით.
ანდროს რაზმიცა იბრძვის მამაცათ,
გაბედულება შეენის მამათა!
მაგრამ როდესაც ერთსა გცემს ასი,
მაშინ გმირობას სადა აქვს ფასი?!

უკვე გათენდა. გათავდა ბრძოლა.
 გამარჯვებული სდგას ახლა მტერი,
 მაგრამ ნახული შიში და ძრწოლა
 ჯერ კვლავ იმონებს და ველარ მღერის.
 ჩვენი გმირები, ვინც კი გადარჩა,
 ტყვეს შეეფარენ—ამ ზურმუხტ ზოლებს:
 მაგრამ თინა კი საფრთხეში დარჩა:
 მოსწყვიტა მტერმა ქმარსა და ტოლებს.
 რა ქნას? მტერს ასე როგორ დანებდეს?
 არა და—გზები გადაჭრილია,—
 და დადის იგი გულით დანებზე
 და წინ უფსკრული გადაშლილია.
 „არა!—სთქვა ბოლოს,—თავის განწირვა!
 ან ხსნა მტრისაგან, ან და—სამარე!“
 და, რომ დასთურგნოს ბედის დაცინვა,
 გარბის აკეთებს გიჟურ კამარებს.

V

ანდრო იქ, ტყეში, გმინავს და შფოთავს,
 გულის საუნჯე მკვდარი ჰგონია;
 თინა გაკვრია მდინარეს შოთად,
 მიზოხავს მკერდით სითაც ფონია.
 და თავს წაადგა უცებ დარაჯებს,
 ჩასაფრებულებს ორ კლდეთა შორის;
 შეჩერდა, წუთით სული დარაზა
 და გულით ფრთები ინატრა ქორის.
 შემდეგ გადახტა, როგორც კანჯარი,
 ერთს მათგანს გულში გაავლო ტყვია;
 მეორეს მკერდში ჩასცა ხანჯალი
 და შეეფარა გორაკებს ტყიანს.

კვლავ შეუერთდა ძვირფას მეგობრებს;
გულში ჩაიკრა ყველა ხიზნები...
ცხოვრობენ ახლა, როგორც მეგობრე,
და მეტ სახელათ ჰქვია „ტყის შმებნი“.



კაკი მესამე

I

პლასტუნთა რაზმებს დარჩათ გურიი
და ზის ქვეყანა ხანძართა წრეში:
ელავს მახვილი და სჩქეფს გულიდან
სისხლის ნაკადი და ცრემლთა თქეში.
დაბა-სოფელი გაუდაბურდა,
თავისუფლებით წყლულ-ნაშუშები:
ძველი ცხოვრება ისევ დაბრუნდა
ბოქაულებით და ჯაშუშებით.
წამების ცქერით, გაშრენ თვალები
და სახეები იქცენ სანთლებათ...
ასეა მუდამ, როცა წველების
საშინელებით სული დათვრება!
ბევრი სიცოცხლე დაჰკლეს დაშნებით,
გამოასალმეს ღამაზ ლოზუნგებს:
მხოლოდ მოხუცნი, ქუჩის ბავშვები
და გიჟი გუჯუ შერჩა ოზურგეთს.

II

გუჯუ დღემდე აქ არვის უნახავს,
საასპარეზოთ ქვეშ ეგო ფოთი:
დღეს კაპარჭინა გადმოოულახავს,
მოუტანია სიგიჟის შფოთი.
დარბის ქუჩებში თვალთა ფეთებით,
ისწორებს წელზე დანას ქარქაშით

და, როს შეხტება გადაფერდებით,
 „გუჯუ, ო, გუჯუ!“ ისმის განგაში.
 გუჯუ კი იქნევს მუშეთებს მუქარით,
 უბანელ პირზე აყრია სოკო;
 ბუტბუტებს როგორც წყარო მქუხარი:
 „ქობალი მოკო, ქობალი მოკო“.
 და მიუხტება მეპურე ანტონს,
 როგორც ფირალი დაუნდობელი:
 „მოართვით პური გუჯუს, თქვენს ბატონს,
 თორემ, ჰა დანა, გულის მპობელი!“
 პურს მოიტაცებს და გაფრინდება,
 მოეფარება მესერის ფინებს, —
 როცა გაძლება და დაშშვიდდება,
 იქვე მიწვება და მიიძინებს.

III

გუჯუს ღლეობა მაშინ ეწყება,
 როს აფარდება ხანზარი დიდი:
 ვით ქარი, ცას და მიწას ეცხება,
 ლოტბარობს ალებს და ჯიქურ მიდის:
 „ო, ჩემო ცეცხლო, შენ გენაცვალე,
 რომ ლოკავ ჰაერს წითელ ენებით;
 გადასწვი ყველა, ვინც მე მაწვალებს,
 არ დარჩეს ქვეყნად მათი ხსენება!
 მაგრამ სწყალობდე მოხუც ზაქარას,
 ნიკოიასაც ხელი არ ახლო;
 რუჯი ბაქარას! რუჯი ბაქარას!
 რომ არ მიკარებს პურისთვის ახლოს!“
 და, ვით ნიაფი, მოძრაობს მუდამ,
 გადარუჯული მწველ კოცონებით.
 ბუტბუტებს რწმენით: ეს ასე უნდა!“
 და მღერის გიჟურ თავმოწონებით.

მაგრამ როს ღამე ყორნის ფრთებს დაჰრის და ძილს მოგზავნის—სიცოცხლის მპარავს,
 გუჯუც ძველ კონკებს კუთხეში დაჰყრის,
 შეეფარება სიბნელის კარავს.
 ქობიდან ქობში დაძვრება ფრთხილად,
 მიაქვს სიმტკიცე, რწმენა, ნუგეში:
 „ამხანაგებო, — დაიწყებს ტკბილად, —
 ისევ გაგვაბეს ტანჯვის უღელში;
 მაგრამ არ შედრკეთ!.. შავ რეაქციას
 შავი აქვს გული, სიცოცხლე—მოკლე...
 ჰო, მართალია, დღეს წაგვაქცია, —
 ხსნისადმი რწმენა მაინც ვერ მოჰკლა!
 ბრძოლა მსხვერპლს ითხოვს—ეს ვინ არ იცის?
 მაგრამ თუ დავკეცთ რწმენის აღმართებს
 და სიყვარული შრომის და მიწის
 თავისუფლების ცეცხლით აგვანთებს, —
 ფოლადის კედელს დავემსგავსებით.
 შემოვლებულნი სიმტკიცის ჯაგშნით,
 და, ვით ჰაერი საესე გაზებით,
 დავახრჩობთ მტერს და მის გეგმებს დავშლით!“
 და ასე მუდამ, დღისით თუ ღამით,
 მოძრაობს იგი და რწმენით მღერის;
 ძვირად ღირს მაშინ ყოველი წამი,
 როს კარზე გიდვას მოსისხლე მტერი.

V

მკითხველო, ალბათ, შენ უკვე მიხვდი
 ვინც არის გუჯუ, უდრეკი რკინა:
 სახეზე გატყობ, მადლობას მიხდი
 და შეკითხები: სად არის თინა?

იგიც აქვეა, მონოზენის სახით
 ერთ მონასტერში შეფარებული;
 პირმოპურული მანდილით თალხით,
 მაგრამ ბრძოლაზე შეყვარებული.
 და როს ქვეყანას კირი ეწვევა:
 ციმბირისაკენ გზაგნიან ტყვეებს,—
 ანდროსთან ერთად წამოეწვევა
 და დაუბრუნებს სამშობლო ტყვეებს.
 ხელისუფლება ბრაზით ფითრდება,
 დაეძებს დამხსნელს, დაეძებს დახსნილს
 და ათასობით ჯილდოს პირდება,
 ამ საიდუმლო საქმეს ვინც გახსნის.
 მაგრამ თუ ვინმე გაჩნდა უგვანო,
 რომ დაანთხიოს ლალატის შხამი,—
 როგორც სიზმარი, ჰქრება უკვალოდ
 და საქმე მუდამ თავდება ამით.

VI

მაგრამ კოკა სულ წყალს ვერ მოიტანს,
 ჰოდა ჩვენს გმირსაც გაუკრეს მხრები;
 გამოასალმეს ბრძოლის მოედანს
 და მეტეხისკენ გაუძღვენ ხმლებით.
 შემდეგ ბორკილი. გაციმბირება.
 და მაინც ფიქრი ბრძოლის ქარებზე.
 მახსოვს სიტყვები, მძიმე ვირებათ
 რომ დაეკიდენ გულის კარებზე:
 „მე სახალაინში გადამასახლეს.
 მივდივარ მალრჩობს გრძნობათა თქვეში.
 მშვიდობით ძმებო! ვინ იცის თქვენში
 ვინ გაღურჩება ამ შავ სასახლეს;
 მაგრამ ვინც დარჩეთ—ადიდეთ ხალხი,

ლალატის შხამით არ გაისენოთ,
 მუდამ იბრძოლეთ, არ დაისვენოთ,
 ვიდრე უკუღმა ტრიალებს ჩარხი!...“
 და აცლარუნდა ბორკილი ცივად,
 შეახმა სისხლი კატორღის ველებს;
 მაგრამ არწივი დარჩა არწივად, —
 არ შეუშინდა შხამიან გველებს.
 და როს მოვიდა ჩვიდმეტე წელი,
 თავისუფლებამ ჩამოჰკრა ზარი,
 მოჰკვდა ცარიზმი, ცხოვრება ძველი,
 და ყველა ციხის გაიღო კარი, --
 გმირი გმირადვე დაბრუნდა ისევ,
 შემოქმედების დაჰყარა ზეავი,
 რომ ააშენოს ცხოვრება ისე,
 რომ ყველას ერგოს: პური და ზავი.

1927 წ.

მ ი წ ა ვ, დ ა ბ ვ ნ ე ბ ღ ი!

გადმოიშალა
 ლამე თმებივით,
 ოქროს თვალებით
 დაიწყო ცქერა,
 აღგნენ ლანდები
 მაღალ მთებივით
 და მტკვარმა გულზე
 ცა დაიკერა.
 სიზმარეთს მოჰგავს
 ახლა თბილისი...
 რუსთველის გამზირს
 შეენის ქანდაკი;

თითქო მზიური
 ღიშთა თილისმით
 შეუკრავს იგი
 უკვდავ აკაკის!
 მთაწმინდის სერით
 მოპქრის ნიავი
 და აშრიალებს
 ქადრებს და ალგებს.
 ებრძვის ელექტრო
 ღამის სიავეს
 და ესერის ქალაქს
 უთვალავ ქარგებს.
 ხმაურობს ქუჩა...
 და დარბაზების
 გრძელი ჩრდილები
 ნაპირებს წვდება.
 მთვარე ღრუბლებში
 ზის განაზებით
 და ნისლიც სადღაც
 ნაპრალში წვება.
 დგანან ტაძრები,
 მაგრამ ზარების
 გუგუნის ჰაერს
 არ არღვევს ეხლა:
 სამაგიეროდ
 კომუნარების
 ისმის სიმღერა,
 ვით კლდეთა შეხლა:
 „როდემდე უნდა
 ზილო ცოდვები
 შენ, დედამიწავ,
 სივრცეში მსრბოლო:

საესე ხარ სისხლით,
 ცრემლით, ვოდებით
 და შხამიან წლებს
 არ უჩანს ბოლო,
 მაგრამ შენ, მიწაე,
 უბედურთ კენესა
 ისე მოგესმის,
 როგორც ყრმას ნანა.
 თოფის წამალთან
 ტალსა რომ ჰკეესაე,
 რომ აფეთქდება
 არ იცი განა?!
 მაგ შენ სიერცეზე
 არაა კუთხე,
 სადმე ყოველ წუთს
 არ ჰქუზდეს ომი.
 მიწაე! დაქლექდი:
 ტყვიებს აფურთხებ
 და გელის ბედი
 უთუოდ რომის!
 ვერ ხედავ განა,
 რომ არ ვასვენებს
 ნიაღვარები
 და მიწის ძვრები?
 მიწაე! შენ წყველა
 გადაგასვენებს,
 როცა დიგახრჩობს
 ლეში და ძვლები!
 რომ სერაე შაერს
 ასე თაებუდათ
 და ისერი დღეებს,—
 ყოფის შავ ქულებს,

ნუ თუ სიზმარში
მაინც არ ხედავ
ბილიონობით
დაფლეთილ გულებს?!
არ ვიცი, მიწავე,
შენ ყოუ ხარ მართლა,
თუ იხშობ სმენას
განგებ თითებით,
როცა სიკვდილი
ზარბაზნებს მართავეს,
ცივად რომ უცქერ
და არ ინთები?!
არ გვინდა ომი!
ჩვენ, შრომის შეილებს,
გვიყვარს შრომა და
შემოქმედება:
ახალ ქვეყანას
ზაპესის ლილებს
ვაფლებთ და წინსვლის
ცეცხლი გვედება!
მაგრამ შენ, მიწავე,
მოცულო ნისლით,
არ გესმის, ალბათ,
ჩვენი სურვილი:
გახელებულხარ
და გინდა სისხლით,
რომ გაანელო
ნდომა წყურვილის...
შენი ამბავი,
მიწავე, გვაოცებს:

სანამ მკვლევლები
შენს გულზე ზიან,
ნუთუ არ იცი,
რომ არ გაკოცებს
ჩვენი ალერსი
და პოეზია?!
მიწავ! დაგვენებდი!
ახალმა ძეგლი
უნდა დამარხოს—
ეს ხომ ცხადია?
ვიკისრეთ საქმე
დიდი და ძნელი
და გამარჯვებაც
გულით გვწადია!
ვერ შეგვაშინებს
ტანკი და გაზი,
გვფარავს სიმტიცე—
ფოლადი, რკინა;
გავეურებთ რწმენით
მომავლის გამზირს
და ჩვენი სული
მზესავით ბრწყინავს!
მიწავ! შენ ცეცხლი
მოგედვა მაშინ,
როცა შიმშილი
ტანჯვის მთებს შობდა,
იდგა ვაება
და გლოვის მარშით
სიკვდილი ცელით
დათარეშობდა;
ერთმანეთს ელეტდა
სხვა და სხვა ერი:

რუსი, ნემეცი,
ფრანგი, თათარი...
ცვივოდა ლეში,
ვით მიწის მტვერი
და მით ძღებოდა
სვავი, აფთარი;
ქვეყანას ტყვია
აწვიმდა თავზე
და ზარბაზანი
ძალლივით ჰყეფდა...
ვინ იფიქრებდა
უეცარ ზავზე
როდესაც სისხლი
ზღვასავით სჩქეფდა?
მოვარდა კაცი
ნაამაგარი,
და ერთი დაკვრით
შემუსრა შური;
ისროლა სიტყვა,
კლდეზე მაგარი:
„არ გვინდა ომი!
მოგვეციტ პური!
რევოლუციის
არის ბრძანება:
მიწები—გლეხებს!
ქარხნები—მუშებს!“
და ცეცხლის სიტყვას
ყველა დანებდა,
და ამბოხება,
მოედვა ქუჩებს.

ყველას მალამოთ
მოეცხო წყლულზე
სიტყვა ახალი,
მხსნელად ვლენილი,
და დადის, მიწავ,
ახლა შენს გულზე:
ოქტომბერი და
დიდი ლენინი!“

1927 წ.



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. მცირე განმარტება	3
2. ჩემი ცხოვრების ფურცლები	4
3. მტკვარს	23
4. ქალაქი დიქტატორი	24
5. ზამთარი	25
6. ისევ ტფილისი	25
7. ახალი სოფლის სურათი	26
8. ლექსი ჯორჯიაშვილზე	27
9. საუბარი გულთან	28
10. ე. ნინოშვილის ხსოვნას	30
11. ნუ მიცქერთ იქვით	31
12. ეჰ, ძნელია!	33
13. მე და ზამთარი	34
14. ვულკანის მოლოდინში	35
15. დიდება	35
16. განთიადზე	36
17. რკინის კანონი	37
18. სულს	38
19. განახლების წინ	39
20. დე იყოს ბოდვა	41
21. ჩვენს პოეტებს	42
22. ვ. სარაჯიშვილს	43
23. ვ. სარაჯიშვილს	43
24. ქალს	44
25. ქალაქის სამკაული	45
26. ცხოვრება	46
27. ძიების კარზე	47

28.	ავტობიოგრაფიული	47
29.	გაზაფხულის პირო	48
30.	შრომის გმირს	48
31.	ქველი ადამიანი პოეტის სამსჯავროს წინაშე	50
32.	იმედი	51
33.	ნაწყვეტი	52
34.	მუშის ღიღინი	52
35.	რა მალონებს?	53
36.	სიმღერა	53
37.	ბოგანო	54
38.	სიმღერა	55
39.	ცისკარი	56
40.	ორი სურათი	57
41.	განა ეს მოსათმენია?	59
42.	ზღვას	60
43.	შიშხილის მსხვერპლი	61
44.	ქუჩაზე	63
45.	თაიგული	63
46.	ყვავილს	64
47.	ახ, ერთხელ კიდევ	65
48.	დემონს	67
49.	შენ აქ დაგტოვე	68
50.	სიმღერა	69
51.	გამცემს	70
52.	ე. ნინოშვილის ხსოვნას	71
53.	ქეშმარიტება	73
54.	აჯანყებული სული	75
55.	მომაკვდავი არწივი	75
56.	ჯეჯილი	77
57.	მგოსანი და მზე	78
58.	განთიადი	81
59.	პერკულესი	82

60. მკვდრების სიცილი	83
61. ბესო	84
62. და ეს სიკვდილი არაა განა!?	85
63. მომეცით ფრთები	86
64. ქუჩის სურათები	87
65. ოხ, სად არის გაზაფხული	88
66. ჩემს მუზას	89
67. ფერია	90
68. მიყვარს დილა	92
69. გამოვკედლოთ ჩვენი ბედი	93
70. სულ ვერ ზიდავს	94
71. უწერის მწვერვალზე	95
72. ტბა	96
73. ბარათი	98
74. დაუსრულებელი ძიება	100
75. მთაწმინდის ქარი	101
76. უპასუხო კითხვები	102
77. მოციქული	103
78. საბრჩობელასთან	104
79. ქალაქი	105
80. ხარება	109
81. ამონაკენესი	110
82. დიდება ქუჩას	112
83. მზეთა მზე	114
84. ჩემს ჩანგს	117
85. ზეიმი	118
86. 1 მაისი	118
87. ტფილისი 1 მაისს	119
88. დღეს ჩვენთან არის	120
89. ოქროს კერპი	120
90. ტყის ძმები	125
91. მიწავ, დაგვენებდი	141

შეტყობების გახწორება

გვერდი:	სტრიქონი:	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
37	ზემოდან 1	გვერდით	მკერდით
42	ქვემოდან 3	მკერდის	მკერდით:
46	" 5	ყოფასაც	ყოფისაც
47	" 2	საგრულთა	ჩაგრულთა
48	" 8	მოდის	მოდით
55	" 5	ვებმურები	ვებურები
70	ზემოდან 1	ჩაგრულებს	ჩაგრულთა
89	" 8	მწუხარების	მწუხრის
"	" "	მოეცა	მოეცვა
97	ქვემოდან 6	ტრფობს	ტრფობის
99	" 1	მთად	მთლად
103	" 11	მე კვლავ	და კვლავ
127	" 2	ანთხვედა	ანთებდა
133	" 12	ძელის	ძველის



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԳԱՐԱՆԱԿԱՆ
ԵՎ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ